

178
1976



საბჭოთა სამართალი

საქართველოს ენციკლოპედიის გამომცემლობა

1976 3

საბჭოთა სამართალი

№ 3

1976 წელი

მაისი—ივნისი

შურნალი გამომდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, კრეკეკაგვიისა და
შეიქმნა სასამართლოს მოგონი
ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

საკვ ცენტრალურ კომიტეტში	3
მაღალი შეფასება გვევალეს	9
ვრ. ერემოვი — სკკპ XXV ყრილობა მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ	14
თ. ლილუაშვილი — სკკპ XXV ყრილობა და სახალხო მეურნეობის მართვის სამართლებრივი საკითხები	22
თ. წერეთელი — დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის საკითხები სასამართლო პრაქტიკაში	32
ი. ხიონი — გამომძიებლის საქმიანობა მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად	49
ვ. ძაგანია — წინასწარი პატიმრობის ადგილებზე საბროკურორო ზედამხედველობის განხორციელების ზოგიერთი საკითხი	57
თ. ფოცხვერია — ევროპის სოციალისტური ქვეყნების კრიმინოლოგთა IV საერთაშორისო კონგრესი არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პრობლემებზე	62
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია	
ი. შორდანი — წიგნი დანაშაულში თანამონაწილეობის და ამსრულებლობის საკითხებზე	67
ვ. ფარქოსაძე — ნაშრომი ადმინისტრაციულ-პროცესუალური სამართლის კოდიფიკაციის საკითხებზე	75
ს. ვისოცკი — ცოცხლებს შორის გაუჩინარებულნი	78
ოფიციალური მასალა	89
ინფორმაცია	90
შეკროლოგი	95

კ. მარტისის ს.ს. საქ. სსრ



СОДЕРЖАНИЕ

В ЦК КПСС		3
Высокая оценка обязывает		9
Гр. Еремов — XXV съезд КПСС о задачах улучшения работы местных Советов депутатов трудящихся		14
Т. Лидуашвили — XXV съезд КПСС и правовые вопросы управления народным хозяйством		22
Т. Церетели — Вопросы убийства, совершенного при отягчающих обстоятельствах, в судебной практике		32
И. Хиониди — Работа следователя по возмещению материального ущерба		49
Г. Дзаганя — Некоторые вопросы осуществления прокурорского надзора за местами предварительного заключения		57
Т. Подхверня — IV международный конгресс криминалистов социалистических стран Европы о проблемах преступности несовершеннолетних		62

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Т. Жордания — Книга по вопросам о соучастии и соисполнительстве преступления		67
В. Паркосадзе — Труд по кодификации административно-процессуального права		75
С. Высоцкий — Пропавшие среди живых		78
Официальный материал		89
Информация		90
Некролог		95

სარედაქციო კოლეგია

შეკვ. № 2765
ტირაჟი 22.150
შე 1909

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
თ. დადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,
მ. ლომიძე, მ. ლეკვეიშვილი, გ. შვანია, ა. ტაკიძე,
ვ. ქვაჩხია, ა. შუშანაშვილი თ. წერეთელი,
ს. გორბენაძე.

© „საბჭოთა სამართალი“, 1976 წ.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. 103. ტელ. 95-58-87; 95-88-49

გაღება წარმოებას 10/VIII-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/IX-76წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „თუ რომორ ასრულავს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“

მიღებულ დაგენილებაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა მხურვალედ მოიწონეს პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, დებულებანი და ამოცანები, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, და აღფრთოვანებით იბრძვიან მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა მხარეზე დიდი დადებითი შეგავლენა მოახდინა და კვლავაც ახდენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სწორი დასკვნები გამოიტანა ამ დადგენილებაში აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებებიდან და შეცდომებიდან. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, თბილისის საქალაქო კომიტეტმა, სხვა პარტიულმა კომიტეტებმა თვითკრიტიკულად გაანალიზეს საქმეთა ვითარება რესპუბლიკაში, შეიმუშავეს და ახორციელებენ იმ ღონისძიებათა ფართო სისტემას, რომელთა მიზანია სახალხო ნეურნეობისა და კულტურის აღმავლობა, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება, მათი პოლიტიკური შეგნებულობისა და შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი ზრდა. წარმოებს მიზანდასახული მუშაობა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების დამკვიდრებისათვის. მნიშვნელოვნად გაიზარდა პარტიულ ორგანიზაციათა ავტორიტეტი, გაძლიერდა მათი წარმმართველი და მარგანიზებელი გავლენა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა დარგში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა და შრომითმა კოლექტივებმა, რომლებიც ეყრდნობიან პარტიისა და მთავრობის მხარდაჭერას და დახმარებას, უფრო სრულად იყენებენ შინაგან რეზერვებს, ძირითადად დაძლიეს სერიოზული ჩამორჩენა, რომელიც 1971—1972 წლებში იყო მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. ამის შედეგად განვითარების ტემპების, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საერთო მოცულობის მხრივ რესპუბლიკის მრეწველობამ მიაღწია სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულ დონეს. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლიანი დავალება, რის ხარჯზე მიღებულია სამრეწველო წარმოების მატების ოთხ მეხუთედზე მეტი. გაიზარდა ფონდამოგება, გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი, შემცირდა მუშახელის დენადობა და სამუშაო დროის დანაკარგები. შემცირდა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებმა გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი. მერვე სუთწლედთან შედარებით სოფლის მშორმელებმა გაზარდეს პროდუქციის წარმოება. შესრულებულია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების დამზადების ხუთწლიანი გეგმები. გეგმის ვადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდა დიდძალი მარცვლეული, ხარისხოვანი ჩაის ფოთლი, ციტრუსები, ხილი, ხორცი და რძე.

წარმოებს მუშაობა კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანი გამოყენებისა და მშენებლობის ვადების შემცირებისათვის. გასულ სუთწლედში ამოქმედდა 72 სამრეწველო საწარმო, მათ შორის ღირექტივებით გათვალისწინებული ობიექტები — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი და ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა. რეკონსტრუირებულია ბევრი საამქრო, ქარხანა და ფაბრიკა, რის შედეგად მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მთელი მატების ნახევარზე მეტი.

პარტიული კომიტეტების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღების გაძლიერების შედეგად უფრო აქტიურად წყდება კომუნალური მეურნეობის განვითარების, მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესების საკითხები. ბოლო სამი წლის მანძილზე წარმატებით სრულდება საბინაო მშენებლობის გეგმები. შენდება მეტი საბავშვო დაწესებულებები, სკოლები და საავადმყოფოები. გაუმჯობესდა ქალაქების მოსახლეობის მომარაგება ახალი ბოსტნეულითა და ხილით. კიდევ უფრო განვითარდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურება.

აღნიშნა რა ეკონომიკის სფეროში მომხდარი დადებითი ძვრები, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამასთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყურადღება მიაკცია იმას, რომ ერთ სულ მოსახლეზე საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებისა და ეროვნული შემოსავლის მხრივ რესპუბლიკა ჩამორჩება საშუალო-საკავშირო დონეს. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყველა იმ რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების უთუოდ შესრულება, რომლებიც დასახულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის 1976—1980 წლების განვითარების ძირითად მიმართულებებში. მათ უნდა უზრუნველყონ რესპუბლიკის საწარმოო ძალების უფრო სწრაფი განვითარება, მისი მდიდარი ბუნებრივი და ნიადაგ-კლიმატური პირობების, მატერიალური და შრომითი რესურსების, დიდი მეცნიერული პოტენციალის, ყველა შინაგანი რეზერვისა და შესაძლებლობის რაციონალურად გამოყენების საფუძველზე. ისინი უფრო მეტი ენერგიით უნდა იღწვოდნენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, უფრო გადაჭრით ებრძოდნენ უყარათობის, ნედლეულის, მასალების, ფულადი სახსრების ხარჯვაში მფლანგველობის ფაქტებს, სამუშაო დროის დანაკარგებს.

იმის გათვალისწინებით, რომ რესპუბლიკაში არის ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელოვანი ნაწილი, საჭიროა ყველა მეურნეობის რენტაბელობის უზრუნველყოფა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარების ბაზაზე. აუცილებელია მარცვლეულის, ყურძნის, ჩაის ფოთლის, ციტრუსების,

ბოსტნეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების მოსავლიანობისა და მთლიანი მოსავლის მნიშვნელოვნად გადიდება, მეცხოველეობის ყველა სახეობის პროდუქციის წარმოების მკვეთრი ზრდა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და დამზადებაში საზოგადოებრივი მეურნეობის ხვედრითი წონის ამაღლება.

საქართველოს სსრ პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ საჭიროა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება კაპიტალურ მშენებლობაში, ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურებაში ჭერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც საქართველოს სსრ სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში ხდება, პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების არსებითად გაუმჯობესების, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული შეკავშირების, მასებთან მისი კავშირის განმტკიცების შედეგია. რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე ბრძოლა გაშალა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ღონისძიებების პრინციპების მკაცრად დაცვისათვის. პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო მუშაობის ბევრი უბანი განამტკიცეს პოლიტიკურად მომწიფებული, მორალურად სპეტაკი და პარტიის საქმისადმი ერთგული კადრებით. კადრების საკითხთა გადაწყვეტისას მკვიდრდება კოლექტივობის პრინციპი, ამასთან პარტიული ორგანოები უფრო სრულად ითვალისწინებენ კომუნისტების, მშრომელთა კოლექტივების აზრს. ეს ქმნის შესაძლებლობას, რომ თავიდან აიცილონ შეცდომები, რომლებიც ახლო წასრულში იყო დაშვებული მუშაკთა შეფასების, პირადი ერთგულების, ნათესაური და მეგობრული ურთიერთობის ნიშნით მათი დაწინაურების დროს. მეტ ზრუნვას იჩენენ რესპუბლიკაში ხელმძღვანელი კადრების იდეურ-პოლიტიკური და საქმიანი დონის ამაღლებისათვის. მათ მეტ პასუხს სთხოვენ მინდობილ უბანზე მუშაობის შედეგებისა და ადამიანთა აღზრდისათვის.

გაიზარდა პარტიული კომიტეტების პლენუმებისა და პარტიული კრებების, როგორც კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოების, კადრების, ყველა კომუნისტის აღზრდის სკოლის მნიშვნელობა. შინაპარტიული დემოკრატიის, ამხანაგური კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომი განვითარების საფუძველზე იზრდება კომუნისტთა აქტივობა, დისციპლინა და პასუხისმგებლობა საწარმოებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში საქმეთა ვითარებისათვის.

პარტიული კომიტეტები სრულყოფენ პარტიის დირექტივებისა და საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზაციასა და შემოწმებას, ამაღლებენ კომუნისტთა და უპარტიოთა ინფორმირებას სამეურნეო და პოლიტიკურ საკითხებში, რითაც ხელს უწყობენ ხელმძღვანელი ორგანოებისა და კადრების საქმიანობისადმი ფართო მასების კონტროლის შემდგომ განვითარებას. პარტიული კომიტეტები რეგულარულად აცნობენ თავიანთ მუშაობას პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტს. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ანგარიში ჩააბარა ყველა საოლქო, საქალაქო და რაიონულ პარტიულ კონფერენციას, ხოლო თბილისის

საქალაქო კომიტეტმა — პირველადი პარტორგანიზაციების კრებებს. გაუმჯობესდა მუშაობა კომუნისტების წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების მშრომელთა წერილებისა და განცხადებების განხილვისა და რეალიზაციისათვის.

სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სკკ XXV ყრილობის მითითებათა შესაბამისად უზრუნველყოს ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება. პარტიული კომიტეტები კვლავაც დაუცხრომლად უნდა ზრუნავდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის, მათი რიგების შეკავშირებისა და სიწმინდისათვის, უნდა ცდილობდნენ, რომ თვითნებულ კომუნისტს ჰქონდეს პოლიტიკური მებრძოლის თვისებები, ღირსეულად ასრულებდეს ავანგარდულ როლს წარმოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სამაგალითო იყოს ყოფაცხოვრებაში, საჭიროა გაგრძელდეს მუშაობა ზემოქმედანელი კადრების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის, იმისათვის, რომ მათ ვასწავლოთ მუშაობის ღწინიური სტილი, ყველა სასკითხის გადაჭრისადმი მიდგომა პარტიული პოზიციებიდან, საერთო სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით, საჭიროა ბრძოლა ბიუროკრატისმის, უპასუხისმგებლობის, უდისციპლინობის, მშრომელთა მოთხოვნილებათა და საჭიროებათა უგულვებელყოფის არსებულ გამოვლინებათა წინააღმდეგ. ყოველმხრივ უნდა განვითარდეს კრიტიკა და თვითკრიტიკა, როგორც მიღწევების, ისე არსებული ნაკლოვანებების თვითკრიტიკული ანალიზი უნდა დაედოს საფუძვლად თვითნებულ პარტიული კომიტეტის, თვითნებულ ხელმძღვანელი მუშაკის, ყველა კომუნისტის საქმიანობას. უნდა განმტკიცდეს სახელმწიფო დისციპლინა, კადრები აღიზარდოს იმ სულისკვეთებით, რომ სახალხო-სამეურნეო გეგმებს ყველა მაჩვენებლით უთუოდ ასრულებდეს ყველა უბანი, ყველა კოლექტივი. უნდა გაუმჯობესდეს მუშაობა კადრების რეზერვთან. ამაღლდეს მათი თეორიული და პრაქტიკული მომზადება. საჭიროა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფა, მისი შეფასება ჩატარებული თათბირებისა და მიღებული დადგენილებების რაოდენობის კი არა, არამედ რეალური შედეგების მიხედვით, იმის მიხედვით, თუ რამდენად მაღალია ორგანიზატორული მუშაობის დონე, რამდენად უზუსტია კონტროლი. უნდა გაძლიერდეს საბჭოებისადმი, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ქმედითობა, გაიზარდოს საბჭოებში მომუშავე კომუნისტების აქტივობა და პასუხისმგებლობა, განუხრელად ვითარდებოდეს სოციალისტური დემოკრატია, მტკიცდებოდეს მართლწესრიგი და სოციალისტური კანონიერება.

სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიზანდასახული მუშაობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მაღალი იდეური და წინეობრივი პრინციპების დამკვიდრების დარგში. იდეურ-აღმზრდელობითმა მუშაობამ განსაკუთრებული გაქანება და სიღრმე შეიძინა სკკ XXV ყრილობის შემდეგ. ყრილობის მასალებისა და დოკუმენტების პროპაგანდისა და განმარტების ნიშანია, რომ სკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების იდეები, დებულებები და დასკვნები გააცნონ თვითნებულ ადამიანს, დაეხმარონ მშრომელებს, რათა განსაზღვრონ მათე ხუთწლედის დავალებათა წარ-


მატებით შესრულებისათვის ბრძოლაში თავიანთი კონკრეტული მონაწილეობის ფორმა.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ეწევა მრავალმხრივ მუშაობას, რათა კომუნისტებსა და კომკავშირლებს, მუშებსა და კოლმეურნეებს, ინტელიგენციასა და ახალგაზრდობას, ხელმძღვანელ კადრებს ჩაუნერგოს კომუნისტური იდეურობა, მაღალი პოლიტიკური შეგნებულობა, საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობა, თვითეულ შრომითს კოლექტივში, მთლიანად რესპუბლიკაში შექმნას ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური ატმოსფერო. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების შესაბამისად საქართველოს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები აუმაჯობესებენ ადამიანთა აღზრდას კომუნისტური მორალის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, შრომისა და სახალხო დოვლათისადმი შეგნებული დამოკიდებულების, სოციალისტური დისციპლინისა და საერთო საქმისათვის პასუხისმგებლობის სულიკვეთებით. წარმოებს შეურიგებელი ბრძოლა მეშინური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივების, იმ ნაციონალისტური გამოვლინებების წინააღმდეგ, რომლებიც ჭერ კიდევ ზოგჯერ ვგზვდება, მომხვეჭელობის, დრომოჭმული მავნე ზნე-ჩვეულებების, რელიგიური ცრურწმენების წინააღმდეგ.

ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენელთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისათვის, აქტიურ შრომითსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი ჩაბმისათვის. მეტი ყურადღება ეთმობა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საკითხებს.

იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის საქმეში საგრძნობლად გაიზარდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შემოქმედებითი კავშირების, კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების როლი. საქართველოს სსრ მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, თეატრისა და კინოს მუშაკებს თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ შინაარსით სოციალისტური, სულისკვეთებით ინტერნაციონალისტური და ფორმით ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებაში. ბოლო წლების მანძილზე შეიქმნა მთელი რიგი ნიჭიერი ნაწარმოებები, რომლებშიც პარტიული პოზიციებიდან ღრმად არის გაანალიზებული თანამედროვეობის საზოგადოებრივი მოვლენები, რომლებიც უმღერაინ წარმატებების ჰეროიკა და პათოსს, მშრომელი ადამიანების აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციასა და მაღალ ზნეობრივ თვისებებს.

გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები სახალხო განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის. თანდათან ხდება უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მიღების დროს არსებული სეროიზული ნაკლოვანებების აღმოფხვრა. შესამჩნევად გაუმჯობესდა სტუდენტობის შემადგენლობა, სადაც თითქმის ერთიორად გაიზარდა მუშათა და კოლმეურნეთა რიცხვი, გაიზარდა იმ ქალიშვილებისა და ქაბუკების ხვედრითი წონა, რომლებიც სასწავლებლად მოვიდნენ წარმოებიდან და საბჭოთა არმიის რიგებიდან. მეტი ყურადღება ეთმობა სტუდენტთა და მოსწავლეთა პროფესიული მომზადებისა და აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებას. შრომითს სემესტრთან ერთად ყველა უმაღლეს სას-



წავლებელსა და ტექნიკუმში შემოდებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკა, რომლის დროს მომავალი სპეციალისტები იძენენ ადამიანებთან იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩვევებს.

პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ სერიოზულ ღონისძიებებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის. ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების, წარსულის ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლაში ებმებიან მშრომელთა სულ უფრო ფართო მასები, ვაიზარდა შრომითი კოლექტივების როლი ამ საქმეში. ქალაქებსა და რაიონებში იქმნება მართწლესრივის საყრდენი პუნქტები, მოზარდთა კლუბები, უმჯობესდება ამხანაგური სასამართლოებისა და სახალხო რაზმეულების საქმიანობა, რაც ხელს უწყობს სამართალდარღვევათა შემცირებას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, თუმცა, მიაჩნია, რომ მხოლოდ დასაბამი მიეცა იმ დიდ მუშაობას, რომელიც მომავალშიც უნდა წარმოებდეს კომუნისტებისა და ყველა მშრომელის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, იდეოლოგიურ მუშაობაში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის გავრდილი აქტივობა კარგ შესაძლებლობებს უქმნის იმ ამოცანების უფრო წარმატებით შესრულებას, რომლებიც ამ დარგში დასახა სკკპ XXV ყრილობამ. იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ღონის შემდგომი ამადლების უზრუნველსაყოფად პარტიულმა კომიტეტებმა უნდა შეიმუშაონ იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის პერსპექტიული კომპლექსური გეგმები, მიაღწიონ მეათე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტაში, ახალი ადამიანის აღზრდაში ყველა იდეოლოგიური დაწესებულების, პროპაგანდისა და აგიტაციის მთელი ძალებისა და საშუალებების ღონისძიებათა უფრო მოფიქრებულ კოორდინაციას. იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფასთან ერთად უფრო გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას ამ საქმეში არსებული ფორმალისმის, ცხოვრებისაგან მოწყვეტის ელემენტები და სხვა ნაკლოვანებები, მომავალშიც საჭიროა აქტიური ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის შემოჭრის წინააღმდეგ, კერძომესაკუთრული ტენდენციებისა და ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის სხვა გადმონაშთების წინააღმდეგ. უნდა ამაღლდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობა, განმტკიცდეს მეცნიერებისა და ცხოვრების კავშირი, დროული და პრინციპული შეფასება მიეცეს იდეურ შეცდომებს და ხარვეზებს სამეცნიერო შრომებში, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში. საჭიროა მეტი ზრუნვა მოსახლეობის, განსაკუთრებით სოფლის, მთის რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო კულტურის ამადლებისათვის, მშრომელთა თავისუფალი დროის გონივრული გამოყენების, მათი დახვეწების ორგანიზაციისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ საბჭოთა საპარტიოლო მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია საბჭოთა პარტიის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმის — რესპუბლიკის კომპარტიის ხელმძღვანელობით მთელ თავიანთ შემოქმედებით ენერგიას მოახმარენ კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოკოვებას, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჩვენი საბჭოთა საზოგადოების კლინაგების უამრავი განმტკიცებისათვის სავითო სახალხო ბრძოლაში.

მალი შეუსება გვაქვს

საზოგადოებრივ ცხოვრებაში არის ისეთი მოვლენები, რომელთა მნიშვნელობა, რაც მეტი დრო გადის, უფრო თვალსაჩინო ხდება. ასეთ მოვლენათა რიგს ეკუთვნის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება — „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“, რომელიც ამ ოთხიოდე წლის წინათ იქნა მიღებული. დადგენილების გამოქვეყნებისთანავე ცხადი გახდა, რომ ქართველი ხალხისათვის, რესპუბლიკის კომპარტიისათვის ის არ იყო რიგითი, ჩვეულებრივი პარტიული დოკუმენტი. ამ ძალზე დიდმნიშვნელოვან დადგენილებაში პრინციპული პოზიციებიდან იყო დანახული და მხილებული საქართველოში ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებული სერიოზული შეცდომები და ჩავარდნები იდეოლოგიურ მუშაობაშიც და ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობაშიც. შემუშავდა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის დასაბუთებული პროგრამა. დადგენილებამ სრულიად ახალი ფურცელი გადაშალა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი პარტიული ორგანიზაციის — თბილისის ორგანიზაციის იდეურ ცხოვრებაშიც და მთელი საქართველოს კომპარტიის, ქართველი ხალხის ისტორიაშიც. ხატოვნად, რომ ვთქვათ, დაჰბერა სრულიად სხვა სიომ, განახლების სიომ, რომელსაც რესპუბლიკის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, მშრომელი ინტელიგენცია დიდი ხანია ელოდნენ.

დადგენილების მიღების პირველ ხანებში რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობა შეეცადა მიეჩქმალა თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას, ერთგვარად დაეკნინებინა იგი, დაეყვანა ჩვეულებრივი დადგენილების რანგამდე. რომელსაც თითქოს ძირეული, არსებითი ცვლილებები არ უნდა მოჰყოლოდა. ეს უსუსური და უბადრუკი ცდა იყო, უფრო მეტიც: აშკარა პოლიტიკური სიბეცის გამოვლინება. წინააღმდეგ მათი სურვილებისა, დადგენილების რეალიზაციის პირველი დღეებიდანვე დაიწყო მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის, თვითგანმწმენდის პროცესი, რომელიც ყველას და ყველაფერს შეეხო. სულ მალე ზღვარი დაედო საკითხების სუბიექტივისტურად გადაწყვეტას, ვოლუნტარიზმს. ცოტა მოგვიანებით კი დაიწყო თანმიმდევრული, წინდახედული, უკომპრომისო ბრძოლა ნეგატიური მოვლენების დასაძლევად, პარტიული და საბჭოთა ორგანოების საქმიანობის ძირფესვიანი გარდაქმნისათვის, ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შესაქმნელად, სოციალისტური კანონიერების და სამართლიანობის დასამკვიდრებლად.

ახლა უკვე ყველა თვალნათლივ ხედავს თუ რა სიკეთე მოუტანა ჩვენს ხალხს ამ ისტორიულმა დადგენილებამ, რომლის თვითიული სტრუქტურა გამს-

ქვეალულია რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობისათვის უდიდესი ზრუნვით. სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ისევე როგორც ყოველთვის დროულად წამოეშველა საქართველოს კომუნისტურ ორგანიზაციას, გაუწოდა მას დახმარების ხელი, შეაიარაღა მეცნიერული პროგრამით, რომელიც ხანგრძლივი დროისათვის იქნება ჩვენი ორიენტირი და მძლავრი სტიმულის მომცემი.

დადგენილებაში მკაცრად იყო გაკრიტიკებული რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაც. შემდგომმა მოვლენებმა საესებით დაადასტურეს ამ ორგანოების საქმიანობის დადგენილებისეული შეფასების სისწორე. ეს გამოჩნდა თუნდაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების მიხედვით. სულ მალე გამოქვეყნებულ იქნენ მსხვილი გამტაცებლები, მექრთამეები და გამომძალველები, რომლებიც საკადრისად დაისაჯნენ. დადგენილება საფუძვლად დაედო ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის გარდაქმნასაც. დაიწყო გეგმაზომიერი და პრინციპული ბრძოლა კანონიერების ლენინური ფუძემდებლური პრინციპების აღდგენისათვის. თანდათანობით კანონის პატივისცემა თანამდებობის ყველა პირის, თვითეული მოქალაქის მრწამსად იქცა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც ფხიზლად ადევნებდა თვალს ამ დადგენილების ცხოვრებაში განუხრელად განხორციელებას, უკვე პარტიის XXIV ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში დადებითი შეფასება მისცა მიღწეულ შედეგებს. მოხსენებაში სკკპ XXV ყრილობაზე ამის თაობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ლვოვის ოლქის პარტიული ორგანიზაციის, თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ დადგენილებებში ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ ორგანიზაციათა ყურადღება მიაპყრო ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს. დღეს ჩვენ შეგვიძლია კმაყოფილებით ავღნიშნოთ, რომ აქედან სწორი დასკვნებია გამოტანილი. პარტიულმა ორგანიზაციებმა მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდისათვის მუშაობა უფრო ინიციატივიანად და ფართოდ წარმართეს“¹.

კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი განუხრელად ხელმძღვანელობს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისა და შემოწმების ლენინური დებულებით. ჩვენი პარტიის უმაღლესი ორგანოს დადგენილებები, რომლებშიც გამოხატულია მასების კონცენტრირებული გამოცდილება, აუცილებლად თავის დროზე და ბოლომდე უნდა შესრულდეს. ამ მიზანს ისახავდა სწორედ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც ღრმად შეისწავლა და მ. წ. 22 ივნისს განიხილა საკითხი „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

შეიქმნა საერთო-საკავშარო, უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტი, რომელშიც მაღალი შეფასება მიეცა საქართველოს კომპარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის დაძაბულ საქმიანობას ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დადგენილების შესასრულებლად, მრეწველობასა და სოფლის

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, თბ. გვ. 104.

მეურნეობაში სამარცხვინო ჩამორჩენათა დასაძლევად, ეკონომიკის, კულტურის ყველა დარგის აღმავლობის უზრუნველსაყოფად.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სწორი დასკვნები გამოიტანა ამ დადგენილებაში აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებებიდან და შეცდომებიდან. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, თბილისის საქალაქო კომიტეტმა და სხვა პარტიულმა კომიტეტებმა თვითკრიტიკულად გააანალიზეს საქმეთა ვითარება რესპუბლიკაში, შეიმუშავეს და ახორციელებენ იმ ღონისძიებათა ფართო სისტემას, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობა. მშრომელთა ცხოვრების ღონის ამალგება, მათი პოლიტიკური შეგნებულობისა და შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი ზრდა“.

ამჟამად პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ადმინისტრაციული ორგანოების ვალია ყოველმხრივ გააღრმავონ მიღწეული პოზიტიური შედეგები, ლოგიკურ დაბოლოებამდე მიიყვანონ დაწყებული ბრძოლა ნეგატიური მოვლენების აღკვეთისათვის, განამტკიცონ სახელმწიფო დისციპლინა, ბოლო მოუღონ უყაირათობას, მფლანგველობას, ფულადი სახსრების უკანონო ხარჯვას, ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ დანაშაულის პროვოქტივისა და დამნაშავეობის შემციობისათვის.

ბოლო ხანს ადმინისტრაციული ორგანოები დიდ მუშაობას ეწევიან მოსახლეობის მართლშეგნების ამალგებისათვის, დაუღალავად ნერგავენ ხალხის შეგნებაში სოციალისტური დემოკრატიის, სამართლისა და კანონიერების იდეებს. ცნობილია, რომ თუ რაოდენ დიდია მართლშეგნების როლი საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებაში, სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განმტკიცებასა და განვითარებაში. ვ. ი. ლენინი ყოველთვის განსაკუთრებულად უსვამდა ხაზს პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეოლოგიის მნიშვნელობას ხალხის სამართლებრივი შეგნების ჩამოყალიბებაში, მისი ენერგიისა და შემოქმედების სოციალისტური მშენებლობისათვის წარსამართავად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სათანადოდ არის შეფასებული ამ დარგში გაწეული მუშაობა. „საქართველოს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები — ვკითხულობთ დადგენილებაში — აუმჯობესებენ ადამიანთა აღზრდის კომუნისტური მორალის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, შრომისა და სახალხო დოვლათისადმი შეგნებული დამოკიდებულების, სოციალისტური დისციპლინისა და საერთო საქმისათვის პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

შეურიგებელი ბრძოლაა გაჩაღებული „მემჩანური, წვრცლბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივების, იმ ნაციონალისტური გამოვლინებების წინააღმდეგ, რომლებიც ჯერ კიდევ ზოგჯერ გვხვდება, მომხვეჭელობის, დრომოჭმული მანვე ზნე-ჩვეულებების, რელიგიურ ცრურწმენების წინააღმდეგ.“ ზორციელდება „სერიოზული ღონისძიებები სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის. ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების, წარსულის ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლაში ებმებიან მშრომელთა სულ უფრო ფართო მასები. გაიზარდა შრომითი კოლექტივების როლი ამ საქმეში. ქალაქებსა და რაიონებში იქმნება მართლწესრიგის საყრდენი პუნქტები, მოზარდთა კლუბები,

უმჯობესდება ამხანაგური სასამართლოებისა და სახალხო რაზმეულების საქმიანობა, რაც ხელს უწყობს სამართალდარღვევათა შემცირებას“.

პარტიის ეს დიდი შეფასება კიდევ მეტს გვავალებს. შეცდომა იქნება, რომ მიღწეულ წარმატებათა ფონზე არ დაგვენახა, ჩვენს საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი და გადაუჭრელი პრობლემები. ბევრ საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში იშვიათად როდი ვხვდებით ბიუროკრატიზმის, ლიბერალიზმის, ფორმალიზმის უპასუხისმგებლობის, უდისციპლინობის, მშრომელთა მოთხოვნისა და საჭიროებათა უგულვებელყოფის შემთხვევებს. ყველაფერს ამას გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ.

ადმინისტრაციულ ორგანოებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ მავნე წესები და ტრადიციები, ძველი წყობილების გამონაშთები, დანაშაული, უპირველეს ყოვლისა, აღმოიფხვრება იდეოლოგიური და აღმზრდელი მუშაობის, დანაშაულის პროფილაქტიკის გაძლიერებით, მაგრამ როდესაც ეს ღონისძიებები სასურველ შედეგს არ იძლევა, სამართალდამრღვევი პირის მიმართ მთელი სიმკაცრით უნდა გამოვიყენოთ საბჭოთა კანონი, სისხლის სამართლებრივი სასჯელი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმულია, თუ რა თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების, შესრულების შემოწმებისა და კონტროლის ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეში. ეს პროცესი შეეხო რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებსაც. საკმარისია ითქვას, რომ მნიშვნელოვნად განახლდა და გაახალგაზრდადა, საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაკთა შემადგენლობა. საკადრო პოლიტიკაში ასეთივე თვისებრივი ცვლილება სასამართლო ორგანოებში და იუსტიციის სხვა დაწესებულებებშიც. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სისტემატურად და ყოველმხრივ სწავლობს რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მოღვაწეობას მთლიანადაც და მისი საქმიანობის ცალკეულ უბნებსაც. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არ გვახსოვს პარტიული ორგანოების ესოდენ დიდი ყურადღება ადმინისტრაციულ ორგანოებისადმი და სოციალისტური კანონების განმტკიცებისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ „უნდა ამაღლდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობა, განმტკიცდეს მეცნიერებისა და ცხოვრების კავშირი, დროული და პრინციპული შეფასება მიეცეს იდეურ შეცდომებსა და ხარვეზებს სამეცნიერო შრომებში“.

ეს მითითება სავალდებულოა ჩვენი იურიდიულ მეცნიერებისათვისაც. უნდა ვაღიაროთ, რომ იურიდიულ მეცნიერების საერთო მდგომარეობა საქართველოში ჯერ კიდევ არაღამაკმაყოფილებელია, საგრძნობლად ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს, სრულყოფილად ვერ უპასუხებს რესპუბლიკაში მიმდინარე დიდმნიშვნელოვან ძვრებს. სწავლულ იურისტთა ნაწილი ანგარიშს არ უწყევს იმ ფაქტს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ სფეროში სამართლებრივი თვალსაზრისით მოსაწესრიგებელია მრავალი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტა იურისტების ჩაურევლად და მეცნიერული რეკომენდაციების გამოუყენებ-

ლად შეუძლებელია. საზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართველი სწავლული იურისტები პატივს არ სცემენ კრიტიკას. რედაქციის განკარგულებაში ამის არავრთი ფაქტია. გამოსული წიგნების კვალიფიციური და საქმიანი განხილვა შემთხვევიდან შემთხვევამდე ხდება. ყოველივე ამას ბოლო უნდა მოედოს.

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაები, სწავლული იურისტები მოვალენი არიან გულდასმით, ღრმად გაეცნონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, იხელმძღვანელონ ამ ისტორიული პოლიტიკური დოკუმენტით, თავიანთი კონკრეტული ამოცანები დადგენილების შესაბამისად და მისი სულისკვეთებით გადაწყვიტონ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდი შეფასება სასამართლოს პროკურატურის, იუსტიციის ყველა მუშაკს, სწავლულ იურისტს ავალებს მთელი შემოქმედებითი ენერგია მოახმარონ კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოპოვებას, თავიანთი წვლილი შეიტანონ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ მიზანდასახულობათა შესრულებაში.

სკკ XXV ყრილობა მშრომელთა ლეკვაჯების აღკომობრივი საბჭოების საქმიანობის გაუგჯობასების ამოსანების შესახებ

პროფ. ზრ. მრემოვი

კომუნისტური პარტია ერთადერთი მმართველი პარტიაა საბჭოთა კავშირში. მისი ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმმა გაიმარჯვა საბოლოოდ და აგებულ იქნა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. ამის შედეგად, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გარდაიქმნა. მას მიზნად აქვს დასახული კომუნიზმის აშენება.

საბჭოთა სახელმწიფო მთელი ხალხის ინტერესებსა და ნებას გამოხატავს. განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში შეიქმნა ახალი ისტორიული ერთობა -- საბჭოთა ხალხის სახით. მას საფუძვლად უდევს მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის ურღვევი კავშირი, სადაც მუშათა კლასს ხელმძღვანელი როლი ეკუთვნის.

მუშათა კლასი სოციალისტური საზოგადოების ყველაზე მოწინავე, ორგანიზებული ძალაა, იგი თავისი მთავარი როლის შესრულებას კომუნიზმის აშენებასთან ერთად დაამთავრებს, როცა გაქრება კლასები¹.

საბჭოთა ხალხის ერთმიზნობრივ მოქმედებას საფუძვლად უდევს ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ურღვევი მეგობრობა.

ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ყველაზე მოწინავე რაზმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც შედგება მუშათა კლასისა, მშრომელი გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის რიგებიდან გამომოსული აქტიური და შეგნებული მოქალაქეებისაგან და არის მშრომელთა ყველა, როგორც საზოგადოებრივი, ისე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბირთვი.

საერთო-სახალხო სახელმწიფოს პირობებში კომუნისტური პარტია მთელი ხალხის პარტიად იქცა, მაგრამ იგი არ ჰკარგავს კლასობრივ ხასიათს.

როგორც ლ. ი. ბრეჟნევი ამბობს: „თავისი ბუნებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იყო და კვლავაც არის მუშათა კლასის პარტია“².

დღეისათვის სსრ კავშირის მოსახლეობის 61 პროცენტს შეადგენს მუშათა კლასი, ხოლო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში გაერთიანებული 15 მილიონ 694 ათასი კომუნისტიდან 58 პროცენტი მუშაა.

კომუნისტური პარტიის ყრილობა ყოველთვის იყო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში. სკკ XXV ყრილობა ჭეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა გახდა, მისი მიმდინარეობისადმი მიპყრობილი იყო ყველა კონტინენტის ხალხთა ყურადღება.

1. იხ. სკკ პროგრამა, 1961 წ. გვ. 112

2. ლ. ი. ბრეჟნევი, სკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, 1976 წ. გვ. 87.

ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“ — გაამდიდრა მეცნიერული კომუნიზმის თეორია და პრაქტიკა, დასახა ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლის გზები და დააკონკრეტა ჰმზვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროგრამა. ყრილობამ თავის დადგენილებით წინადადება მისცა ყველა პარტიულ ორგანიზაციას იხელმძღვანელონ თავიანთ მუშაობაში დებულებებითა და ამოცანებით, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში.³

ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითად მიმართულებებს. ახალი ხუთწლედის მიჩნეულია ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედად. ყრილობაზე ითქვა, რომ სამრეწველო პროდუქციის, კაპიტალურ დაბანდებათა აბსოლუტური მატების მიხედვით, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებებისათვის სახელმწიფო ასიგნობებით მეცხრე ხუთწლედის საუკეთესოა ქვეყნის ისტორიაში. მთავარი ამოცანების, სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით მეცხრე და მეათე ხუთწლიანი გეგმები ერთ მთლიან წარმოადგენენ.

მეათე ხუთწლედში წამოყენებულია ფართო სოციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის მომატებას 16—18 პროცენტით, კოლმეურნეთა შემოსავლის მატებას 24—27 პროცენტით, მოსახლეობისათვის შეღავათების გადიდებას მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე 28—30 პროცენტით.

აშენდება 545—550 მილიონი კვადრატული მეტრი ახალი ბინები. ეროვნული შემოსავალი 1980 წლისათვის გაიზრდება 457,5 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. გადიდება 96 მილიარდით, სამრეწველო პროდუქცია გაიზრდება 197 მილიარდით მანეთით და გადააჭარბებს 720 მილიარდ მანეთს.

ხუთწლედში გათვალისწინებულია სასოფლო სამეურნეო წარმოების თვისებრივი გარდაქმნა, კაპიტალური დაბანდება ამ დარგში მიიღწევეს 172 მილიარდ მანეთს, რაც 41 მილიარდით მანეთით მეტია წინა ხუთწლედთან შედარებით.

დასახულია ამოცანები: გაუმჯობესდეს იდეურ აღმზრდელი მუშაობა, მშრომელთა ზნეობრივი აღზრდა, განმტკიცდეს პოლიტიკური სიფხიზლე, ამაღლდეს ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საგარეო ვაჭრობის დონე და სხვა.

ყრილობის დელეგატებმა მოისმინეს ა. ნ. კოსიგინის მოხსენებაც, „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებები“.

* * *

ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ფართოდ არის გაშუქებული სოციალისტური სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარების აუცილებლობის, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცების, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობის გააქტიურების საკითხები.

³ ვაზ; „კომუნისტი“, 2 მარტი, 1976 წ.

ამოცანა ის არის, რომ ხელი შევეწყოთ სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივობის დონის ყოველმხრივ ამაღლებას, მათი ინიციატივის ყოველნაირად განვითარებას. როგორც ლ. ი. ბრეჟნევი თაგის მოხსენებაში აღნიშნა, „კომუნისტური მშენებლობისათვის მთელი ჩვენი მუშაობის დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ყოველმხრივი განვითარება“⁴.

საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს ასრულებენ საბჭოები, მშრომელთა სრულუფლებიანი ორგანოები, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ საფუძველს. სწორედ ამიტომ სკკპ XXV ყრილობაზე ითქვა, რომ „სახელმწიფო მშენებლობის დარგში პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საბჭოების მუშაობას“⁵.

საბჭოების მეშვეობით მუშათა კლასს შეუძლია უფრო სრულად განახორციელოს მასებისადმი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ხოლო კომუნისტურ პარტიას „აღამაღლოს, აღზარდოს, გაწვრთნას და გაიყოლიოს“ მუშათა და გლეხთა მასები.

საბჭოები, რომლებიც სრულად განასახიერებენ ჩვენი სახელმწიფოს დემოკრატიულ ხასიათს, ყველა პირობას ქმნიან მასების სახელმწიფოებრივ მმართველობაში ჩასაბმელად. მის შემადგენლობაში არიან მუშა და გლეხი, ქალი და კაცი. ახალგაზრდა და ხანშიშესული, სახალხო მეურნეობისა და კულტურის, ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი. ამავე დროს, ყველა ისინი კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის წარმომადგენლები არიან.

საბჭოების მასობრივი ხასიათი საფუძველია მათი მუშაობის საჯაროობისაც. როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, საბჭო ყველასათვის აშკარა ხელისუფლებაა, რომელიც ყველაფერს მასის თვალწინ აკეთებს, მასისათვის ხელმისაწვდომია, უშუალოდ მასისაგან არის გამოსული, ხალხის მასისა და მისი ნების პირდაპირი და უშუალო ორგანოა. ისინი სრულუფლებიანი ორგანოები არიან, თავის ტერიტორიაზე წარმოადგენენ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს. სწორედ ამას ვაუხვება ხაზი სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 1967 წლის 8 მარტის დადგენილებაში „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, რომლის მიხედვითაც „... მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოები თავიანთ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები არიან, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოების გადაწყვეტილებებსა და განკარგულებებს, რომლებიც მათ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიიღეს. აუცილებლად უნდა ასრულებდნენ ყველა თანამდებობის პირნი: აგრეთვე საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი“⁶.

ასეთივე უფლებებით სარგებლობენ ქალაქის, რაიონის, ოლქის და ა. შ. მშრომელთა დეპუტატების საბჭოები შესაბამის ტერიტორიებზე, ისინი თავიანთ ტერიტორიაზე წყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს, ახორციელებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ყველა საწარმოსა და

⁴ ლ. ი. ბრეჟნევი, იქვე გვ 112.

⁵ იქვე, გვ. 112.

⁶ ვაზ. „კომუნისტი“, 1967 წ. 12 მარტი.

ორგანიზაციის მუშაობის კოორდინაციას და კონტროლს, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა⁷.

საბჭოები, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, „მომუშავე კორპორაცია“, ისინი კოლექტიური ორგანოებია და ანსახიერებენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიანობას. საბჭოების მუშაობაში დაცულია დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი. ისინი ინტერნაციონალური ბუნებისა არიან.

საბჭოებს ეს ნიშნები არსებითად აღმოცენების პროცესშივე, ჩანასახშივე ჰქონდა. შემდგომში საბჭოების ხალხურობის თვისებები კიდევ უფრო მკვიდრდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა, ხოლო პირველივე საბჭოთა კონსტიტუციით (1918 წ. 10 ივლისი) საბჭოების სისტემა, მათი არჩევის წესი და სრულყოფილიანობა, საბჭოების მეშვეობით მშრომელთა ნების დაცვა საკანონმდებლო წესით განმტკიცდა.


1975 წელს ჩვენმა ქვეყანამ საზეიმო ვითარებაში აღნიშნა საბჭოების წარმოშობის 70-ე წლისთავი.

ცნობილია, რომ საბჭოები რუსეთში შეიქმნა 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში. ამასთან დაკავშირებით სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 1975 წლის იანვარში მიიღო დადგენილება „რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუციის 70 წლისთავის შესახებ“. დადგენილებაში აღინიშნა, რომ რევოლუციის დროს მუშათა კლასის, ხალხის მასების შემოქმედების შედეგად წარმოიშვა ისტორიაში უმაგალითო პოლიტიკური ორგანიზაციები — მუშათა დეპუტატების საბჭოები, შემდეგში კი გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოები. საბჭოები შეიქმნა საგაფიცვო ბრძოლისა და შეიარაღებული აჯანყების სახელმძღვანელოდ რუსეთის თითქმის ყველა სამრეწველო ცენტრსა და ბევრ სოფელსა და დაბაში. „ლენინის გენიამ — აღნიშნულია დადგენილებაში — მათში განჭვრიტა საბჭოთა ხელისუფლების პირველსახე, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა“⁸. საბჭოთა კავშირის ისტორიულმა გამოცდილებამ მთლიანად და სავსებით დაადასტურა საბჭოების შესახებ ლენინური მოძღვრების ცხოვრებისეული ძალა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოები წარმოადგენენ „ჭეშმარიტად სახალხო ხელისუფლების ყველაზე მასობრივ ორგანოებს“, ნაიღვლი დემოკრატიის გამოხატულებას.

საბჭოების ფუნქციების შემდგომ ზრდას, მათი მუშაობის სრულყოფას და კომპეტენციის დაზუსტებას მოითხოვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. „თქვენ გახსოვთ — თქვა სკკ XXV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევი — რომ თავის დროზე პოლიტიუროს ინიციატივით მიღებული იყო კანონები, რომლებმაც გააფართოვეს სასოფლო და სადაბო, რაიონული და საქალაქო საბჭოების უფლებები და მატერიალური შესაძლებლობანი. საანგარიშო პერიოდში შექმნილმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ ეს ნამდვილად სწორი იყო. ადგილობრივი საბჭოების მუშაობას, როგორც იტყვიან, ახალი ძალა შეემატა. ვფიქრობ, დელებატები მხარს დაუ-

7 იხ. სკკ ცენტრალური კომიტეტის 1971 წ. მარტის დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (ვაზ. „პრავდა“, 1971 წ. 14 მარტი, „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1971, № 12).

8 ვაზ. „კომუნისტი“, 9 იანვარი, 1975 წ.



ქერენ იმ წინადადებას, რომ ისეთი კანონებიც მივიღოთ, რომლებიც განსაზღვრავს სამხარეო, საოლქო და საოკრუგო საბჭოების კომპეტენციას⁹.

საბჭოებისა და მათი დეპუტატების მუშაობა უფრო გააქტიურდა მას შემდეგ, რაც 1972 წლის 20 სექტემბერს მიღებულ იქნა კანონი „სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“. ამ კანონმა ზუსტად განსაზღვრა დეპუტატთა უფლებანი და მოვალეობანი, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და მათ ხელმძღვანელ-მუშაკთა მოვალეობანი დეპუტატთა მიმართ.

ახლა საბჭოების სესიებზე უმუშალოდ დეპუტატთა ინიციატივით უფრო მეტი საკითხია განხილული, ხოლო დეპუტატობის კანდიდატთა წინასაარჩევნო კრებებზე შეხვედრისას კი — ამომრჩეველთა მიერ განაწესების წარდგენამ ფართო ხასიათი მიიღო. „პირდაპირ უნდა ითქვას, — განაცხადა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობაზე — რომ ამომრჩეველთა განაწესების საფუძველზე დეპუტატთა მიერ შეტანილი წინადადებანი ასახვენ ჩვენი ხალხის, მთლიანად ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს“¹⁰.

ა. ნ. კოსიგინმა სკკპ XXV ყრილობაზე თავის მოხსენებაში აღნიშნა: „ისეთ საქმეში, როგორცაა სახალხო მეურნეობის საქონლის გადიდება და მომსახურების სფეროს გაფართოება, ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს. მათ ინიციატივაზე, იმაზე თუ როგორ გამოიყენებენ ისინი მათთვის მინიჭებულ უფლებებს, ბევრად არის დამოკიდებული როგორც ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, ისე მომსახურების სხვა სექტორების მდგომარეობა“¹¹.

ადგილობრივმა საბჭოებმა და მათმა აღმასკომებმა უნდა გაითვალისწინონ სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნები და გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა, ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილონ შესრულების შემოწმებაზე. ყრილობის მასალები დროულად უნდა იქნას დაყვანილი ყველა პარტიულ, საბჭოთა და საპარტიო ორგანოს მუშაკამდე. საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ე. ა. შევარდნაძე შეენო იმ ნაკლოვანებებს, რასაც ადგილი აქვს საქართველოს ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი ორგანოების მუშაობაში: „ჯერ კიდევ არის ბევრი ფორმალისმი და კაზინორობა. რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაობის პრაქტიკაში არ იგრძნობა შემოქმედებისადმი მისწრაფება“¹². აუცილებელია აქედან სათანადო დასკვნები გამოიტანონ ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მუშაკებმა.

სკკპ XXV ყრილობაზე ბევრი რამ ითქვა მუშაობის ლენინური სტილის შესახებ. იგი სავსებით ეხება საბჭოებისა და მათი აღმასკომების მუშაობასაც.

მუშაობის ლენინური სტილისათვის უცხოა სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი. ეს იმას ნიშნავს, რომ საკითხების გადაჭრას უნდა მივუდგეთ მეცნიერულად, დავიცვათ დემოკრატიული პრინციპები, ლენინური სტილი გულისხ-

⁹ ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორჩევი ამოცანები საბინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, 1976 წ., გვ. 113.

¹⁰ იქვე, გვ. 113.

¹¹ გაზ. „კომუნისტი“, 1976 წ. 2 მარტი.

¹² გაზ. „კომუნისტი“, 1976 წ. 23 იანვარი.

მობს მაღალ მომთხოვნელობას საკუთარი თავისა და სხვებისადმი. იგი უნდა პირდება ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას.

საბჭოთა მუშაკი არ უნდა იყოს ყოყოჩი, პარადულობას მოყვარული, არ უნდა ეწეოდეს საქმის ნამდვილი მდგომარეობის შელამაზებას. იგი უნდა იყოს წმინდა, იბრძოდეს პირფერობისა და მლიქვნელობის წინააღმდეგ.

მუშაობის ლენინური სტილი გულისხმობს ყოველი პიროვნების პრინციპულობას, სიმართლეს, პატიოსნებას, სიფხიზლეს, სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოებათა დაცვას, საბჭოთა კანონებისადმი პატივისცემას, ახალი საკითხების დაყენებაში გამბედაობას, მოძველებული, უვარგისი ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლას.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა ხელმძღვანელობის კოლექციალობას და დაკისრებული საქმისადმი პერსონალურ პასუხისმგებლობას, კრიტიკასა და თვითკრიტიკას, კონტროლსა და შესრულების შემოწმებას, კადრებთან მუშაობას.

ამ მომენტებზე გაამახვილა ყურადღება ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში და დიდი შეფასება მისცა მისი დაცვის აუცილებლობას. „განუხრელად დავიცვათ მუშაობის ლენინური სტილი — ყველა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობის, ყველა ჩვენი გეგმის რეალიზაციის წინამძღვარი“¹³ თქვა მან.

საბჭოებისა და მათი აღმასკომების მუშაობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია სოციალისტური შეჯიბრის მოწყობა. სოციალისტური შეჯიბრება ახალი საზოგადოების მშენებლობის მეთოდია, გეგმის შესრულების მძლავრი საშუალებაა.

სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 1971 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში მიიღო დადგენილება „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“¹⁴. მიმდინარე ეტაპზე პარტია მოითხოვს რათა კიდევ უფრო განავითაროთ მასების ინიციატივა და შემოქმედებითი აქტივობა, გავშალოთ საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება სკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

სკკ XXV ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, ადგილობრივი მრეწველობის, ბუნების (ტყეების მოვლის, ნადირობის, თევზაობის და სხვ. წესების) დაცვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა დარგთა და სფეროების მოვლა-პატრონობასა და შემდგომ განვითარებას. მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისა და მათი აღმასკომების როლი ამ პრობლემების გადაწყვეტაშიც ძალზე დიდია.

სკკ XXV ყრილობის მიერ დამტკიცებული დირექტივების შესრულებით ჩვენი ქვეყანა საგრძნობლად წაიწევეს წინ კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე.

ყრილობის დირექტივებში ნათქვამია, რომ „ხუთწლიანი გეგმის შესრულების ორგანიზაციაში დიდი როლი მიეკუთვნებათ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს. მათ კიდევ უფრო აქტიური გავლენა უნდა მოახდინონ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე, შეუწელებელი ყურადღება დაუთმონ მოსახლე-

¹³ ლ. ი. ბრეჟნევი, სკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. 1976, წ. გვ. 97.

¹⁴ ვაზ. „კომუნისტი“, 1971 წ. 5 სექტემბერი.

ოზისათვის საქონლის წარმოების გადიდებას, ქალაქებისა და სოფლების თიღოწყოობას, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას.¹⁵

მეათე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებით უნდა აშენდეს ახალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები სულ ცოტა 7 მილიონი მოსწავლისათვის, აქედან დაახლოებით 4,5 მილიონი მოსწავლისათვის სოფლად. ეს ერთი მონაცემი კი ნათლად გვიჩვენებს თუ რა დიდი ამოცანები დგას საბჭოებისა და მათი აღმასკომების წინაშე ამ დარგში.

X XV ყრილობაზე ა. ნ. კოსიგინმა თქვა: „ძალზე საჭიროა, რომ ტერიტორიულ საწარმოო კომპლექსების შექმნაში აქტიურ შემოქმედებითს როლს ასრულებდნენ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები... სამრეწველო საწარმოების, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების, კომუნალური და კულტურული ობიექტების, სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობისადმი ქმედითი კონტროლი, მათი დროული და სინქრონული საექსპლოატაციო გადაცემა, მასობრივი პროფესიების სპეციალისტთა კვალიფიციური კადრების მომზადება — ყოველივე ეს დიდათაა დამოკიდებული საბჭოთა ორგანოების საქმიანობაზე“.¹⁶

ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი შეეხო კანონმდებლობის სრულყოფის, სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების საკითხს, სამხარეო, საოლქო და საოკრუგო საბჭოების სამოქმედო კანონების შემუშავების საჭიროებას, დეპუტატის სტატუსის შესახებ არსებული კანონის მნიშვნელობას. დაზუსტდება და სრულყოფილი გახდება საბჭოებისა და მათი აღმასკომების ორგანიზაციული მუშაობის ფორმებიც.

საბჭოს სასესიო მუშაობა, საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობა, დეპუტატების მოღვაწეობა შესაბამის საარჩევნო ოლქში, აღმასკომის მუშაობის ორგანიზაცია, აღმასკომის კომისიების საქმიანობა, დეპუტატთა ჯგუფებისა და სადეპუტატო საგუშაგოების მუშაობის ორგანიზაცია, დეპუტატების ანგარიშის მოწყობა ამომრჩეველთა წინაშე, არაკეთილსინდისიერ დეპუტატთა გაწვევის შესახებ საკითხის დაყენება, გაწვეულ დეპუტატთა ნაცვლად გათვალისწინებულ დროში ახალ დეპუტატთა არჩევის ორგანიზაცია, დეპუტატის საქმიანობის ძირითადი გარანტიების დაცვა, სოფლის მცხოვრებთა ყრილობის მოწვევა და მთელი რიგი სხვა საკითხები უნდა მოწესრიგდეს კონსტიტუციითა და მისგან გამომდინარე სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტებით.

დიდმნიშვნელოვანია საბჭოების მუშაობაში სესიების კონსტიტუციურ ვადებში მოწვევა, მათი მუშაობის საჯარო ხასიათი, საბჭოს მუდმივი კომისიებისა და აღმასკომის კომისიების გააქტიურება, აქტივისტთა დარაზმვა საბჭოებისა და მათი აღმასკომების, საბჭოს მუდმივი კომისიების ირგვლივ, დეპუტატებისათვის იმ შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ გამოიყენონ შეკითხვის უფლება, აღმასრულებელი ორგანოების რეგულარული ანგარიშგება და მათი პასუხისმგებლობის გაზრდა ხელისუფლების ორგანოთა წინაშე და ა. შ.

ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ რათა საბჭოების მუშაობაში ჩავაბაძო რაც შეიძლება მეტი მასები. საბჭოთა კავშირში ასეთ აქტივისტთა როდენობა ამჟამად 31 მილიონ კაცს შეადგენს. რასაკვირველია ადვილი არ არის

15 გაზ. „კომუნისტი“, 1976 წ. 7 მარტი.

16 გაზ. „კომუნისტი“, 1976 წ. 2 მარტი.

საბჭოებმა მოაწყონ ასეთი მასის სახელმწიფოებრივ მმართველობაში ჩაბმა. მაგრამ მხედველობაშია მისაღები, რომ მათი უმრავლესობა ნებაყოფლობით, უფასოდ, დიდი ხალისით ასრულებს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციას აღმასკომის შტატგარეშე განყოფილებებში და სხვ.

სკკ XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, საბჭოთა კავშირში 154 სამხარეო და საოლქო, 10 საოკრუგო, 424³ საქალაქო და რაიონული კომიტეტი, 390 ათასი პირველადი ორგანიზაცია და ა. შ. ამ ორგანიზაციების აქტიური და მიზანდასახული საქმიანობა გადამწყვეტია შესაბამის ტერიტორიაზე საბჭოებისა და მათი აღმასკომების მუშაობის სრულყოფაში.

სკკ XXV ყრილობამ მოითხოვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება. უფრო ადრე, კერძოდ 1970 წლის 23 სექტემბერს სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესაბამისად, 1971 წლის 16 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომლის ერთ-ერთ ბუნქტში ჩაწერილია, რომ დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს სამართლებრივი მუშაობა მშრომელთა დებუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებში“.¹⁷

1972 წლის 22 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ზოგადი დებულება „სამინისტროს, უწყების, მშრომელთა დებუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის, საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების იურიდიული განყოფილების (ბიუროს), მთავარი (უფროსი) იურისკონსულტის, იურისკონსულტის შესახებ“.

ამ დებულების მე-8 მუხლით მშრომელთა დებუტატების სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იურიდიული განყოფილება, იურისკონსულტი, „შეამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს გადაწყვეტილებების, განკარგულებების და სამართლებრივი ხასიათის სხვა დოკუმენტების პროექტები, რომლებიც შეაქვთ მშრომელთა დებუტატების საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად, აგრეთვე ვიზას მისცემს მას“.

იურისკონსულტის უფლებებზე და აღმასკომის პასუხისმგებელ პირთა მოვალეობებზეა ლაპარაკი ამავე დებულების 12—16 მუხლებშიც.

სამუხხაროდ იურისკონსულტთა ამ უფლება-მოვალეობებს ბევრგან უგულებელყოფენ, რაც იწვევს კანონიერების დარღვევას.

ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა იბრძოლონ მეთე ხუთწლიანი გეგმის, სკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, მათი შესრულება თითოეული კომუნისტის, თითოეული პარტიული ორგანიზაციისა და მთელი ჩვენი პარტიის ღირსების საქმეა.

¹⁷ სამეურნეო კანონმდებლობის კრებული, შემდგენელი პროფ. ნ. წერეთელი, 1974 წ. 83-76.

სკკ XXV ყრილობა და სახალხო მეურნეობის მართვის საპარტიო-საკომუნისტო საკითხები

თ. ლილუაშვილი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

1. სოციალისტური სახელმწიფო წარმოების საშუალებათა შესაბამისად აქედან გამომდინარე, სოციალიზმის პირობებში ეკონომიკის მართვა მხოლოდ სახელმწიფოებრივ საწყისებზე შეიძლება განხორციელდეს. ეკონომიურ პროცესებს კი სახელმწიფო შეგნებულად და გეგმავითად წარმართავს. ასეთ პირობებში ცხადია, რომ სოციალისტური საზოგადოება, უფრო მეტად ვიდრე რომელიმე სხვა საზოგადოება, საჭიროებს მტკიცე წესრიგსა და ორგანიზებულობას, საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებას, მათ მიზანდასახულად წარმართვას.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მართვა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე აყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრში. ეკონომიკის მართვის შემდგომ სრულყოფას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სკკ XXV ყრილობამ. „უკანასკნელი წლების მანძილზე — აღნიშნა თავის მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი, — ეს საკითხი არაერთხელ განუხილავთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობას. მიღებულია მთელი რიგი დადგენილებები, გვაქვს გარკვეული პრაქტიკული შედეგები. კერძოდ შემუშავებული და დამტკიცებულია მრეწველობის მთელი რიგი დარგების მართვის გენერალური სქემები, იქმნება სულ უფრო მეტი საწარმოო და სამრეწველო გაერთიანებები. ახლა როცა შევიძინეთ საკმაო გამოცდილება, როცა უკეთ გამოიყვანა მიმართულებები, რომლებითაც წინ უნდა ვიაროთ, შეგვიძლია და კიდევაც უნდა დავაჩქაროთ სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა. ასეთია საერთო ამოცანა. იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ იგი, უნდა შევიმუშაოთ და განვახორციელოთ ღონისძიებათა ერთიანი სისტემა, რომლებიც მეურნეობის ხელმძღვანელობის ყველა მხარეს მოიცავენ“¹.

სახალხო მეურნეობის მართვის შემდგომი სრულყოფის ამოცანა განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის უპირატესობათა და შესაძლებლობათა უფრო სრული გამოყენების მიზნით, დასახულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებებით², რომელიც დამტკიცებულია სკკ XXV ყრილობის მიერ.

იხილეთ კითხვა, რა როლი შეუძლია შესასრულოს სამართალმა პარტიის

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, სკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. მოხსენება სკკ XXV ყრილობას, 1976 წლის 24 თებერვალს. გ-ბა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1976, გვ. 80-81.

² სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი. გ-ბა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1976, გვ. 21.

XXV ყრილობის მიერ დასახული ეკონომიკური პროგრამის განხორციელების საქმეში?

უკანასკნელ ხანს მრავალი ნაშრომი გამოქვეყნებული, რომლებშიც სახალხო მეურნეობის მართვის სხვადასხვა ასპექტია განხილული. მიუხედავად ამისა, ბევრ საკითხზე არ არსებობს აზრთა ერთიანობა.

შევხვით მაგალითად ერთ მეტად საღაო საკითხს, საკითხს მეურნეობის მართვის მეთოდების შესახებ.

ვ. ლაბტევი ერთმანეთისაგან განასხვავებს მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის სამართლებრივ ფორმებსა და მეთოდებს. მისი აზრით, მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის სამართლებრივი ფორმებია დაგეგმვა, კონტროლი, სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება³.

ამავე დროს დაგეგმვა ეკონომიურ ლიტერატურაში განხილულია როგორც სახალხო მეურნეობის მართვის უმნიშვნელოვანესი ეკონომიური მეთოდი⁴, ხოლო კონტროლი — როგორც მართვის ფუნქცია⁵.

რაც შეეხება ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის მეთოდებს ვ. ლაბტევის თვალსაზრისით ისინი მრავალგვარია, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციულ და ეკონომიურ მეთოდებს. ამასთან ადმინისტრაციულ მეთოდს, მისი აზრით, არ შეიძლება ვუწოდოთ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მეთოდი, რადგან აღმოჩნდება, რომ ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული მეთოდი ერთად-ერთი სამართლებრივი მეთოდია, ხოლო ეკონომიური მეთოდი არასამართლებრივი, რაც სწორი არ იქნება⁶.

ვ. ლაბტევის მიხედვით გამოდის, რომ როგორც მართვის ადმინისტრაციული, ისე ეკონომიური მეთოდები სამართლებრივი მეთოდებია.

არსებობს დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ სახალხო მეურნეობის მართვის ყველა მეთოდი წარმოადგენს ეკონომიურ მეთოდს⁷. სხვები ფიქრობენ, რომ მართვის სამართლებრივი მეთოდების გამოყოფა არასწორია. ყველა მეთოდი სამართლითაა გაშუალებული და მათი გამოყენება მოწესრიგებულია კანონმდებლობით. სამართლებრივი ასპექტები — ეს არის ის, რაც ანათესავებს მეთოდებს და არ განასხვავებს ერთს მეორისაგან⁸.

საკმაოდ გავრცელებულია აგრეთვე შეხედულება, რომ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ მართვის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, ეთიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები⁹.

არ არის ერთიანი მოსაზრება აგრეთვე იმ საკითხზე, თუ როგორი ურთიერთდამოკიდებულებაა მეურნეობის მართვის ადმინისტრაციულ და ეკონომიურ მეთოდებს შორის. ზოგიერთს ადმინისტრაციული მეთოდი მიაჩნია ვოლუნტარ-

³ В. В. Лаптев, Правовые формы и методы руководства промышленностью, М., 1975, стр. 6.

⁴ О. В. Козлова, С. А. Ленская, За дальнейшее совершенствование системы управления экономикой, М., 1971, стр. 41.

⁵ С. Е. Каменецер, Принципы и методы управления промышленным производством. «Проблемы научной организации управления социалистической промышленностью», М., 1968, стр. 35.

⁶ В. В. Лаптев, Указ. соч. стр. 8.

⁷ А. С. Петров, Экономические основы управления производством, М., 1966, стр. 98.

⁸ Д. Ю. Цивадзе, Управление социалистической экономикой, М., 1975, стр. 80.

⁹ М. П. Лебедев, Государственные решения в системе управления социалистическим обществом, М., 1974, стр. 46.

რიზმისა და სუბიექტივიზმის გამოვლინებად. აქედან გამომდინარე კი ეს მეთოდი, მათი აზრით, შეუთავსებელია განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისათვის და გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ მართვის ეკონომიური მეთოდები¹⁰. მაგრამ ისინიც კი, ვინც არ უარყოფს ადმინისტრაციული მეთოდის გამოყენებას ბოლომდე არ არიან თანმიმდევრულნი. ასე მაგალითად, ა. ომაროვი, რომელიც წინააღმდეგია ეკონომიური და ადმინისტრაციული მეთოდების დაპირისპირებისა, წერს, რომ არა ადმინისტრაციული, არამედ ეკონომიური მეთოდები, იძლევიან საშუალებას მივიღოთ გადაწყვეტილება, რომელიც უშუალოდ არის განსაზღვრული კოლექტივისა და მთლიანად მართვის სისტემით და გაპრობებულია წარმოების შესაძლებლობებით¹¹.

რას ნიშნავს მართვის ადმინისტრაციული მეთოდი? მას განსაზღვრავენ როგორც ისეთ მეთოდს, რომელიც ემყარება მართვის ობიექტის დაქვემდებარებას მართვის სუბიექტისადმი. ადმინისტრაციული მეთოდი ხორციელდება ბრძანების თუ განკარგულების ფორმით, რომლებსაც აქვთ სავალდებულო ძალა და რომელთა შეუსრულებლობა იწვევს სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გატარებას.

ჯერ ერთი, მართვის ადმინისტრაციული მეთოდის ამ საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრებიდან აშკარაა, რომ მისი სახით საქმე გვაქვს სამართლებრივ მეთოდთან, რომელიც კერძოდ საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლით რეგულირდება. სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა ლაპარაკი მართვის ერთი რგოლის მეორისადმი დაქვემდებარებაზე, აგრეთვე ბრძანებისა და განკარგულების სავალდებულობის და მათი შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის არსებობის ახსნა. სხვა საკითხია, რომ უშუალო მბრძანებლური და შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი არ წარმოადგენენ ეკონომიკაზე ზემოქმედების ერთად-ერთ სამართლებრივ საშუალებას ანუ მეთოდს, მაგრამ რომ ის ერთ-ერთი ასეთი მეთოდია — ეს ეჭვგარეშეა¹².

მეორეც, მართვის ადმინისტრაციული მეთოდების მნიშვნელობის განსაზღვრა ჩვეულებრივ ხდება იმისდამხედვით, თუ რამდენად ემყარებიან ისინი (ბრძანება, განკარგულება) ეკონომიურ ფაქტორებს, თუ რამდენად დასაბუთებულია ისინი ეკონომიურად. ეკონომიურად დასაბუთებული ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებას საერთოდ არავინ არ უარყოფს.

¹⁰ Б. В. Ракитский, Учение В. И. Ленина об экономической роли государства и современность. Тезисы докладов, М., 1969, стр. 14.

¹¹ Научные основы управления социалистической экономикой. Под ред. проф. А. М. Омарова, М., 1976, стр. 94—96.

¹² ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების სხვადასხვა მეთოდები პროფ. რ. ხალფინამ სამ ძირითად სახედ დაყო: 1. ზემოქმედება უშუალო მბრძანებლური მითითების გზით, რომლის შესრულება სავალდებულოა იმათთვის, ვისაც ის ეგზავნება (ზემოქმედების ეს მეთოდი დამახასიათებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებისათვის); 2. ავტონომიური სუბიექტების ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება, რომლებსაც მიცემული აქვთ შესაძლებლობა თითონ მიიღონ გადაწყვეტილება და განახორციელონ ის (მაგალითად, საწარმოებს შორის ურთიერთობა. ეს მეთოდი გაშუალებულია სამოქალაქო, შრომის და საკოლმეურნეო სამართლის ნორმებით); 3. სახალხო მეურნეობის მართვისა და სამეურნეო საქმიანობის სფეროში სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციფიკური ღონისძიებანი (ადმინისტრაციული, დისციპლინური და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა). იხ. «Государство — право — экономика», М., 1970, стр. 122.

მაგრამ აქედან გამომდინარე უნდა გავაკეთოთ დასკვნა: მანკიერია არა ადმინისტრაციული მეთოდი, როგორც ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების ერთ-ერთი მეთოდი, არამედ მისი არასწორად სარგებლობა, ამ მეთოდის გამოყენება ეკონომიურ კანონზომიერებათა გათვალისწინების გარეშე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართვის ეკონომიური მეთოდებისა და ბერკეტების გამოყენება სამართლებრივი და მათ შორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მეთოდების გამოუყენებლად საერთოდ შეუძლებელია. ყოველგვარი ეკონომიურად დასაბუთებული ღონისძიება, რომელსაც არა აქვს მინიჭებული იურიდიული ძალა, წააგავს მეცნიერის მიერ კვლევის წყალობით მიღებულ პრაქტიკულ შედეგებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის დანერგილი სახალხო მეურნეობაში. ამიტომ, ეკონომიკაზე სამართლებრივი ზემოქმედების საშუალებათა, მათ შორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მეთოდების გამოყენების უარყოფა, უბრალოდ შეუძლებელია.

სხვა საკითხია ბრძოლა ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ.


როგორც ჩანს, ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების სამართლებრივ მეთოდებს შორის ადმინისტრაციული მეთოდი (უშუალო მბრძანებლური განკარგულებების მიცემა) სუბიექტივიზმის გამოვლინების ყველაზე მეტ შესაძლებლობებს იძლევა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საჭიროა მართვის სუბიექტის საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფა, ამ საქმიანობის განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებში მოთავსება. მართვის სუბიექტს უნდა შეუწარმუნდეს შესაძლებლობა ცალმხრივად და მბრძანებლურად გადაწყვიტოს რიგი საკითხებისა, მაგრამ სათანადო სამართლებრივმა რეგლამენტაციამ ხელი უნდა შეუწყოს მიღებულ გადაწყვეტილებათა ეკონომიურ დასაბუთებულობას.

2. სამართალი, როგორც ცნობილია, რეგულირებასა და რეგულირების მეთოდს ემყარება. ამ კატეგორიების გვერდით სამართალს არა აქვს ისეთი დამატებითი სპეციალური ხერხები და საშუალებები, რომლებსათვის შეიძლება და გვეწოდებინა სამართლებრივი მართვის მეთოდები. ეს რომ ასე ყოფილიყო მაშინ უდაოდ წამოიჭრებოდა საკითხი, თუ რა განსხვავებაა სამართლებრივ რეგულირებასა და სამართლებრივი რეგულირების მეთოდს, ერთის მხრივ, და სამართლებრივი მართვისა და მართვის სამართლებრივ მეთოდს შორის მეორეს მხრივ. შემთხვევითი არ არის, რომ ის ვინც მართვის სამართლებრივ ასპექტებზე მსჯელობს ნებით თუ უნებლიეთ მსჯელობს სამართლებრივ რეგულირებაზე და კერძოდ სახალხო მეურნეობის სამართლებრივ რეგულირებაზე და მის მეთოდებზე. ადმინისტრაციული სამართალიც კი, რომლის საგანია მმართველობითი ურთიერთობანი, განსაზღვრულია როგორც სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს საბჭოთა სახელმწიფოს ადმასრულებელ და განმკარგულებელ საქმიანობას, ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობების იმ სფეროს, რომელსაც ეწოდება სახელმწიფოს მმართველობა¹³.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სწორი იქნება ვთქვათ: **სახელმწიფო არეგულირებს იმისათვის, რომ მართოს**, მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეთქვა: **სახელმწიფო მართავს, იმისათვის, რომ მოარეგულიროს**.

ამრიგად, სამართლებრივი რეგულირება მთლიანად გვევლინება, როგორც

¹³ გ. ერემოვი, საბჭოთა ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 1973, გვ. 27.



მართვისა და კერძოდ სახალხო მეურნეობის მართვის ერთ-ერთი და ამავე დროს უაღრესად ეფექტური საშუალება ანუ მეთოდი. აქედან გამომდინარე უფრო სწორი იქნება საკითხი დავსვათ არა მართვის სამართლებრივი მეთოდების შესახებ — როგორც აღვნიშნეთ რეგულირების გვერდით და მისგან განსხვავებით სამართალი არ იცნობს მართვის რაიმე სპეციფიკურ მეთოდებს, — არამედ მართვის სამართლებრივი რეგულირებისა და მისი მეთოდების შესახებ.

საკითხის ამგვარი დაყენება, ჩვენი აზრით, ნათელს მოჰფენს განსახილველ საკითხს და აღმოფხვრის ამ საკითხზე გამოთქმულ მრავალ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებას.

როგორია მართვისა და კერძოდ სახალხო მეურნეობის მართვის სამართლებრივი რეგულირების მეთოდები?

სამართლებრივი რეგულირების მეთოდი არის ის ხერხები და საშუალებები, რომლებითაც სამართალი ზემოქმედებს ადამიანის შეგნებაზე და ნებაზე. სახალხო მეურნეობის მართვის მიმართ სამართლებრივი რეგულირების მეთოდები იქნება ის ხერხები და საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც სახელმწიფო ზემოქმედებს ეკონომიკაზე, ახორციელებს მმართველობით ფუნქციებს¹⁴.

სამართლის თითოეულ დარგს, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ზემოქმედებს ეკონომიკაზე, აქვს თავისი სპეციფიკური მეთოდი. მაგალითად, რამდენადაც სამოქალაქო სამართალს საქმე აქვს სასაქონლო-ფულად ურთიერთობებთან, ამის შესაბამისად ასეთ ურთიერთობათა რეგულირების მეთოდად გამოყენებულია ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობა, რაც სხვანაირად ნიშნავს ამ ურთიერთობის მონაწილეთა ერთმანეთისადმი დაუქვემდებარეობას. სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების მეთოდი გულისხმობს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ინიციატივას ამ ურთიერთობის წარმოშობასა და განვითარებაში, თუმცა ასეთი ინიციატივის ხასიათი და მიმართულება სოციალისტური ორგანიზაციების მიმართ ზოგადად განსაზღვრულია საგეგმო დავალებებით. სულ სხვა ხასიათისაა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მეთოდი, რომელიც პირიქით გულისხმობს ურთიერთობის მონაწილეთა უთანასწორობას.

მართვის ობიექტი ექვემდებარება მართვის სუბიექტს. ამიტომ მმართველობით ურთიერთობებში გამოირიცხულია რეგულირების ხელშეკრულებითი მეთოდი. აქ მოქმედებს მბრძანებლურ მითითებათა მეთოდი, რომელშიც გამოსახტულია მართვის სუბიექტის ნება და რომლის შესრულება სავალდებულოა მართვის ობიექტისათვის. რეგულირების თავისი მეთოდები აქვს სამართლის სხვა დარგებსაც.

ამ წერილში ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა დაწვრილებით განვიხილოთ სამართლის ცალკეული დარგის მეთოდები და მათი სახალხო მეურნეობის მართვის პროცესებისადმი ურთიერთდამოკიდებულება. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ ვარდა რეგულირების სპეციალური მეთოდებისა, არსებობს სამართლებრივი რეგულირების მეთოდები, რომლებიც საერთოა სამართლის ყველა დარგისათვის და რომლებსაც იურიდიულ ლიტერატურაში ზოგჯერ რეგულირების უნივერსალურ მეთოდებსაც უწოდებენ¹⁵. ასეთი მეთო-

¹⁴ დაწვრილებით სამართლებრივი რეგულირების მეთოდების შესახებ იხ.

В. М. Горшенев, Способы и организационные формы правового регулирования в социалистическом обществе, М., 1972.

¹⁵ См. О. С. Иоффе, Юридические нормы и человеческие поступки, «Актуальные вопросы советского гражданского права», М., 1964, стр. 26.

დებია გარკვეული მოქმედების შესრულების ნების დართვა, აკრძალვა, აგრეთვე დარწმუნების, წახალისებისა და იძულების მეთოდები.

ნებართვა, სამართლებრივი ზემოქმედების ისეთი საშუალებაა, როდესაც სამართლებრივი ნორმა სამართლის სუბიექტებს აძლევს შესაძლებლობას შეასრულოს გარკვეული მოქმედება. ასეთ შემთხვევაში მოქმედების შესრულება ამ პირობების გათვალისწინებით რაც კანონითაა განსაზღვრული, სამართლის სუბიექტის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. მაგალითად, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 726 დადგენილება „სამრეწველო საწარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულების გაძლიერების შესახებ“, ითვალისწინებს საამორტიზაციო ფონდის გამოყენების შემდეგ წესს: საამორტიზაციო ანარიცხების ნაწილი, რომელიც განკუთვნილია კაპიტალური რემონტისათვის, რჩება საწარმოს განკარგულებაში. საწარმოებს ნება აქვთ დართული ხარჯონ ეს სახსრები პირდაპირი დანიშნულებით აგრეთვე ძირითადი ფონდების მოდერნიზაციისათვის, კაპიტალური რემონტისათვის საჭირო დეტალების, კვანძებისა და ახალი მოწყობილობების შესაძენად, ნაცვლად მოძველებულისა, რომლის კაპიტალური რემონტი ეკონომიურად მიზანშეწონილი არ არის“¹⁶.

ზემოქმედების ისეთი მეთოდი, როგორცაა აკრძალვა იმაში მდგომარეობს, რომ მიუთითებს, თუ რომელი მოქმედების შესრულება ან რომელი მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავება არ შეიძლება. მოკლედ რომ ვთქვათ ეს მეთოდი კრძალვას რაიმე მოქმედების შესრულებას ან ამ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებას. მაგალითად, ზემოდმოყვანილი დადგენილების თანახმად საწარმოების განკარგულებაში მოგებისა და სხვა საკუთარი რესურსების ხარჯზე შეიქმნება მატერიალური წახალისების ფონდი, სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა ფონდი და წარმოების განვითარების ფონდი. „აღნიშნული ფონდების გამოყენებელი ნაშთები გადადის შემდეგი წლისათვის და საწარმოდან მათი ამოღება არ შეიძლება“¹⁷.

ზემოქმედების ისეთი ღონისძიებანი, როგორცაა აკრძალვა და ნებართვა ზშირად ურთიერთშეხამებით გამოიყენებიან. მაგალითად, სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ დებულების 47-ე პუნქტის თანახმად „საწარმოსათვის დამტკიცებული გეგმიან დავალებათა შეცვლა შეუძლია ზემდგომ ორგანოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ამასთან ეს საკითხები წინასწარ უნდა იქნეს განხილული საწარმოს ადმინისტრაციასთან ერთად იმ წესითა და ვადებში, რასაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს“¹⁸.

როგორც ამ ნორმის შინაარსიდან ჩანს ზემდგომ ორგანოს შეუძლია შეუცვალოს საწარმოს დამტკიცებული საგეგმო დავალება. მაგრამ აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ სხვა ორგანოს, მათ შორის თვით საწარმოს ადმინისტრაციას ასეთი უფლება არა აქვს.

როგორც წესი სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული ნებადართული ან აკრძალული მოქმედების შესრულების პირობებს თვით სამართალზემოქმედებითი ორგანო ადგენს. ასე მაგალითად, საწარმოს უფლება აქვს მი-

¹⁶ იხ. სამეურნეო კანონმდებლობის კრებული. შემდგენელი პროფ. ნ. წერეთელი, თბ., 1974, გვ. 17.

¹⁷ იქვე, გვ. 103.

¹⁸ იქვე, გვ. 103.

ილოს სხვა საწარმოსაგან და ორგანიზაციისაგან შეკვეთები, შეასრულოს სამუშაო და დაამზადოს პროდუქცია გეგმის გადამეტებით შემკვეთის ნედლეული-სა და მასალის ან თავისი მასალისა და წარმოების ნარჩენებისაგან თუ ეს ზიანს არ მიაყენებს მისთვის დაწესებულ სახელმწიფო გეგმასა და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ამრიგად, საწარმოს უფლება აქვს მიიღოს შეკვეთები სხვა საწარმოსაგან, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს ზიანს არ აყენებს საგეგმო დავალებებისა და სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებას.

სამართლებრივი ნორმა ყოველთვის გამიზნულია ამა თუ იმ სოციალურ ეკონომიური ხასიათის ეფექტის მიღწევისაკენ. ამისათვის სამართალი იყენებს სხვადასხვა საშუალებებს. მაგალითად, თუ სამართლებრივი ნორმის მიზანს შეადგენს რაიმე მოქმედების აკრძალვა, მაშინ კანონმდებელი ამ ნორმის უზრუნველსაყოფად იყენებს ისეთ საშუალებას, როგორცაა იძულება. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ იძულება სხვა შემთხვევაში არ გამოიყენება. იძულება ყოველთვის ახლავს ყველა ნორმას, როგორც ამ ნორმის შესრულების უზრუნველყოფის სამართლებრივი გარანტია. იძულება სამართალში, როგორც ცნობილია გამოიხატება იძულებით ღონისძიებებში, რომელთა გამოყენება შეუძლია კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს. იძულებით ღონისძიებებს მიეკუთვნება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, მატერიალური პასუხისმგებლობა და ა. შ.

იძულება არის და კვლავაც დარჩება სამართლებრივი ნორმის მოთხოვნათა შესრულების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად. თავის მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს, რომ „უგერგილო ხელმძღვანელ მუშაკებს უნდა დავუგმანოთ ყველა ხვრელი, რომლებიც ჯერ კიდევ აძლევენ შესაძლებლობას გაძვრნენ მოწინავეთა რიგებში სახელმწიფო ვალდებულებათა დარღვევისა და პროდუქციის დაბალი ხარისხის, რეზერვების ცუდი გამოყენების მიუხედავად. ამისათვის საჭიროა მატერიალური და მორალური სტიმულების ქმედითი სისტემა, რომელიც შეხამებული იქნება მკაცრ და გარდაუვალ სანქციებთან საგეგმო და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევისათვის“¹⁹.

მაგრამ იძულება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლებრივი ნორმა დარღვეულია. ამიტომ ნორმის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის მთავარი მეთოდებია დარწმუნება და წახალისება.

დარწმუნება სახალხო მეურნეობის მართვის სფეროში ვლინდება იდეოლოგიურ ზემოქმედებაში, მშრომელთა აღზრდაში მაღალი პოლიტიკური შეგნებულობისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით; აგრეთვე, სახელმწიფო საგეგმო დავალებათა შესრულების, პარტიის ეკონომიური პროგრამის განხორციელების მნიშვნელობის ახსნა-განმარტებაში.

ჩვენი სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზემოქმედების ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა წახალისება, რომელიც ორი სახისაა: მორალური და მატერიალური. უნდა აღინიშნოს, რომ მატერიალური და მორალური სტიმულები გამოიყენება არა-

¹⁹ ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი აპოკანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. მოხსენება სკკპ XXV ყრილობას 1976 წლის 24 თებერვალს, თბ., 1976, გვ. 83.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარტო სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული ქცევის შესასრულებლად, არამედ, აგრეთვე ისეთი მოქმედების შესასრულებლადაც, რომელიც სამართლებრივი ნორმით არ არის მოწესრიგებული. ასეთია, მაგალითად, სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობა, მაღალი სოციალისტური ვალდებულებების აღება. სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობა, როგორც ცნობილია, მორალის საკითხია და არა სამართლის, მაგრამ აღნიშნული მორალური ხასიათის მოქმედების შესრულებისთვის კანონმდებელი ითვალისწინებს მატერიალურ და მორალურ სტიმულებს.

ამრიგად, სამართალი მატერიალურ და მორალურ სტიმულებს იყენებს არამარტო სამართლის ნორმით მოწესრიგებული მოქმედების შესრულების უზრუნველსაყოფად, არამედ ისეთ მოქმედების შესრულების უზრუნველსაყოფადაც, რომელიც რეგულირდება მორალით და რომლის მიზანია საზოგადოებისათვის სასარგებლო შედეგის მიღწევა. ასეთ შემთხვევაში გამოყენება იძულებისა, როგორც სამართლებრივი ნორმის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებისა არ დაიშვება. სამართლებრივი იძულება მხოლოდ სამართლებრივი ნორმის მუდმივი თანამგზავრია. ამიტომ ისეთი სოციალურად სასარგებლო ქცევის სტიმულირებისათვის, რომელიც მოწესრიგებულია არა სამართლებრივ ნორმით, არამედ მორალით, შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ მორალური და მატერიალური წახალისება.

რამდენადაც მორალური და მატერიალური სტიმულები გათვალისწინებულია ვარკვეული მოქმედების შესრულების უზრუნველსაყოფად, ცხადია ეს სტიმულები სწორად უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ქცევის წახალისებამ, რომელიც ამას არ იმსახურებს, ან პირიქით, ისეთი ქცევის წახალისებლობამ, რომელიც წახალისებას იმსახურებს შეიძლება მოგვცეს პირუკუ ეფექტი: შესუსტოს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა, გამოიწვიოს უპატივცემულობა ჩვენს საზოგადოებაში მოქმედი სოციალური ნორმებისადმი საერთოდ და სამართლებრივი ნორმებისადმი კერძოდ.

3. ამრიგად, სამართლებრივი რეგულირება წარმოადგენს სახალხო მეურნეობის მართვის ისეთ საშუალებას, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს მტკიცე წესრიგი და ორგანიზებულობა ეკონომიურ ურთიერთობებში, სოციალისტური ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება და განვითარება. ამასთან ერთად, როგორც სწორად მიუთითებს ს. ალექსეევი თანამედროვე პირობებში სამართლის გარდა არ არსებობს სხვა სოციალური ნორმების სისტემა, რომელიც ეკონომიკის რეგულირების ასეთივე ეფექტური და მიზანშეწონილი ფორმა იქნებოდა²⁰.

ასეთი დანიშნულებიდან გამომდინარე სამართალს ბუნებრივია უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულ სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების განხორციელებაში. იქ სადაც არა გვაქვს სამეურნეო ურთიერთობის ზუსტი და სრულყოფილი ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირება, იქმნება სუბიექტივისტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა, რაც საბოლოო ანგარიშში ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას.

ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ საბჭოთა კანონმდებლობის შემდგომი

²⁰ С. С. Алексеев, Социальная ценность права в советском обществе, М., 1972, стр. 163.

სრულყოფის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სკკპ XXV ყრილობამ. ამჟამად, როგორც ეს აღნიშნა თავის მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი, მიმდინარეობს მუშაობა შრომის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის და ზოგიერთი სხვა კანონის სრულყოფისათვის. „ბევრი რამ უნდა გაკეთდეს აგრეთვე სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების გაუმჯობესებისათვის. ჩვენი კანონები ამ სფეროში, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევი, — უფრო ქმედითად უნდა უზრუნველყოფდნენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვის ამოცანების გადაწყვეტას. ისინი უფრო ეფექტიანად უნდა ებრძოდნენ სახელმწიფოს მოტყუების, წამატებების, სოციალისტური საკუთრების დატაცების ფაქტებს, კუთხურობის გამოვლინებებსა და სხვა“²¹.

სამართლებრივი ნორმის ეფექტურობა სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის პირობებზეა დამოკიდებული. ამ პირობათა გათვალისწინება სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების დროს აუცილებელია, რათა მიღწეულ იქნეს სასურველი შედეგი. სამართლებრივი ნორმის ეფექტურობის ერთ-ერთი ასეთი პირობაა ზემოქმედების სამართლებრივი საშუალებების სწორად შერჩევა. ყველასათვის ცნობილია, მაგალითად, თუ რა დიდი ზარალი მოსდის სახალხო მეურნეობას კადრების დენადობისა და დისციპლინის დარღვევების შედეგად. მეცნიერულ ლიტერატურაში და პრესის ფურცლებზე ხშირად გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ საჭიროა გავაძლიეროთ და შემოვიღოთ ახალი უფრო მკაცრი სანქციები. რა თქმა უნდა სანქციები ყოველთვის იყო და რჩება ნორმით გათვალისწინებული ქცევის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად. ამიტომ უფრო ეფექტური სანქციების გამოძენის მიზანშეწონილობა ეჭვს არ იწვევს. საჭიროა მხოლოდ, რომ ყოველი წინადადება და რეკომენდაცია, მიმართული იძულებითი ღონისძიებების გაძლიერებისაკენ, იყოს ყოველმხრივ მოფიქრებული და დასაბუთებული. წინააღმდეგ შემთხვევაში სი-ახლემ კანონმდებლობაში არ შეიძლება მოგვეცეს სასურველი ეფექტი, ხოლო ახალი სანქციებით ზედმეტმა გატაცებამ შეიძლება შეასუსტოს ყურადღება იმ ეკონომიურ და სოციალურ ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე, რომლებსაც მართლაც რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კადრების დენადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და სახელმეკრულებო, ტექნოლოგიური თუ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ჩვენი სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია შრომის სწორი ორგანიზაცია. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სწორედ შრომის პირობების გაუმჯობესებასა და შრომის ორგანიზაციის შემდგომ სრულყოფას. ცნობილია, რომ შრომის ორგანიზაციის სრულყოფა მოიცავს ღონისძიებათა ფართო წრეს, როგორცაა მაგალითად, კადრების შერჩევა და განლაგება სამუშაო ადგილის ორგანიზაცია და მომსახურება, შრომის ჯანმრთელი და უსაშიშრო პირობების შექმნა, შრომისა და დასვენების რაციონალური რეჟიმის დადგენა, ახალი ტექნიკის დანერგვა, შრომის მორალური და მატერიალური სტიმულირება და ა. შ. დღეს ეჭვი არავის ეპარება, რომ სწორედ შრომის ორგანიზაციაზეა დამოკიდე-

²¹ ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. მოხსენება სკკპ XXV ყრილობას 1976 წლის 24 თებერვალს, თბ., 1976, გვ. 114.

ბული ძირითადად როგორც კადრების დენადობის შემცირება, ისე დისციპლინის განმტკიცება. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ლოგიკურია დასკვნა, რომ კადრების დენადობის შემცირებისა და დისციპლინის განმტკიცების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არა ახალი უფრო მკაცრი საჩქევების გამოქმენას (თუმცა არც ეს არის გამორიცხული), არამედ იმ სამართლებრივი ნორმების სრულყოფას, რომლებიც შრომის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს.

აღსანიშნავია, რომ სამართალი, თუმცა გაპირობებულია სოციალ-ეკონომიური ფაქტორებით, მაგრამ თავისთავად ისინი არ გვთავაზობენ გადაწყვეტილების მზამზარეულ ვარიანტებს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ უკლებლივ ყველა ნორმა, რომელიც სამეურნეო ურთიერთობებს აწესრიგებს, ეკონომიური აუცილებლობის ზუსტი გამოხატულება იქნებოდა და სამართლის ნორმის ეფექტურობის საკითხი, ყოველ შემთხვევაში სამართალ-შემოქმედებითი საქმიანობის ეტაპისათვის, მოიხსნებოდა. მაგრამ ეს ასე არ არის. ფაქტორები, რომლებითაც გაპირობებულია სამართალი, მხოლოდ მიმართულებას აძლევს კანონმდებელს. მან თითონ უნდა შეარჩიოს გადაწყვეტილების ყველაზე უფრო ოპტიმალური ვარიანტი, გამოიწიოს შესაფერისი სამართლებრივი ფორმა, შექმნას ქცევის მოდელი. როგორც ზემოთ ითქვა დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე შემოქმედების იმ სამართლებრივ საშუალებათა შერჩევას, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ნორმის მოთხოვნათა ცხოვრებაში გატარება.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ მოკლედ შევეხეთ სახალხო მეურნეობის მართვის მხოლოდ ზოგიერთ სამართლებრივ საკითხს. არსებობს ეკონომიკაზე სახელმწიფოს შემოქმედების სხვა ეფექტური სამართლებრივი საშუალებებიც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამართლის გამოყენებას პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის ძალიან ფართო შესაძლებლობები გააჩნია.

დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის საქმისებში სასამართლო პრაქტიკაში

პროფ. თ. წარმთალი

„განზრახი მკვლელობა უმძიმესი დანაშაულია მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობ დასაშაულთა შორის“¹. მით უფრო მძიმეა განზრახი მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში. დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის სახეები ამომწურავად არის ჩამოთვლილი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლში. ისეთი დამამძიმებელი გარემოება, რომელიც მითითებული არ არის ამ მუხლში, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული 105-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობისათვის დადგენილი სასჯელის ფარგლებში და თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გარემოება მოხსენიებულია სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში (ზოგადი გარემოებანი, რომლებიც ამძიმებენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას).

104-ე მუხლში მოხსენიებული თითოეული გარემოება საკმარისია იმისათვის, რომ განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილად ჩაითვალოს, მაგრამ ცხადია, თუ განზრახი მკვლელობის ჩადენის დროს ორი ან რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება არსებობს, ეს კიდევ უფრო დამამძიმებს პასუხისმგებლობას.

როდესაც განზრახი მკვლელობა ჩადენილია 104-ე მუხლში მითითებული ორი ან მეტი დამამძიმებელი გარემოების არსებობის პირობებში, მისი კვალიფიკაციის დროს საჭიროა მითითება 104-ე მუხლის ყველა იმ პუნქტზე, სადაც ეს დამამძიმებელი გარემოებებია დასახელებული. თუმცა სასჯელი ცალ-ცალკე პუნქტის მიხედვით არ დაინიშნება, მისი დანიშვნის დროს მხედველობაში მაინც იქნება მიღებული რამდენიმე დამამძიმებელი გარემოების არსებობა². ასეთი კვალიფიკაცია შესაძლებლობას იძლევა სათანადოდ იქნეს შეფასებული მკვლელის მიერ ჩადენილი დანაშაულის და თვით მკვლელის საზოგადოებრივი საშიშროება, საქმის ყველა გარემოება, და დამნაშავეს სამართლიანი სასჯელი დაედოს.

სასამართლოში საქმის განხილვის დროს შეიძლება გამოიჩვენოს, რომ ქმედობა არასწორად არის კვალიფიცირებული 104-ე მუხლის ამა თუ იმ პუნქტით და საჭიროა მისი კვალიფიკაციის შეცვლა ამავე მუხლის სხვა პუნქტით. თუ კვალიფიკაციის შეცვლა დაკავშირებულია ბრალდების ფორმულის შეცვლასთან, ასეთ შემთხვევაში, თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 27 ივნისის დადგენილებისა, სასამართლოს უფლება არა აქვს

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის № 4 დადგენილება „განზრახ მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

«Бюллетень Верховного Суда СССР», 1975, № 4, გვ. 8.

² იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1975, № 4, გვ. 8.

პროცესის ყველა სტადიაში თვით შეცვალოს ქმედობის კვალიფიკაცია 104-ე მუხლის ერთი პუნქტით იმავე მუხლის მეორე პუნქტზე, არამედ მან უნდა დააბრუნოს საქმე დამატებითი გამოძიებისათვის. სასამართლოს მხოლოდ მაშინ, შეუძლია შეცვალოს 104-ე მუხლის ერთი პუნქტი მეორე პუნქტით, როდესაც კვალიფიკაციის ასეთი შეცვლა არ იწვევს ბრალდების ფორმულის შეცვლას და ამიტომ არ არღვევს ბრალდებულის დაცვის უფლებას³.

განზრახი მკვლელობა ანგარების მიზნით. 104-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს მკვლელობას ანგარებით. თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილებისა „განზრახი მკვლელობის თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ ანგარებით მკვლელობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დამნაშავე მიზნად ისახავდა მიეღო რაიმე მატერიალური გამორჩენა (ფული, ქონება, ქონებრივი უფლება, საბინაო ფართობის უფლება და ა. შ.) ან თავი გაეთავისუფლებინა მატერიალური ხარჯისაგან, მაგალითად, ვალის გადახდისაგან, ალიმენტის გადახდისაგან და სხვ⁴.

ამგვარად ანგარებითი მკვლელობა გულისხმობს ან რაიმე მატერიალური მოგების მიღებას ან ასეთივე ვალდებულებისაგან თავის გათავისუფლებას. თუ მკვლელი არც ერთი ამ მოტივით არ ხელმძღვანელობდა, მისი ქმედობა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ანგარებითი მკვლელობა. შ.-მ. მკვლელობის განზრახვით მსუბუქად დაჭრა თავისი ყოფილი ცოლი კ., რომელმაც არ გადაუხადა მას 200 მან., რასაც სარემონტო სამუშაოებისათვის დაჰპირდა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1965 წ. 20 ივლისის დადგენილებაში მიუთითა, რომ შ.-ის მოქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ანგარებითი მკვლელობის მცდელობა, რადგან მისი მოქმედების მამოძრავებელი მოტივი იყო უკმაყოფილება კ.-ას მიმართ, რომელმაც არ აუნაზღაურა მას სახლის შესაკეთებლად გაწეული ხარჯი⁵.

ანგარებითი მკვლელობის ტიპობრივი მაგალითია ბავშვის მკვლელობა ალიმენტის გადახდისაგან თავის დაღწევის მიზნით. კ. ცნობილი იყო დამნაშავედ ხუთი თვის შვილის ოქსანას მკვლელობაში. კ.-ის მეუღლე აპირებდა მასთან გაყრას და სასამართლოს წესით ალიმენტის მოთხოვნას, რადგან კ. უარს ამბობდა ოჯახის დახმარებაზე და ხშირად ეჩხუბებოდა ცოლს. ალიმენტების გადახდის თავიდან ასაცილებლად კ.-მ ბავშვი მოწამლა⁶.

სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშვა საკითხი, თუ როგორ უნდა იქნეს დაკვალიფიცირებული მკვლელობა, ჩადენილი იმ ვალისაგან თავის დაღწევის მიზნით, რაც ქურდობაში ერთობლივი მონაწილეობისაგან წარმოიშვა. პ.-მ და ტ.-მ ერთად მოიპარეს ქსოვილები და საღებავები. მათი რეალიზაცია იკისრა პ.-ს ცოლმა. როდესაც ტ.-მ მოისურვა თავისი კერძი ფულის ან ქსოვილის მიღება, პ.-მ სთხოვა დაეცადა. ტ. დაჟინებით ითხოვდა თავის წილს. მაშინ პ.-მ გადაწყვიტა მისი თავიდან მოცილება და არასრულწლოვან ს-თან ერთად ჰოკლა იგი. რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ

³ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1975, № 4, зб. 11.

⁴ იქვე, გვ. 9.

⁵ «Сборник постановлений Пленума и определений коллегии Верховного Суда СССР по уголовным делам 1959—1971», М., 1973, зб. 195—196.

⁶ «Сборник постановлений Президиума и определений судебной коллегии по уголовным делам Верховного Суда РСФСР 1964—1972», М., 1974, зб. 228—229.



ქართული
ენების
სამეცნიერო
ცენტრი

„სახელმწიფო ქონების დანაშულებრივი გზით შექმნა არ ანიჭებს იმ პირს, ვინც ამ ქონებას დაეუფლა, მასზე კანონიერ უფლებას“⁷. მაგრამ ამავე დროს კვლევამ მიუთითა, რომ პ.-ს მიერ მკვლელობა ჩადენილი იყო ტ.-ს ქონებრივი პრეტენზიების თავიდან აცილების მიზნით. ხოლო „განზრახი მკვლელობა, ჩადენილი რაიმე მატერიალური გამორჩენის მიღების ან მატერიალური ხარჯისაგან გათავისუფლების მიზნით, კვალიფიცირებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხ. „ა“ პუნქტით“⁸ (საქართველოს სსრ 104-ე მუხ. მე-2 პუნ. —ავტ.).

მკვლელობა არ შეიძლება ჩაითვალოს ანგარებით ჩადენილად, თუ პირის მიზანია არა ქონების, ქონებრივი უფლების თუ გამორჩენის მიღება ან ასეთივე ვალდებულებისაგან გათავისუფლება, არამედ საკუთარი ქონების შენარჩუნება, თუნდაც მკვლელობაში გამოვლინდეს დამნაშავეს კერძომესაკუთრული ინსტიქტი, მისი სიხარბე, გაუმაძღრობა და სხვ. რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა სავსებით სამართლიანად არ ჩათვალა ანგარებით მკვლელობად წ-ს მოქმედება, რომელმაც მოკლა მის ბაღში ხენდროს მოსაკრეფად შეპარული ო. პრეზიდიუმმა 1962 წ. 12 დეკემბრის დადგენილებაში მიუთითა, რომ „მკვლელობის ანგარებითი მოტივი გულისხმობს პირის მისწრაფებას მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლოს ქონებას ან სხვა ფასეულობას, რაც დაზარალებულის მფლობელობაშია, ან პირის სურვილს სხვაგვარი მატერიალური გამორჩენა მიიღოს ჩადენილი დანაშაულისაგან. ამ შემთხვევაში კი წ-ს დანაშაულის ჩადენით არავითარი მატერიალური გამორჩენა არ მიუღია და არც შეეძლო მიეღო. მასასადამე მას მკვლელობა ანგარების მოტივით არ ჩაუდენია“⁹.

ანგარებითი მკვლელობის პუნქტით ქმედობის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თავის სასარგებლოდ უნდოდა მიეღო გამორჩენა დამნაშავეს თუ სხვის სასარგებლოდ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1967 წ. 13 იანვრის განჩინებაში მ.-ს საქმეზე მითითებულია, რომ „...ანგარების მოტივი, როგორც ამ დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება, გულისხმობს ქონების მესაკუთრის ან მისი მოსარგებლის მოკვლას იმ მიზნით, რათა ამ ქონებას დაეუფლოს ან მატერიალური გამორჩენა მიიღოს თვით მკვლელმა ან სხვა პირმა, რომლის ბედობლიც მკვლელს აინტერესებს“¹⁰.

ანგარებითი მკვლელობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, უშუალოდ მკვლელობისთანავე მიიღებს ქონებას ან ქონებრივ გამორჩენას მკვლელი თუ მკვლელობის მომენტიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ. მთავარია, მკვლელობა ჩადენილი იყოს ანგარების მიზნით. თუ მკვლელობა ჩადენილია არა ანგარების, არამედ რაიმე სხვა (მაგალითად, შურისძიების) მიზნით, ხოლო მსხვერპლის გაძარცვის მიზანი მკვლელს მკვლელობის დამთავრების შემდეგ აღეძრა, ასეთ შემთხვევაში გვექნება არა მკვლელობა ანგარების მიზნით, არამედ დანაშაულთა ერთობლიობა: მკვლელობისა, რომელიც უნდა დაკვალიფიცირდეს 105-ე მუხლით, და ქურდობისა, რომელიც ქონებრივი დანაშაულის შესაბამისი მუხლით უნდა იქნეს დაკვალიფიცირებული. კ.-მ, რომელიც დაავადე-

⁷ Сборник постановлений Президиума и определений судебной комиссии по уголовным делам Верховного Суда РСФСР 1964—1972», М., 1974, с. 230.

⁸ იქვე, ს. 230.

⁹ «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1963, № 3, с. 5.

¹⁰ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1967, № 4, с. 23.

საქართველო
საინფორმაციო

ბული იყო შიზოფრენიით, სთხოვა თავის ამხანაგს ბ.ს, მოეკლა იგი, ბ.-მ მისი თხოვნა შეასრულა და მოკლა კ. მკვლელობის ჩადენის შემდეგ ბ.-ს აღედგრა განზრახვა მიეთვისებინა მოკლულის თოფი, რომლითაც კ. იყო მოკლული, და, ფული. პირველი ინსტანციის სასამართლომ ბ.-ს მოქმედება დააკვალიფიცირა როგორც ანგარებითი მკვლელობა. რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სწორად არ სცნო ბ.-ს ქმედობის ასეთი კვალიფიკაცია და მართებულად მიუთითა: „მსჯავრდებულის მიერ კ.-ის მოკვლის შემდეგ მისი თოფისა და ფულის მითვისება, არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მის დანაშაულს რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის „ა“ პუნქტი (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის I პუნქტი) მიეყენოთ. ამ პუნქტით გათვალისწინებული ანგარების მიზანი მკვლელობის მოტივს უნდა წარმოადგენდეს. ხოლო თუ მოკლულის ქონების დაუფლების მიზანი მკვლელობის შემდეგ წარმოიშვა, ეს გარემოება არ იწვევს კვალიფიკაციას სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის „ა“ პუნქტით“¹¹ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის I პუნქტით).

იმისათვის, რომ ანგარებითი მკვლელობა დამთავრებულად ჩაითვალოს, არ არის აუცილებელი, მკვლელმა მიაღწიოს დასახულ მიზანს, ე. ი. მიიღოს ქონება ან ქონებრივი გამოჩენა. მაგალითად, ვინემ მოკლა კაცი მემკვიდრეობის მისაღებად, მაგრამ მემკვიდრეობა ფაქტიურად ვერ მიიღო. ეს არის არა ანგარებითი მკვლელობის მცდელობა, არამედ დამთავრებული ანგარებითი მკვლელობა. ანგარებითი მკვლელობაში, ისე როგორც ყველა მიზნობრივ დანაშაულში, სუბიექტური მხარე სჭარბობს ობიექტურ მხარეს, ე. ი. მიზანი ვრცელდება ისეთ გარემოებაზე, რომელიც მუხლის დისპოზიციის ობიექტურ ნიშნებში არ შედის.


„ყაჩაღური თავდასხმის დროს ჩადენილი მკვლელობა უნდა დაკვალიფიცირდეს აღნიშნულ დანაშაულთა ერთობლიობის წესით, რამდენადაც ყაჩაღობა მოკლული არ არის რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის „ა“ პუნქტით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით“¹² (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის I პუნქტით).

ქმედობა შეიძლება დაკვალიფიცირდეს ერთობლიობის წესით როგორც ანგარებითი მკვლელობა და ყაჩაღობა მხოლოდ მაშინ, როდესაც მკვლელობის მიზანი იყო სხვისი ქონების (მატერიალური ნივთების) უშუალოდ დაუფლება და, თანაც, როდესაც ეს დაუფლება ხდებოდა დაზარალებულზე თავდასხმის მეშვეობით. თუ ერთ-ერთი ეს პირობა არ არსებობს, ერთობლიობა გამოირიცხულია. კერძოდ თუ პირი ქონების დაუფლებისათვის მიმართავს არა უშუალო თავდასხმას პიროვნებაზე, არამედ კლავს მას თანდათანობით საწამლავის მეშვეობით, ქმედობა დაკვალიფიცირდება როგორც მხოლოდ ანგარებითი მკვლელობა. ერთობლიობის წესი არ გამოიყენება მაშინაც, როდესაც მკვლელს მიზნად ჰქონდა დასახული ქონებრივი გამოჩენის მიღება ან ვალდებულებისაგან გათავისუფლება ან, თუმცა ქონების (მატერიალური საგნების) მიღება, მაგრამ

¹¹ «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1966, № 5, გვ. 8.

¹² «Бюллетень Верховного Суда СССР», 1975, № 4, გვ. 9.

«Бюллетень Верховного суда СССР», № 4, გვ. 9.



არა უშუალოდ მკვლევლობისთანავე, არამედ მომავალში (მაგალითად მემკვიდრეობის დამტოვებლის მოკვლა მისი სიკვდილის შემდეგ ქონების მიღების მიზნით). ასეთ შემთხვევებში მოქმედება კვალიფიცირებულ უნდა იქნეს როგორც მხოლოდ მკვლევლობა ანგარებით.

მკვლევლობა ხულიგნური ქვენა გრძნობით. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტით მკვლევლობა უნდა დაკვალიფიცირდეს მაშინ, როდესაც იგი ჩადენილია „საზოგადოების აშკარა უპატივცემლობის, საერთო ცხოვრების წესებისა და სოციალისტური მორალის ნორმების უგულვებელყოფის საფუძველზე“¹³.

მკვლევლობა ხულიგნური ქვენაგრძნობით პიროვნების უკიდურესი ზნეობრივი დაქვეითების მაჩვენებელია. პიროვნება აშკარად უპატივცემულოდ ეკიდება საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნე-ჩვეულებას, მის მორალურ და სამართლებრივ ნორმებს, მის კულტურულ მონაპოვრებს, აბუჩად იგდებს სხვა ადამიანთა ღირსებასა და თვით სიცოცხლესაც კი. ზოგჯერ არა თუ სერიოზული, არამედ საერთოდ არავითარი საბაბი არ არსებობს იმისათვის, რომ ხულიგანმა ადამიანი გაიმეტოს¹⁴. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ა.-ს საქმე: გ.-მ დაპატიჟა თავის ამხანაგები, მათ შორის ა. რესტორანში. ა. ძალიან დათვრა და სრულიად უმიზეზოდ დაუწყო ლანძღვა-გინება თავის მასპინძელს. როცა რესტორნიდან გამოვიდნენ, მან ორჯერ დანა ჩასცა გ.-ს და მოკლა იგი. ამგვარად მან ჩაიდინა მძიმე დანაშაული ყოველგვარი საბაბის გარეშე¹⁵.

ხულიგნური ქვენაგრძნობით მკვლევლობა უმეტეს შემთხვევაში სიმთვრალეში ხდება. ამიტომ ალკოჰოლიზმთან ბრძოლა არის იმავე დროს ბრძოლა ხულიგნობის წინააღმდეგ და, მასასადამე, ხულიგნური მკვლევლობის წინააღმდეგაც.

მკვლევლობა ხულიგნური ქვენაგრძნობით ხშირად ჩხუბის დროს ხდება მაგრამ ჩხუბში ჩადენილი მკვლევლობა ყოველთვის როდია გამოწვეული ხულიგნური ქვენაგრძნობით. ჩხუბის საბაბი შეიძლება იყოს რაიმე პირადი ანგარიში მოჩხუბრებს შორის და მკვლევლობა შეიძლება მოხდეს სამაგიეროს გადახდის მიზნით. ამიტომ ზოგჯერ იმის დასადგენად, რომ მკვლევლობა ნამდვილად ხულიგნური ქვენაგრძნობითაა ჩადენილი, საჭიროა გარკვეულ იქნეს, ჰქონდა თუ არა მკვლელს ნაცნობობა და ურთიერთობა მოკლულთან. ხშირია შემთხვევა, როცა ხულიგანს არათუ რაიმე პირადი დამოკიდებულება არ ჰქონია თავის მსხვერპლთან, არამედ არც კი იცნობდა მას.

განზრახი მკვლევლობა, ჩადენილი ეჭვიანობით, სამაგიეროს გადახდის სურვილით ან რაიმე სხვა მოტივით, რომელიც პირადი ურთიერთობის ნიადაგზე წარმოიშვა, არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს 104-ე მუხლის მე-2 პუნქტით, სადაც უნდა იყოს იგი ჩადენილი¹⁶.

ხულიგნური მოტივით მკვლევლობის გარდა, დამნაშავემ მკვლევლობის ჩადენამდე, ან მკვლევლობის ჩადენის პროცესში ან უშუალოდ მის შემდეგ შეიძლება

¹³ იხ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილება — «Бюллетень Верховного Суда СССР», 179, № 4 გვ. 9.

¹⁴ იქვე, გვ. 9.

¹⁵ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1966, № 2, გვ. 28—29.

¹⁶ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1975, № 4, გვ. 9.



ჩაიდინოს სხვაგვარი ხულიგნური მოქმედება, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, ე. ი. მოქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს აშკარა უბატვიცემულობას საზოგადოებისადმი. ასეთი შემთხვევები, თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1975 წ. 27 ივნისის დადგენილებისა, უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობის წესით, მაშასადამე, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხ. მე-2 პუნქტით და 226-ე მუხლით¹⁷.

დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის შემდეგი სახე არის მკვლელობა დაზარალებულის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებაასთან დაკავშირებით (104-ე მუხლის მე-3 პუნქტი). სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილების თანახმად, ასეთია „მკვლელობა, ჩადენილი იმ მიზნით, რათა ხელი შეშლოდა დაზარალებულის მართლზომიერ მოქმედებას, რომელიც მიმართული იყო მოკლულის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესასრულებლად, ან მკვლელობა, რომელიც წარმოადგენს სამაგიეროს მიზლვას ასეთი საქმიანობისათვის“¹⁸.

ასეთი მკვლელობა გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა დაზარალებულის საქმიანობის მართლზომიერ ხასიათს. თუ დაზარალებული უკანონოდ მოქმედებდა და იგი სწორედ ამ უკანონო საქმიანობასთან დაკავშირებით მოკლეს, მკვლელობა არ დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-3 პუნქტით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოხსენებულ დადგენილებაში მოცემულია სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობის განსაზღვრება. „საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებად, — ნათქვამია ამ დადგენილებაში, — ითვლება ყოველი ადამიანის საქმიანობა, რომელიც შედის მის სამსახურებრივ მოვალეობათა წრეში, ხოლო საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებად — როგორც მოქალაქეების მიერ სპეციალურად მათზე დაკისრებულ საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულება, ისე სხვა მოქმედებათა შესრულება საზოგადოებისა და ცალკე პირების სასარგებლოდ (სამართალდარღვევათა აღკვეთა, ხელისუფლების ორგანოებისათვის შეტყობინება, რომ ჩადენილია ან მზადდება დანაშაული და ა. შ.)“¹⁹.

მოქალაქეების მიერ სპეციალურად მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება იქნება, მაგალითად, სახალხო მსაჯულის, ამხანაგური სასამართლოს წევრის, ადგილკომის, საზოგადოებრივი ინსპექტორის მოვალეობის და სხვათა ასრულება. მაგრამ, როგორც დავინახეთ, სასამართლო პრაქტიკა საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებად თვლის აგრეთვე ადამიანის მიერ საზოგადოების ან ცალკეული ადამიანის დაცვის მოქალაქეობრივი ვალის შესრულებასაც და განსაკუთრებით ინტენსიურად იცავს ამ მომენტში ადამიანის სიცოცხლეს. ამის მრავალი მაგალითი გვხვდება სასამართლო პრაქტიკაში. მოვიყვანოთ ერთი. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1970 წ. 16 ოქტომბრის განჩინებაში ლ.-ა. საქმეზე ნათქვამია:

¹⁷ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1975, № 4, გვ. 9.

¹⁸ იქვე, გვ. 9.

¹⁹ იქვე, გვ. 9.

„კ. მოკლულია ლ.-ას ხულიგნური მოქმედების აღკვეთასთან დაკავშირებით. ხულიგნური მოქმედების აღკვეთაში მონაწილეობა მოქმედი კანონმდებლობით განიხილება როგორც საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულება. ამიტომ ლ.-ას მიერ ჩადენილი დანაშაული სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა ლატვიის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტით“²⁰.

დაზარალებულის მიერ სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასა და მკვლელობას შორის მიზეზობრივი კავშირი უნდა იყოს, თუმცა აუცილებელი არ არის, რომ მკვლელობა უშუალოდ მოყვეს ამ მოვალეობის შესრულებას. მკვლელობის გამომწვევ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასა და მკვლელობის ფაქტს შორის შეიძლება საკმაოდ დიდი დრო გავიდეს. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წ. 29 ივნისის დადგენილებით ფ.-ს მოქმედება დაკვალიფიცირდა რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 15 და 102 მუხლის „გ“ პუნქტით, თუმცა სამსახურებრივ მოქმედებას, რის გამოც ფ.-მ დაზარალებულის მკვლელობა ჩაიდინა, 19 წლის წინათ ჰქონდა ადგილი. პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: „...პასუხისმგებლობას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული მკვლელობის მცდელობისათვის შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი დრო გავიდა დაზარალებულის მიერ იმ სამსახურებრივი მოქმედების შესრულების შემდეგ, რასთან დაკავშირებითაც ჩადენილია მკვლელობის მცდელობა. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რომ მკვლელობა ჩადენილია სწორედ ამ ქმედობისათვის შურისძიების მიზნით“²¹.

104-ე მუხლის მე-3 პუნქტით მკვლელი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს, როცა მან სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მოკლა თვით ის პირი, ვინც ამ მოვალეობას ასრულებდა და არა მისი ნათესავი. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1962 წ. 1 დეკემბრის დადგენილებით არ დააკვალიფიცირა აღნიშნული პუნქტით მკვლელობის მცდელობა, რომელიც ჩაიდინა ა.-მ, ვინაიდან ა. ცდილობდა მოეკლა არა თვით ის პირი, ვისი სამსახურებრივი მოქმედებითაც იგი იყო უკმაყოფილო, არამედ მისი ქმარი²².

სუბიექტური მხრით მკვლელს არა მარტო ძირითადი შედეგის, ე. ი. ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, არამედ აგრეთვე მაკვალიფიცირებელი ნიშნის მიმართაც უნდა ჰქონდეს განზრახვა, ე. ი. შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ჰკლავს ადამიანს სწორედ მის სამსახურებრივ და საზოგადოებრივ მოვალეობასთან დაკავშირებით ან იგი უნდა ჰკლავდეს კაცს ასეთი საქმიანობის გამო სამაგიეროს მიზლის მიზნით.

მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა მის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას, მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, კვალიფიცირდება არა 104-ე მუხ. მე-3 პუნქტით, არამედ 209 მუხლით. მაგრამ თუ მკვლელობა არ იცოდა, რომ იგი კლავდა ასეთ პირობებში მილიციის მუშაკს ან სახალხო რაზმელს, მაშინ ქმედობის კვალიფიკაცია უნდა მოხდეს 104-ე მუხ. მე-3 პუნქტით.

სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის ან ხელისუფლების წარმომადგენ-

²⁰ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1971, № 2, გვ. 39.

²¹ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1966, № 5, გვ. 23.

²² იხ. Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного Суда СССР 1959—1971 гг., М., 1973, გვ. 202—204.

ლის მკვლელობა, ჩადენილი მის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოვალეობასთან დაკავშირებით, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზნით; კვალიფიცირდება არა 104-ე მუხ. მე-3 პუნქტით, არამედ — როგორც ტერორისტული აქტი — 67-ე მუხლით.

ორი ან მეტი პირის მოკვლა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის სახეა (104-ე მუხლის მე-4 პუნქტი). ამ მკვლელობის ძირითადი დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ ორი ან მეტი ადამიანის მოკვლა მოცულობით ერთი საერთო განზრახვით. ამიტომ თუ დამნაშავეს გადაწყვეტილი ჰქონდა ერთი ადამიანის მოკვლა და ასეც გააკეთა, მაგრამ მერე მოკლა მეორე ადამიანიც, რომელიც შემთხვევით მოწმე გხდა პირველი მკვლელობისა, აქ არ გვექნება 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მკვლელობის შემადგენლობა, არამედ ორი დამოუკიდებელი განზრახვით ჩადენილი მკვლელობა, რომლებიც ცალ-ცალკე უნდა დაკვალიფიცირდეს, თუნდაც დროის მიხედვით მათ შორის მეტად მცირე ინტერვალი იყოს.

104-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მკვლელობის მეორე თავისებურება ის არის, რომ, როგორც წესი, ორივე მკვლელობა ერთდროულად უნდა მოხდეს, თუმცა გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ორი ან რამდენიმე პირის მკვლელობა დროის სულ მცირე მონაკვეთით იყო დაშორებული ერთმანეთისაგან.

როდესაც ორი ან რამდენიმე პირის მკვლელობა დამნაშავეს ერთიანი განზრახვის განხორციელებას არ წარმოადგენს, ამ ქმედობების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს არა 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით, არამედ ამავე მუხლის მე-9 პუნქტით (მკვლელობა იმ პირის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა მკვლელობა).

104-ე მუხლის მე-4 პუნქტით კვალიფიციისათვის არ არის აუცილებელი ორი ან რამდენიმე პირი ერთი მოქმედებით იყოს მოკლული (მაგალითად, იმ სახლის დაწვით, სადაც რამდენიმე კაცს სძინავს). ასეთი მკვლელობა შეიძლება რამდენიმე ერთმანეთზე მოყოლებული მოქმედებითაც იქნეს ჩადენილი.

არ შეიძლება ქმედობის კვალიფიკაცია 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით მაშინ, როდესაც მკვლელობა ჩადენილია შემამსუბუქებელ გარემოებებში. ამას პირდაპირ მიუთითებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1967 წლის 22 დეკემბრის განჩინება კ-ს საქმეზე: „ორი პირის მკვლელობა არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში, თუ ერთ-ერთი მათგანი ჩადენილია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ან ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რომელიც გამოწვეული იყო დაზარალებულის მიერ ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით²³. უფრო მოგვიანებით ეს დებულება განმეორებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილებაში „განზრახი მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“²⁴.

104-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მკვლელობა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ მოკლულია ორი კაცი მაინც.

²³ «Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР по уголовным делам 1959—1971 гг.», М., 1973, зб. 215.

²⁴ იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1975, № 4, зб. 11.

როდესაც დამნაშავეს განზრახვა მიმართული იყო ორი ან რამდენიმე პირის მოსაკლავად, მაგრამ ფაქტიურად მკვლელობა მოახერხა მხოლოდ ერთი ადამიანის მოკვლა, ხოლო მეორის მიმართ ადგილი ჰქონდა მცდელობას, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის ზემოხსენებული დადგენილების თანახმად მკვლელის მოქმედება არ შეიძლება დაკვალიფიციირდეს 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით როგორც დამთავრებული დანაშაული, ე. ი. როგორც ორი პირის დამთავრებული მკვლელობა. პლენუმი წინადადებას იძლევა დავაკვალიფიციროთ ასეთი შემთხვევები დანაშაულთა ერთობლიობის წესით, როგორც 104-ე მუხლის შესაბამისი პუნქტით ან 105-ე მუხლით გათვალისწინებული დამთავრებული მკვლელობა და როგორც 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მკვლელობის მცდელობა²⁵.

თუ დამნაშავეს განზრახული ჰქონდა მარტო ერთი ადამიანის მოკვლა, მაგრამ ამ დანაშაულის ჩადენის დროს იგი მოქმედებდა მრავალი ადამიანისათვის საშიში საშუალებით, მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიციირდეს არა 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით, არამედ იმავე მუხლის მე-6 პუნქტით²⁶.

ორსული ქალის მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილად ითვლება იმის გამო, რომ, გარდა ქალის სიცოცხლისა, დამნაშავე ხელყოფს აგრეთვე ჩანასახის სიცოცხლეს.

ორსული ქალის მკვლელობა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილად, როდესაც დამნაშავემ დანამდვილებით იცის, რომ ქალი ორსულად არის. არ შეიძლება ამ პუნქტით კვალიფიკაცია, თუ დამნაშავეს ეჭვი ჰქონდა, მაგრამ ნამდვილად არ იცოდა, რომ ქალი ორსულია. რსფსრ უმაღლესი სასამართლო სსსსხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ბ.-ს საქმეზე მიუთითა, რომ რამდენადაც ბ.-ს ცოლისაგან ნათქვამი ჰქონდა, მგონია, ორსულად უნდა ვიყო, არ შეიძლება ითქვას, თითქოს მან დანამდვილებით იცოდა ცოლის ორსულობა, და ამიტომ მისი ქმედობა არ უნდა იქნეს კვალიფიციირებული რსფსრ სსსხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის „ე“ პუნქტით“ („საქართველოს სსრ სსსხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-5 პუნქტით“)²⁷.

მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით (104-ე მუხლის მე-6 პუნ.) ხშირად ძნელი დასადგენია იმის გამო, რომ საზოგადოდ ყოველგვარი განზრახვი მკვლელობა დამნაშავეს სისასტიკეს ადასტურებს. ამიტომ 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ მასში გამოვლინდეს უკიდურესი, წრეს გადასული სისასტიკე, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილების თანახმად „...კანონი უკავშირებს განსაკუთრებულ სისასტიკეს როგორც დანაშაულის ჩადენის საშუალებას, ისე სხვა გარემოებებსაც, რომლებიც ადასტურებენ, რომ დამნაშავემ განსაკუთრებული სისასტიკე გამოავლინა“²⁸. მკვლელობა ჩადენილია განსაკუთრებული სისასტიკით უპირველეს ყოვლისა, მაშინ, როდესაც თვით მოქმედება, რომლითაც იგი ხორციელდება, განსაკუთრებით მწვალებლურ ხასიათს ატარებს, „სიცოცხლის მოსპობის წინ ან მის პროცესში დამნაშავე განზრახ აწამებს დაზარალებულს ან მძიმედ ტანჯავს მას მრავალი ჭრილობის მიყენებით ან მწვალებ-

²⁵ იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР». 1975, № 4, გვ. 10.

²⁶ იხ. «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1966, № 9, გვ. 7—8.

²⁷ იხ. «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1965, № 11, გვ. 9—11.

²⁸ იხ. «Бюллетень Верховного суда СССР», 1975, № 4, გვ. 9.

ლური საშუალების გამოყენებით²⁹. საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება მოვიყვანოთ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის შემდეგი მაგალითები: გ. ხ.-მა ეჭვიანობის ნიადაგზე ჯერ აწამა თავისი ცოლი ნ. ხ. — მოტეხა ხელი, გაუხეთქა თვალის კაკალი, დაარტყა სახეში სურა, ხოლო შემდეგ ესროლა ტყვია და მოკლა (საქმე № 235-74). საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ მკვლელობა დააკვალიფიცირა 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით. ამავე პუნქტით დააკვალიფიცირა უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ. პ. უ.-ს ქმედობა. ამ უკანასკნელმა ეჭვიანობის ნიადაგზე შეიტყუა თავისი ცოლი ტუალეტში, გადაასხა ბენზინი და ცეცხლი წაუკიდა მას (საქმე № 114-74).

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო პლენუმის 1975 წლის დადგენილება განსაკუთრებით სასტიკ მკვლელობად თვლის აგრეთვე კაცის მოკვლას მისი ახლო ნათესავების თანდასწრებით, როდესაც დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მათ განსაკუთრებულ ტანჯვას აყენებს³⁰. ამიტომ თუ დედას თავისი ჩვილი ბავშვის თვალწინ კლავენ, ეს განსაკუთრებით სასტიკ მკვლელობად არ ჩაითვლება. მკვლელობას არ შეუძლია მიაყენოს ჩვილს მორალური ტანჯვა, რადგან მას ამ ქმედობის არსი არ ესმის. დანაშაულის ჩადენის მომენტში მკვლელობის ადგილას მოკლულის ნათესავთა ყოფნა ყოველთვის როდი ნიშნავს იმას, რომ მკვლელობა უნდა დააკვალიფიცირდეს როგორც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი. ასეთი კვალიფიკაცია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მკვლელი, რომელმაც იცის, რომ მკვლელობას ესწრებიან დაზარალებულის ახლობლები, განზრახ მათ გასაწამებლად მიმართავს მკვლელობის განსაკუთრებით მწვალებლურ საშუალებას. განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობად ითვლება აგრეთვე გვამის შებილწვა, რითაც, რა თქმა უნდა მკვლელი წრეგადასულ სისასტიკეს ავლინებს (ასეთი მოქმედებაა, მაგალითად, გვამის დაკეპვა, მისთვის თვალების ამოთხრა და სხვ. მისთ.). თუ გვამის მოსპობა ან დაკეპვა დანაშაულის დაფარვის მიზნით მოხდა, ეს არ ჩაითვლება განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობად³¹.

მოქმედება არა მარტო ობიექტურად უნდა წარმოადგენდეს განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობას, არამედ სუბიექტმა უნდა იცოდეს, რომ იგი განსაკუთრებული სისასტიკით კლავს და სწორედ ასეთი მკვლელობა უნდა სურდეს ან უნდა უშვებდეს ამას. მაშასადამე, განსაკუთრებული სისასტიკის მიმართ მკვლელს შეიძლება ჰქონდეს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვა. რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არ ცნო ს.-სა და ი.-ს მოქმედებაში მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით, ვინაიდან თუმცა მათ ბავშვი ნელა მოქმედი საწამლავით მოწამლეს, მაგრამ არ ჰქონდათ განზრახვა ბავშვის მწვალებლური საშუალებით მოკვლისა³².

სასამართლო პრაქტიკაში ბევრჯერ ყოფილა მითითებული, რომ „ჭრილობათა სიმრავლე მკვლელობის ან მისი მცდელობის დროს ყოველთვის როდი

²⁹ იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1975, № 4, გვ. 9.

³⁰ იქვე, გვ. 9.

³¹ იქვე, გვ. 9.

³² Сборник постановлений Президиума и определений судебной коллегии по уголовным делам Верховного Суда РСФСР 1964—1972», 1974; გვ. 251.

შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დანაშაულის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენის დამადასტურებელი საბუთი, რამდენადაც კანონის აზრით, ეს ნიშანი მარტო მცდელობის საშუალებასთან როდია დაკავშირებული, არამედ სხვა გარემოებებთანაც, რომლებიც ადასტურებენ, რომ დამნაშავის განზრახვა მიმართული იყო დანაშაულის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენაზე და მკვლელობა შეგნებულად მიაყენა დაზარალებულს განსაკუთრებული ტანჯვა თუ წვალება³³. რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის განჩინებაში ანალოგიურ საქმეზე ნათქვამია: „ის გარემოება, რომ დაზარალებულისათვის მიყენებულმა ჭრილობამ მისი ხანგრძლივი ტანჯვა გამოიწვია, მხოლოდ მაშინ გამოდგება როგორც განსაკუთრებით მტანჯველი საშუალებით ჩადენილი მკვლელობის დამადასტურებელი საბუთი, თუ დამტკიცებული იქნება, რომ დამნაშავემ განზრახ მიაყენა მსხვერპლს ისეთი ჭრილობები, რომლებსაც — როგორც მან იცოდა — ერთბაშად კი არ უნდა მოეკლათ კაცი, არამედ მხოლოდ ხანგრძლივი ტანჯვის შემდეგ“³⁴.

როდესაც სასამართლო აკვალიფიცირებს მკვლელობას როგორც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილს, მან განაჩენში უნდა მიუთითოს, თუ რატომ ჩათვალა მკვლელობა განსაკუთრებით სასტიკად³⁵. განსაკუთრებული სისასტიკით არის თუ არა მკვლელობა ჩადენილი, — იურიდიული საკითხია. იგი უნდა დაადგინოს სასამართლომ და არა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ექსპერტიზის უფლებამოსილებას დაადასტუროს, რამდენად მტკივნეულია საშუალება, როდის მიაყენეს მკვლელს ჭრილობები — მკვლელობამდე თუ მის შემდეგ და სხვ. მისთ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილებაში „განზრახ მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მითითებულია, რომ მკვლელობა, ჩადენილი უეცარი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რომელიც გამოწვეული იყო დაზარალებულის ძალადობი თან მის მიერ მკვლელის მიძიმე შეურაცხყოფით, აგრეთვე მკვლელობა, ჩადენილი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა (მუხ. 104-ე), თუნდაც მკვლელის მოქმედებაში იყოს განსაკუთრებული სისასტიკისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორცაა მრავალი სხეულებრივი დაზიანების მიყენება ან მკვლელობის ჩადენა მსხვერპლის ნათესავთა თანდასწრებით³⁶. პლენუმი მხედველობაში იღებს, რომ ძლიერი სულიერი აღელვება და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს წარმოადგენენ და ასეთ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობანი სპეციალურად არიან გამოყოფილი კოდექსის ცალკე მუხლებში (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე და 107-ე მუხლები), ამიტომ სწორედ ამ მუხლებით უნდა დაკვალიფიცირდეს ზემოხსენებულ პირობებში ჩადენილი მკვლელობა. ორივე შემთხ-

³³ «Сборник постановлений Пленума и определений коллегии Верховного Суда СССР по уголовным делам 1959—1971 гг.», М., 1973, зб. 210.

³⁴ «Сборник постановлений Президиума и определений коллегии по уголовным делам Верховного Суда РСФСР 1964—1972», М., 1974, зб. 232.

³⁵ იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1963, № 1, зб. 28.

³⁶ იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1975, № 4, зб. 9—10.

ვევაში, ე. ი. როდესაც სუბიექტი აფექტის მდგომარეობაშია ან როდესაც იგი ცდილობს აიცილოს სხვისი მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა, მას შემცირებული აქვს საკუთარი მოქმედების კონტროლისა და თავის შეკავების უნარი, აგრეთვე გარემოებათა სწორად შეფასების უნარი.

მკვლელობა ჩადენილია მრავალი ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით, როდესაც ეს საშუალება თავისთავად საყოველთაოდ საშიშია. მაგალითად, კაცის მოსაკლავად დამნაშავემ ცეცხლი წაუკიდა სახლს, სადაც რამდენიმე ადამიანი იმყოფებოდა ან მოუშვა გაზის ონკანი, როდესაც არსებობდა საშიშროება რამდენიმე მძინარე ადამიანის სიკვდილისა, ან აფეთქება მოაწყობა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე და ა. შ. როცა კვალიფიკაცია დანაშაულებრივი ქმედობისა ამ ნიშნის მიხედვით ხდება, სასამართლომ აუცილებლად მხედველობაში უნდა მიიღოს არა მარტო გამოყენებული იარაღის თვისებები, არამედ ის კონკრეტული ვითარებაც, რომელშიც ჩადენილი იყო მკვლელობა. მაგალითად, თუ დამნაშავემ საფანტით გატენილი თოფი ვინმეს ხალხის შეგროვების ადგილას ესროლა, ეს კვალიფიციური მკვლელობა იქნება. ხოლო თუ მან იგივე თოფი ისეთ ვითარებაში ესროლა გარკვეულ პირს, როდესაც ახლო-მახლო სხვა არავინ იყო და ამით სხვა პირთა სიცოცხლისათვის საფრთხე არ შეუქმნია, ეს არ იქნება მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში. ეს დებულება დასაბუთებულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1967 წლის 28 თებერვლის დადგენილებაში მ-ს საქმეზე. „რსფსრ“-ის სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის „დ“ პუნქტი (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხ. მე-6 პუნქტი — ავტ.) ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მრავალი ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით მკვლელობისათვის, როდესაც დამნაშავეს ქმედობა თუმცა ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობაზეა მიმართული, მაგრამ დამნაშავემ იცის, რომ არსებულ ვითარებაში იგი ქმნის რეალურ საფრთხეს სხვა ადამიანთა სიცოცხლისათვის“³⁷.


მკვლელობა შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ჩადენილი მრავალი ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით მხოლოდ მაშინ, როდესაც მრავალი ადამიანის სიცოცხლისათვის შექმნილი საფრთხე ნამდვილი, რეალურია და არა მოჩვენებითი. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1967 წ. 25 სექტემბრის დადგენილებაში ბ.-ს საქმეზე მითითებულია, რომ საფრთხე რამდენიმე ადამიანის სიცოცხლისათვის არ უნდა იყოს მოჩვენებითი, არამედ „სხვა ადამიანთა სიკვდილის შესაძლებლობა აღნიშნულ კონკრეტულ პირობებში ცხადი უნდა იყოს“³⁸. „ამავე დროს ამ საქმეზე დამტკიცებული არ არის, რომ... ბ.-ის მიერ გასროლილი ტყვია დაზარალებულ ე.-ის გარდა უშუალო საფრთხეს უქმნიდა კიდევ სხვა პირებს“³⁹.

რათა განზრახი ქმედობა კვალიფიცირებულ იქნეს როგორც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში, საჭიროა მკვლელს გარკვეული პირის მოკვლის განზრახვის განხორციელების დროს შეგნებული ჰქონდეს, რომ იგი მკვლელობისათვის ისეთ საშუალებას იყენებს, რომელიც საშიშია არა მარტო

³⁷ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1967, № 3, გვ. 16.

³⁸ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1968, № 4, გვ. 25.

³⁹ იქვე, გვ. 26.



ერთი პირის სიცოცხლისათვის⁴⁰. ამგვარად, დამნაშავეს განზრახვა უნდა მოიცავდეს არა მარტო თვით მკვლელობის ძირითად შემადგენლობას, არამედ აგრეთვე იმასაც, რომ იგი ახორციელებს მკვლელობას რამდენიმე ადამიანისათვის საშიში საშუალებით. თუ დამნაშავეს ადამიანის მკვლელობის დროს შეგნებული არ ჰქონდა, რომ მის მიერ არჩეული მოქმედება საშიშია რამდენიმე ადამიანის სიცოცხლისათვის, 104-ე მუხლის მე-6 პუნქტი არ გამოიყენება, თუნდაც ობიექტურად ასეთი საფრთხე შეიქმნას.

განზრახვა, როგორც მკვლელობის ძირითადი შემადგენლობის, ისე მაკვალიფიცირებელი ნიშნის (დამნაშაულის განსაკუთრებით საშიში საშუალებით ჩადენის) მიმართ, შეიძლება იყოს პირდაპირიც და ევენტუალურიც. აქ შეიძლება გვექონდეს რამდენიმე კომბინაცია: 1. მკვლელობა ჩადენილია პირდაპირი განზრახვით, მაგრამ დამნაშავეს ევენტუალური განზრახვა აქვს მაკვალიფიცირებელი ნიშნის მიმართ, ე. ი. ის შეგნებულად უშვებს, რომ მის მიერ არჩეული საშუალება ერთი პიროვნების მოსაკლავად საფრთხეში აყენებს მრავალი ადამიანის სიცოცხლეს; 2. როგორც მკვლელობის ძირითადი შემადგენლობის, ისე მაკვალიფიცირებელი ნიშნისადმი დამნაშავეს აქვს ევენტუალური განზრახვა, მაგალითად დამნაშავე სადაზღვევო თანხის მიღების მიზნით გადაწვავს სახლს, თუმცა იცის, რომ ეს ემუქრება იქ მყოფი რამდენიმე ადამიანის სიცოცხლეს; 3. დამნაშავეს შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი განზრახვა როგორც მკვლელობის ძირითადი შემადგენლობის, ისე მაკვალიფიცირებელი ნიშნის მიმართ. მაგალითად, დამნაშავემ საგანგებოდ შეარჩია კაცის მოსაკლავად საყოველთაოდ საშიში საშუალება.

თუ პირს შეგნებული არ ჰქონდა, რომ მის მიერ არჩეული საშუალება საფრთხეს ქმნიდა ადამიანთა სიცოცხლისათვის, მაგრამ შეეძლო გეთვალისწინებინა, რომ ამ საშუალების გამოყენებას შედეგად შეიძლება სხვა ადამიანის სიკვდილიც მოჰყოლოდა, ასეთ შემთხვევაში გვექნება ორი დამნაშაულის ერთობლიობა: განზრახი მკვლელობისა და გაუფრთხილებლობითი მკვლელობისა.

თუ რამდენიმე ადამიანისათვის საშიში საშუალებით ჩადენილ მკვლელობას ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, თანაც ამ ადამიანთა სიკვდილი მოცული იყო დამნაშავეს პირდაპირი ან ევენტუალური განზრახვით, ასეთი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს 104-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტებით.

ადამიანის მოსაკლავად რამდენიმე ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში საშუალების გამოყენების დროს დამნაშავე, როგორც წესი, ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას შეიძლება მოყვეს დამნაშაულის ადგილზე მყოფი პირების სიკვდილი ან სხეულებრივი დაზიანება. ამიტომ, თუ ფაქტიურად დამნაშავემ სხვა პირებს სხეულებრივი დაზიანება მიაყენა, ასეთ შემთხვევაში იგი პასუხს აგებს დამნაშაულთა ერთობლიობის წესით 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით და შესაბამისი მუხლით სხეულის დაზიანების შესახებ⁴¹.

104-ე მუხლის მე-7 პუნქტში გათვალისწინებულია განზრახი მკვლელობა. ჩადენილი სამი სახის დამამძიმებელი გარემოების არსებობისას: 1. მკვლელობა

⁴⁰ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1975. № 4, გვ. 10.

⁴¹ იქვე, გვ. 4.

სხვა დანაშაულის დასამალავად; 2. მკვლელობა სხვა დანაშაულის გასაადვილებლად; 3. მკვლელობა გაუპატიურებასთან დაკავშირებით.

რამდენადაც პირველი ორი სახის მკვლელობის აუცილებელ ელემენტს განსაზღვრული მიზანი წარმოადგენს (სხვა დანაშაულის დაფარვის ან სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზანი), ამდენად ასეთი მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ასეთი მიზანი დამამძიმებელ გარემოებად ჩაითვლება იმისდა მიუხედავად, თუ რა სიმძიმისა იყო ის დანაშაული, რომელსაც მკვლეელი ფარავდა ან რომლის გასაადვილებლად მან კაცი მოკლა, აგრეთვე იმისდა მიუხედავად, თვითონ ჩაიდინა ეს დანაშაული, თუ სხვა ვინმემ. განსაკუთრებით ხშირად ამ სახის მკვლელობა გვხვდება ყაჩაღობის დროს ქონების გატაცების მიზნით ან იმ მიზნით, რომ ცოცხალი არ დარჩეს დაზარალებული ან მოწმე, რომელმაც შემდგომ მკვლეელი შეიძლება ამხილოს ჩადენილ დანაშაულში.


104-ე მუხლის მე-7 პუნქტით ქმედობის კვალიფიკაციისათვის აუცილებელი არ არის მკვლელმა ნამდვილად მიაღწიოს მიზანს, ე. ი. ნამდვილად დაფაროს სხვა დანაშაული ან გაიადვილოს სხვა დანაშაულის ჩადენა.

როდესაც დამნაშავემ მოკლა ადამიანი სხვა დანაშაულის ჩადენის გასაადვილებლად ან უკვე ჩადენილი დანაშაულის დასაფარავად, იგი პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობის წესით (104-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მკვლელობისათვის და იმ დანაშაულისათვის, რომლის დასაფარავად ან გასაადვილებლად მან მკვლელობა ჩაიდინა). თუ დამნაშავემ ბოლომდე ვერ მიიყვანა ის დანაშაული, რომლის გასაადვილებლადაც მკვლელობა იყო ჩადენილი, იგი, მკვლელობასთან ერთად, პასუხს აგებს ამ დანაშაულის მცდელობის ან მომზადებისათვის (მე-17 მუხლის მეშვიშობით).

მკვლელობა გაუპატიურებასთან დაკავშირებით ჩვეულებრივად გვხვდება გაუპატიურების ფაქტის დამალვის მიზნით. ზოგჯერ მკვლელობა წარმოადგენს სამაგიეროს გადახდას გაუპატიურების დროს წინააღმდეგობის გაწევისათვის. გამორიცხული არ არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც პირი მიზნად არ ისახავს დაზარალებულის მკვლელობას, მაგრამ ითვალისწინებს, რომ მის მიერ გამოყენებული ფიზიკური ძალადობის შედეგად ქალი შეიძლება მოკვდეს და შეგნებულად უშვებს ამას. მაგალითად, იმისათვის, რომ დაზარალებულმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიოს, დამნაშავე თავში ჩაართყამს ჯოხს, თანაც ითვალისწინებს, რომ ქალი ამ დარტყმით შეიძლება მოკვდეს, მაგრამ გულგრილად ეკიდება მის სიკვდილს. მაშასადამე გაუპატიურებასთან დაკავშირებული მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილებაში „განზრახ მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მითითებულია, რომ განზრახი მკვლელობა, დაკავშირებული გაუპატიურებასთან, ორი დანაშაულის შემადგენლობას ვეძლევის და ამიტომ ყოველთვის უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-7 პუნქტით და 117-ე მუხლის მე-3 ნაწ.)⁴².

⁴² იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1974, № 4, გვ. 10.



შურისძიების ნიადაგზე ჩადენილი მკვლევლობა არ არის მითითებული 104-ე მუხლში როგორც მკვლევლობა დამამძიმებელ გარემოებებში. აქედან კანონი იცნობს მხოლოდ ერთ გამონაკლისს, სახელდობრ, 104-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლევობად ითვლება **მკვლევობა სისხლის ადების ნიადაგზე**. სისხლის ადება წარმოადგენს გვაროვნული წყობილების გადმონაშთს, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილია საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ კუთხეში. სისხლის ადების მოტივით მკვლელობის საშიშროებას ისიც აძლიერებს, რომ მან თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს საპასუხო შესაგებელი და ა. შ. ამიტომ ჩვენი კანონმდებლობა ასეთი სახის მკვლელობას მეტად საშიშად თვლის.

სისხლის ადების ნიადაგზე მკვლევობას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც მკვლელი იმ პირთა წრეს ეკუთვნის, სადაც სისხლის ადების ჩვეულება ჯერ კიდევ შემორჩენილია და როდესაც მკვლელობის მოტივი სწორედ საგვარეულოს სისხლის ადება იყო. 104-ე მუხლის ეს პუნქტი არ შეიძლება განვრცობით იქნეს განმარტებული.

დაბოლოს, მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებებად ითვლება მისი ჩადენა **განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ან იმ პირის მიერ, ვისაც წინათაც ჰქონდა ჩადენილი განზრახი მკვლელობა**, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი პირების მიერ წინათ ჩადენილი 106-ე და 107-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობა.

განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ მკვლელობის ჩადენა იმის დამადასტურებელია, რომ ეს პირი საზოგადოებისათვის მეტად საშიშია: თუმცა მას ორი ან მეტი დანაშაულისათვის წინასწარი მსჯავრდება ჰქონდა, მასში მაინც მტკიცედ არის ფესვგადგმული დანაშაულებრივი ჩვევები. იგი ჯიუტად ეწინააღმდეგება მართლწესრიგს, მასზე ვერც მსჯავრი ახდენს ზეგავლენას და ვერც განაჩენის აღსრულება. ასევე ძალიან საშიშია საზოგადოებისათვის ის, ვინც განმეორებით ჩაიდინა მძიმე დანაშაული — მკვლელობა, ვინც ასე უსულგულოდ ეკიდება ყველაზე ძვირფას საზოგადოებრივ სიკეთეს — ადამიანის სიცოცხლეს.

კანონი არ თვლის ზემოაღნიშნული პირების მიერ ჩადენილ მკვლელობას მკვლევობად დამამძიმებელ გარემოებებში, როდესაც ეს დანაშაული ჩადენილია უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების დროს, რომელიც გამოწვეული იყო დამნაშავეს ან მისი ახლობლების მიმართ დაზარალებულის უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით ან თუ იგი ჩადენილია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების დროს. ასეთი მკვლელობა არსებითად თვით დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით არის პროვოცირებული და იგი არ არის შედეგი იმ განსაკუთრებული დანაშაულებრივი ჩვევებისა, იმ მძიმე ამორალური განწყობისა, რის გამოც გამოაცხადა კანონმდებელმა 104-ე მუხლის მე-9 პუნქტში მოხსენიებული მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილად.

104-ე მუხლის მე-9 პუნქტით შეიძლება პასუხი აგონ მხოლოდ ისეთმა პირებმა, რომლებიც კანონით დადგენილი წესისამებრ ცნობილი იყვნენ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად განზრახი მკვლელობის ჩადენამდე.

მკვლელობა ჩაითვლება განმეორებით ჩადენილად, თუ პირს წინათ ჩადენილი ჰქონდა განზრახი მკვლელობა, გათვალისწინებული 104-ე ან 105-ე მუხ-

ლით, ე. ი. განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში ან დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე, აგრეთვე თუ პირმა წინათ ჩაიდინა მკვლელობა საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზნით (67-ე და 68-ე მუხლები), დივერსიასთან დაკავშირებით (69-ე მუხლი), ბანდიტური თავდასხმის დროს (78-ე მუხლი), შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობის დეზორგანიზაციასთან დაკავშირებით (78¹⁰-ე მუხლი), საზოგადოებრივი წესრიგის დამრეველი მილიციის მუშაის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა (209-ე მუხლი), სამხედრო უფროსის მკვლელობა (258-ე მუხლის „გ“ პუნქტი). მკვლელობა არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც განმეორებით ჩადენილი, თუ აღრინდელი მკვლელობა ჩადენილი იყო ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (106 მუხლი) ან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით (104-ე მუხლი).

104-ე მუხლის მე-9 პუნქტით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, იყო თუ არა პირი მსჯავრდებული აღრე ჩადენილი მკვლელობისათვის. 104-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს აგრეთვე იმას, დამთავრებული იყო თუ არა ორივე განზრახი მკვლელობა ან ამსრულებელი იყო თუ თანამონაწილე ამ დანაშაულთა ჩამდენი⁴³.

ქმედობა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს 104-ე მუხლის მე-9 პუნქტით, „თუ წინათ ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის დამნაშავეს ნასამართლობა მოხსნილი აქვს ამნისტიის ან პატიების ძალით ან გაქარწყლებული თუ მოხსნილი აქვს კანონით დადგენილი წესისამებრ, აგრეთვე თუ მკვლელობის ჩადენის მომენტში წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გასულია სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადები, მითითებული სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები“⁴⁴.

თუ პირი წინათ ჩადენილი მკვლელობისათვის ან მისი მცდელობისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა, ეს პირველი დანაშაული დამოუკიდებლად უნდა დაკვალიფიცირდეს, ხოლო უკანასკნელი დანაშაული, იმისდა მიხედვით, დამთავრებულია იგი თუ დაუმთავრებელი, დაკვალიფიცირდება ან 104-ე მუხლის მე-9 პუნქტით ან მე-17 მუხლით და 104-ე მუხლის მე-9 პუნქტით.

განზრახი მკვლელობა, ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების დროს, უნდა დაკვალიფიცირდეს ერთობლიობის წესით სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე ან 105-ე მუხლით და 187-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

განზრახი მკვლელობა პირმა შეიძლება ჩაიდინოს როგორც ბანდის მონაწილემ ბანდიტური თავდასხმის დროს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილებაში ნათქვამია, რომ ასეთ შემთხვევაში დამნაშავე პასუხს აგებს ბანდიტიზმისათვის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 98-ე მუხ.) და დამატებითი კვალიფიკაცია შესაბამისი მუხლით დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის შესახებ (1041ე მუხ.) საჭირო არ არის⁴⁴.

⁴³ იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1975, № 4, ვვ. 10.

⁴⁴ იქვე.

თუ განსაკუთრებით საშიშმა რეციდივისტმა ან მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულმა, რომელიც ტერორით აშინებდა გამოსწორების გზაზე დაძვარ პატიმრებს ან ადმინისტრაციაზე თავდასხმას აწყობდა, ამ დროს განზრახ კაცი მოკლა, მისი ქმედობა უნდა კვალიფიცირებულ იქნეს არა მარტო იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობაში დეზორგანიზაციის შეტანისათვის (მუხ. 87¹), არამედ აგრეთვე შესაბამისი მუხლით განზრახი მკვლელობის შესახებ, რადგანაც 87¹ მუხლის დისპოზიცია არ მოიცავს დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობას⁴⁵.

რადგანაც მკვლელობის მოტივის, მიზნისა და საშუალებების ზუსტად დადგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ქმედობის სწორი კვალიფიკაციისათვის, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილება რეკომენდაციას აძლევს სასამართლოებს ყველა შემთხვევაში ზედმიწევნით შეისწავლონ ეს გარემოება და თანაც განაჩენონ მიუთითონ კონკრეტული მტკიცებულებები, რითაც სასამართლო ასაბუთებს თავის დასკვნას. თუ რაიმე ეჭვი არსებობს მკვლელის ფსიქიკურ სრულფასოვნებაში, აუცილებელია ჩატარდეს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, თუნდაც ამისთვის საჭირო იყოს მისი სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება სტაციონარული დაკვირვებისათვის⁴⁶.

საზოგადოდ და, მით უმეტეს, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულია. ამიტომ მისთვის გათვალისწინებული სასჯელიც შესაბამისად მეტად მკაცრია: თავისუფლების აღკვეთა რვიდან თხუთმეტ წლამდე, გასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ ანდა სიკვდილით დასჯა. ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება განზრახ მკვლელობაში მხილებული პირებისათვის სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალიზაციის პრინციპის მტკიცედ დაცვას. კერძოდ, საჭიროა შესწავლილ იქნეს დამნაშაის დამახასიათებელი თვისებები, მისი დამოკიდებულება შრომისადმი, ყოფაქცევა ოჯახში, დამოკიდებულება მოკლულთან, მისი საქციელი დანაშაულის ჩადენის მომენტში და ა. შ. სასამართლოებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ სიკვდილით დასჯის გამოყენების დროს. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1975 წ. 27 ივნისის დადგენილებამ ერთხელ კიდევ მოაგონა მოსამართლეებს, რომ „დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის კანონი დასაშვებად თვლის სიკვდილით დასჯის გამოყენებას, მაგრამ მას იგი სავალდებულოდ არ მიაჩნია“. პლენუმის იმავე დადგენილებაში ნათქვამია: „სიკვდილით დასჯის გამოყენების საკითხი თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რაც მითითებულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 32-ე მუხლში (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლში). თუ გამოყენებულია სიკვდილით დასჯა, აუცილებლად უნდა იქნეს მითითებული ამ სასჯელის დანიშვნის მოტივები“⁴⁷.

⁴⁵. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1975, № 4, зб. 11.

⁴⁶ იქვე, зб. 8.

⁴⁷ იქვე, зб. 8.

გამომცემლის საქმიანობა მაგარიკული ზარალის ასანაზღაურებლად

ი. სიონიძე,

საქართველოს სსრ პროკურორის უფროსი თანაშემწე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სოციალისტური ქონების გაფლანგვა-გატაცება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ორგანიზებულად ხდება, დიდ ზარალს აყენებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ამიტომ სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალის რეალური ანაზღაურება, გამოძიების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კანონი ავალებს გამოძიებელს, რომ თუ არსებობს საქმისი მონაცემები დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის შესახებ, მიიღოს სათანადო ზომები წარდგენილი ან შესაძლო სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად. იგი მოვალეა აგრეთვე, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას ისეთი დანაშაულისათვის, რომლისთვისაც შეიძლება გამრყენებულ იქნას სასჯელი ქონების კონფისკაციის სახით, მიიღოს ზომები, რათა ბრალდებულმა არ გადაამლოს ქონება (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე და 129-ე მუხ.)

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი თავის ბრძანებებსა და მითითებებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქონების გაფლანგვა-გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ მოითხოვს საგამოძიებო აპარატის მუშაობის ეფექტურობის ამაღლებას დამტაცებლების მიერ მიყენებული მატერიალური ზარალის რეალური ანაზღაურებისათვის.

დანაშაულით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გამოძიებლის საქმიანობის მაღალი დონე შეიძლება მიღწეული იქნას მხოლოდ მაშინ, თუ სათანადო პირობები დაცული იქნება.

ამ პირობებს შორის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დაუყოვნებლივ განხორციელდეს საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც მიმართულია მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად. გამოძიების დასაწყისშივე ერთდროულად უნდა მოხდეს ქონების აღწერა, აგრეთვე ჩხრეკა დამნაშავეს ბინაში და სამუშაო ადგილზე.

პრაქტიკაში იშვიათი როლია, როცა გამოძიებლები დროულად არ ატარებენ ამ ღონისძიებებს, რაც შემდგომში აძნელებს მტკიცების მთელ პროცესს. ასეთ შეცდომათა თავიდან აცილებისათვის უნდა გავივალისწინოთ, რომ თუ გაფლანგვა-გატაცების ფაქტები თავიდანვე არ გვაქვს სახეზე, მაგრამ არის ნიშნები, პერსპექტივაში გატაცების მუხლით აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ეჭვმიტანილ პირებს შეიძლება ჩაუტარდეთ ქონების აღწერა. ამას გარდა ქონების დაუყოვნებლივ აღწერა და ჩხრეკა ეს მარტო ის ღონისძიება როლია, რომლებიც მიმართულია დამნაშავეს მიერ მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებისაკენ, არამედ დანაშაულის სრული გახსნის მნიშვნელოვანი

საშუალებაცაა. ამას მოწმობს კერძოდ, საგამოძიებო პრაქტიკა, რომელმაც ცოტა როდი იცის შემთხვევები, როცა სწორედ ქონების აღწერისა და ჩხრეკის პროცესში აღმოჩნდება შავი ჩანაწერები, უსაქონლო განრიგების ან ყალბი დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებათა ასლები, რომლებიც აადვილებენ დანაშაულის გახსნას და საერთოდ მტკიცების მთელ პროცესს. თუ საქმე აღიძვრება რევიზიის მასალებით ან სხვა ოფიციალური წყაროებით, გამტაცებლებისათვის, ბუნებრივია, ცნობილი ხდება გამოძიების დაწყება. მიუხედავად ამისა, გამომძიებელმა უარი არ უნდა თქვას ქონების აღწერასა და ჩხრეკაზე იმ პირებისა, რომლებზეც არის მონაცემები, რომ მათ კავშირი აქვთ დანაშაულებთან, რადგან ხშირად სწორედ ამით ხდება შესაძლებელი დატაცებული ქონების აღმოჩენა და ამოღება, დამტაცებლების ქონებაზე ყადაღის დროულად დადება, რომლითაც შემდგომში შესაძლებელია სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის სრული ანაზღაურება და ქონების შესაძლო კონფისკაცია.

მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად მიმართულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს უნდა გამოირიცხოს რაიმე აჩქარება, რადგან თუ ისინი ღრმად არ არის გააზრებული, სრულდება სათანადო გეგმის გარეშე და კონკრეტულ გარემოებათა გაუთვალისწინებლად, შეიძლება არაეფექტური აღმოჩნდეს; ამიტომ, სისხლის სამართლის საქმის აღძვრისთანავე საგამოძიებო გეგმის შედგენისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას საგამოძიებო მოქმედებათა მთელი კომპლექსი, რომლებიც მიმართული იქნება გატაცებული ქონების დასაძებნად. ასეთ ღონისძიებათა დაგეგმვა უნდა განხორციელდეს ექვმიტანილის, მისი ნათესავებისა და ახლო ნაცნობების ფულადი თანხებისა და სხვა ფასეულობათა შენახვის შესაძლო ადგილების შესახებ მონაცემების საფუძველზე. მასალებში, რომლებიც საფუძვლად დაედო სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, განსაკუთრებით მამინ, როცა საქმე აღიძრა რევიზიის აქტის ან სხვა ოფიციალური წყაროს მიხედვით ასეთი მონაცემები იშვიათადაა. ამასთან ასეთი მონაცემების შეკრებას და გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს საგამოძიებო მოქმედებების შესრულებისას. აუცილებელი მონაცემების შეკრებაში არსებითი დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების ოპერატიულ-სამძებრო ქვეგანყოფილებებს.

ამასთან ერთად, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ გამომძიებელს აქვს ბევრი სხვა საშუალება, რომელთა დახმარებით მას შეუძლია და მოვალეცაა დამოუკიდებლად შეეცადოს შეკრიბოს მონაცემები იმ ქონების ადგილმდებარეობის შესახებ, რომელიც ექვმდებარება აღწერას. ჯერ ერთი, საბჭოთა გამომძიებლების მიერ დაგროვილი მდიდარი საგამოძიებო გამოცდილება. საშუაბას იძლევა ნათლად წარმოვიდგინოთ აღსაწერი ქონების გადაძალის ტიპური ადგილები და ხერხები, რომელიც საფიქრებელია, რომ გამოიყენეს ექვმიტანილმა პირებმა¹. დამტაცებლების მთელი გაქნილობის მიუხედავად მათი შესაძლებლობები ვარიანტების ასარჩევად, არ არის შეუზღუდველი. ამას გარდა გამომძიებელს შესაძლებლობა აქვს მისთვის საინტერესო მონაცემები მიიღოს ისე, რომ თავიდან აიცილოს ინფორმაციის გამჟღავნება. ამ მიზნით იგი

¹ ამ საკითხზე გამოქვეყნებულ ლიტერატურისა და საგამოძიებო პრაქტიკის დაწვრილებით ჩამოთვლა იხ. Т. М. Арзуманян, Исследование и предупреждение хищений государственного и общественного имущества (библиографический указатель), Москва, 1974 г.

მიმართავს იმ მოწმეთა შერჩევით დაკითხვას, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი საქმის შედეგებით, ანალიზებს ექვემდებარებული პიროვნების შესახებ პირველად მასალებს, სწავლობს მის წარსულს, დანაშაულებრივ საქმიანობის თავისებურებებს და ა. შ.

საგამომძიებო მოქმედებები, მიმართული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად, უნდა განხორციელდეს ერთდროულად: ა) ყველა ექვემდებარებულის მიმართ, ბ) ყველა იმ შესაძლო ადგილებზე, სადაც გადაძალულია აღსაწერი ფულადი სახსრები და სხვა ფასეულობები.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულდება ყველა ეს რეკომენდაცია, მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურება შეიძლება ქმედითი იყოს გამომძიებლის საწყის ეტაპზევე.

მეორე უმნიშვნელოვანესი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს გამომძიებლის პროცესუალური საქმიანობის ეფექტურობას დანაშაულებრივი ქმედობით მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად — ეს არის გატაცებული სახსრებით შექმნილი ქონების, ფულადი და სხვა მატერიალური ფასეულობათა მიზანდასახული დაქვანა მტკიცების მთელი პროცესის განმავლობაში.

მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად მიმართულ საგამომძიებო მოქმედებათა დროულობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მოულოდნელობის ეფექტი ყოველთვის არ უზრუნველყოფს მთელი იმ ქონების აღმოჩენას, რომელიც ექვემდებარება აღწერას.

ყოველივე ამის გამო აუცილებელია, რომ გამომძიებლის მთელ პროცესში სისტემატურად განხორციელდეს ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად.

პირობითად ეს ღონისძიებები შეიძლება დავეყოთ სამ სახედ:

პირველს მიეკუთვნება ბრალდებულის (ექვემდებარებულის) ტაქტიკურად სწორად დაკითხვა, რაც უზრუნველყოფს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარებას. ბრალდებულის გულწრფელ ჩვენებას, რომ მან ჩაიდინა გატაცება, აქვს არა მარტო მტკიცებითი მნიშვნელობა, არამედ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დანაშაულებრივი გზით შექმნილი ფულადი თანხებისა და სხვა ფასეულობათა ადგილსამყოფელის აღმოსაჩენად.

ბრალდებულის სწორი ჩვენების მიღებას ხელს უწყობს შემდეგ გარემოებათა კომპლექსი:

ა) საქმეში იმ მტკიცებულებათა არსებობა, რომლებიც მოწმობს დასაკითხვი პირის ბრალეულობას;

ბ) ბრალდებულის პიროვნების შესახებ მრავალმხრივი ინფორმაციის მიღების და გამოყენების შესაძლებლობა;

გ) გამომძიებლის უნარი ანალიზი გაუკეთოს ოპერატიული და საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ არცერთი სხვა დანაშაულის დროს არ რჩება ისეთი დიდი ოდენობით კვალი საბუღალტრო და ოპერატიულ დოკუმენტებში, როგორც სოციალისტურ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებსას. ასეთ პირობებში მაღალ პროფესიულ მომზადებას საბუღალტრო აღრიცხვის დარგში, შეუძლია გამომძიებელს საშუალება მისცეს ყურადღება მიაქციოს მნიშვნელოვან ნიუანსებს და მათ საფუძველზე მოძებნოს გზები, რათა ბრალდებულისაგან მიიღოს სწორი და სრული ჩვენება;

დ) გამომძიებლის მიერ იმ ხერხების ცოდნა, რომელიც გამოყენებულია დატაცებული დანაშაულის ჩადენისა და დამალვისათვის. როგორც ცნობილია. დამტაცებლები ყოველთვის ერთნაირად არ მოქმედებენ, ხშირად მიმართავენ საგამომძიებო პრაქტიკისათვის ცნობილ ხერხებს;

ე) მეტი დაკვირვების გამოჩენა, უნარი გულმოდგინედ შეაფასოს ყოველი ხარვეზი დასაკითხი პირის ჩვენებათა ჯაჭვში;

ვ) უნარი, ყურადღება მიაქციოს უმნიშვნელო წვრილმან დეტალებსაც კი. წინააღმდეგობას როგორც დასაკითხი პირის თავისუფალ თხრობაში, ისე მისი ჩვენებების შეუსაბამობაში საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებისადმი. გამომძიებლის უნარი შეამჩნიოს წინააღმდეგობები — არ ნიშნავს იმის აუცილებლობას, რომ მან დაუყრვნელივ ადმოფხვრას ისინი. რაც უფრო მეტს შენიშნავს გამომძიებელი წინააღმდეგობებს, მით უფრო მეტი ხელოვნებით უნდა შექმნას მან შთაბეჭდილება, თითქოს ვერ ხედავს მათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაატოხობს დასაკითხ პირს, რასაც არაარობამდე შეუძლია დაიყვანოს მნიშვნელოვანი კითხვის დაყენების ეფექტურობა.

ზ) არ იჩქაროს დასკვნების გამოტანა ბრალდებულის ჩვენებების სისრულეზე, სისწორეზე და ნამდვილობაზე. აჩქარებას შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ დადგენილი იქნება მხოლოდ ზედაპირული ფაქტები, რადგან პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შეკრებილი მხილებების გავლენით დამტაცებლები ზოგჯერ აღიარებენ „ლეგენდას ლეგენდის შიგნით“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ხერხი მიმართულია იმისაკენ, რომ ბრალდებული აღიარებს თავის მეორეხარისხოვან როლს დანაშაულის ჩადენაში, ან კავშირს ზოგიერთი მცირემნიშვნელობის ეპიზოდებში ან სხვა არაარსებით ფაქტებს, რომლებიც არ ლაპარაკობენ მის სასარგებლოდ, რათა დამალოს საქმის მნიშვნელოვანი გარემოებები.

ბრალდებულის დაკითხვის ზოგად ტაქტიკურ ხერხებთან ერთად გაფლანგვა-გატაცებების გამოძიების დროს არანაკლები მნიშვნელობა აქვს დაკითხვის ცალკეულ თავისებურებებსაც, რომლებიც მიმართულია მთელი გატაცებული ქონების დასადგენად.

ეს თავისებურებები საკმაოდ ქმედითია, როცა გამომძიებელს შეუძლია აღმოაჩინოს გატაცების გზით შექმნილ ფასეულობათა ნაწილი, ხოლო ბრალდებულმა ჯერ კიდევ არ იცის გამომძიებლის მიერ ჩატარებული ძებნის შედეგები. ამ შემთხვევაში ბრალდებულისაგან დაწვრილებით გაიგება მონაცემები ოჯახის შემოსავლის წყაროს, ხარჯების შესახებ და ამ გზით დგინდება, შეიძლება თუ არა ჰქონდეს მას პატიოსანი გზით შეგროვილი დანაშოგი. ბრალდებულის ჩვენების ფიქსაციის შემდეგ, რომელმაც „დამაჯერებლად“ ახსნა, რომ მას არა აქვს მნიშვნელოვანი თანხა, ფასეულობები, მას წარედგინება მონაცემები აღმოჩენილის შესახებ. ძალიან ხშირად ასეთ სიტუაციებში ბრალდებული ყველა თავისი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ და მის მიერ გატაცებული ქონების გადამალვის შესახებ.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს როგორც მოულოდნელობის ელემენტს, აგრეთვე ფსიქოლოგიურ მომენტს — გაცრუების, აუნაზღაურებელი დანაკარგის გრძნობას, რომელიც უჩნდება ბრალდებულს, რომლისთვისაც დანაშაულებრივი გზით ქონების შექმნა ზოგჯერ ქვეულის ცხოვრების მიზნად. მოულოდნელი შეტყობინება ფასეულობათა აღმოჩენისა და ამოღების შესახებ, რომელსაც იგი დიდი მონდომებით მალავდა, შეიძლება დაეხმაროს გამომძიებ-

ბელს, რათა გატეხოს დასაკითხი პირის აქტიური წინააღმდეგობა გატაცებული ქონების მთლიანად აღმოჩენაში. მას ძალიან ხშირად ასეთ სიტუაციებში იმედ-გაცრუების გრძნობასთან ერთად უჩნდება გრძნობა ინდიფერენტუზმისა, რომელიც ხელს უწყობს მის მიერ სწორი ჩვენებების მიცემას.

გამომძიებელს, რომელმაც აღმოაჩინა და ამოიღო ბრალდებულის მიერ გადაძალადი ფასეულობა, აქვს საფუძველი იფიქროს, რომ მან არ აღმოაჩინა გატაცების გზით დაგროვილი მთელი ქონება, ასეთ შემთხვევაში იგი დაკითხავს ბრალდებულის ახლო ნათესავებს (უპირველეს ყოვლისა, მეუღლეს) და ისინი აჩვენებენ, რომ გამომძიებლის მიერ ამოღებულია მთელი ქონება, რომელიც პქონდა ბრალდებულს (ზოგჯერ ამ ფასეულობებს აბარებს მეუღლე). დაკითხავს რა ბრალდებულს, გამომძიებელი აცნობს მას ამ ჩვენებებს (მთელ ფასეულობათა ჩაბარების შესახებ), აგრეთვე უდგენს მას ზოგიერთ ამოღებულ, ყველაზე მნიშვნელოვან საგნებს. ისეთ პირობებში, როცა ბრალდებული არწმუნებს გამომძიებელს, რომ იგი საბოლოოდ „განთავსდა“, გულწრფელად აძლევს სწორ ჩვენებას, რომელშიც სრულად აშუქებს ყველა გარემოებას, ასეთ სიტუაციაში გარკვეული შედეგი შეიძლება გამოიღოს გამომძიებლის კითხვამ ბრალდებულისადმი, რათა ამ უკანასკნელმა დაასახელოს (თითქოსდა ბრალდებულის გულწრფელობის შესამოწმებლად) ადგილები, სადაც იგი ინახავდა თავის ფასეულობებს. ზოგჯერ ასეთ მდგომარეობაში ბრალდებული მიუთითებს ფასეულობათა შენახვის ისეთ ადგილებზე, რომლებიც გამომძიებლებისათვის არ იყო ცნობილი².

საგამომძიებო ღონისძიებათა მეორე ჯგუფს, რომლებიც მიმართულია მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად, ეკუთვნის ჩხრეკის განმეორებითობის პრინციპი.

საგამომძიებო პრაქტიკა მოწმობს, რომ იმ შეთხვევებში, როცა გამოძიების დაწყებით ეტაპზე ჩატარებული ჩხრეკა არ იძლევა მოსალოდნელ შედეგებს, განმეორებით ჩხრეკის ჩატარება ზოგჯერ ხელს უწყობს დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონებისა და ფასეულობათა მნიშვნელოვანი ნაწილის აღმოჩენას. ხშირად ეს აიხსნება იმით, რომ საქმის შედეგებით დაინტერესებული პირები კარგავენ სიფრთხილეს, რაც ნათ ახასიათებთ გამოძიების დასაწყის სტადიაში იმის გამო, რომ მათ უჩნდებათ გატაცებული ქონების გადაძალადის შენახვის რწმენა, ეს პირები კვლავ ინახავენ დანაშაულებრივი გზით შექმნილ ფასეულობებს თავიანთ ბინებში და ა. შ.

დანაშაულებრივი გზით შექმნილი ფულადი სახსრებისა და ფასეულობათა ძებნის პროცესში ზოგჯერ მიზანშეწონილია ჩხრეკების ჩატარება იმ პირთა საცხოვრებელ ადგილებში, რომლებსაც არა აქვთ კავშირი გაფლანგვა-გატაცებებთან, მაგრამ რომლებთანაც დამტაცებლებს შეუძლიათ შეინახონ ქონება.

ასეთი ჩხრეკის ეფექტურობა ბევრად არის დამოკიდებული მოსამზადებელ ღონისძიებებზე. ისინი მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ ზუსტად დადგინდეს საქმის ქონების არსებობის ფაქტი, მიღებული იქნას მოწმობები, რომ დამტაცებლების მიერ საქმის ქონება გადაძალადი გარკვეულ პირებთან.

გამომძიებლის მიერ სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზა-

² ვ. გ. ტანსვეიჩის სადოქტორო დისერტაციის მასალების მიხედვით «Проблемы борьбы с хищениями государственного и общественного имущества», Москва, 1967, გვ. 694—699.

რალის ასანაზღაურებლად განხორციელებულ ღონისძიებათა შემდეგ ჯგუფს ეკუთვნის მოქმედებები, რომლებიც მიმართულია ბრალდებულთა და ახლო ნათესაეების შესამოწმებლად სსრ კავშირის სახბანკების განყოფილებებსა და შემნახველ სალაროებში.

ამასთან მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ შემნახველი სალაროები კერძო მოქალაქეებისაგან შესანახავად იღებენ ფასიან ქალაღებს.

ამიტომ, სახბანკში ან შემნახველ სალაროებში ანაბრებსა და ფასიან ქალაღებს, რომლებიც ბრალდებულს ან მის ახლო ნათესაეებს ეკუთვნით დაუყოვნებლივ უნდა დაედოს ყადაღა.

გარდა ამისა, გამომძიებელი ამოწმებს და იმ შემთხვევაში თუ აღმოაჩენს ყადაღას ადებს საცხოვრებელ ნაგებობებს (კერძო ბინა, აგარაკი, რომლებიც რეგისტრირებულია ბრალდებულების ან მათი ოჯახის წევრებზე, აგრეთვე ყველა იმ ფასეულობებზე, რომლებიც ჩაბარებულია საკომისიო მაღაზიაში და დაგირავებულია ლომბარდში.

მესამე პირობა გამომძიებლის პროცესუალური საქმიანობის მაღალი დონისა, რომელიც მიმართულია გატაცებული ქონების აღმოსაჩენად — ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-სამძებრო ქვეგანყოფილებებთან მჭიდრო კონტაქტი.

ქონების დაძებნის სპეციფიკა, განსაკუთრებით ფულისა და ძვირფასეულობისა მოითხოვს პროცესუალური ღონისძიებების მთელი კომპლექსის გატარებას, რომელთა წარმატებით განხორციელება დაკავშირებულია გამომძიებლისა და მოკვლევის ორგანოს შეთანხმებული მოქმედების უზრუნველყოფასთან.

ცნობილია, რომ საგამომძიებო აპარატები უშუალოდ იყენებენ მტკიცების პროცესუალურ საშუალებებს, ხოლო ოპერატიული ქვეგანყოფილებები — ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს.

დამნაშავეობის წინააღმდეგ მებრძოლი თითოეული ქვეგანყოფილების წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტის თავისებურებანი განსაზღვრავს მათი შეთანხმებული მოქმედების აუცილებლობას. რადგან მხოლოდ მტკიცების პროცესუალურ საშუალებათა უნარიანი შეხამება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებთან ქმნის ყოველ საქმეზე ამოცანების გადაწყვეტის ოპტიმალურ წინამძღვრებს.

გამომძიებლებისა და მოკვლევის ორგანოების შეთანხმებული მოქმედება იმ ქონების დასაძებნად, რომლებიც შექმნილია დანაშაულებრივი გზით, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია გამომძიებლის ინიციატივასა და მიზანდასახულობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ოპერატიულ-სამძებრო ქვეგანყოფილებები იყენებენ პროცესუალურ საშუალებათა დიდ არსენალს, მათი შესაძლებლობები არ არის უსაზღვრო. გამოძიების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოკვლევის ორგანოებს მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინოს გატაცებული ქონების დაძებნაში. ეს ამოცანა არ უნდა გავიგოთ სიტყვა-სიტყვით, რადგან გამომძიებელი არ იღებს მონაწილეობას ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელებაში. საქმე ეხება გამომძიებლის მიერ მოკვლევის ორგანოებისათვის დახმარების აღმოჩენას პროცესუალური საქმიანობის ფარგლებში. საგამომძიებლო პრაქტიკის განზოგადება საშუალებას იძლევა ჩამოვყალიბოთ ასეთი საქმიანობის რამოდენიმე ფორმა.

ამ ფორმათა რიცხვს ეკუთვნის პირველ რიგში ოპერატიულ-სამძებრო ქვეგანყოფილებისათვის ინფორმაციის მიწოდება იმ ვერსიებზე, რომლებიც დაკავშირებულია დასაძებნი ქონების არსებობასთან.

მოკვლევის ორგანოებს, ამ ინფორმაციის გამოყენებით საშუალება ეძლევა პროცესუალური საშუალებების მომარჯვებით მოახდინონ დაძაბული წინასწარი მიზანდასახული შემოწმება. როცა შემოწმება საფუძველს იძლევა წამოყენებული ვერსიის დასადასტურებლად, მიიღება შეთანხმებული ღონისძიებები გატაცებული ქონების აღმოჩენისა და ამოღებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ გამომძიებლის საქმიანობა ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ წამოყენებულ ვერსიის შესახებ მეტად სერიოზული საკითხია.

პრაქტიკა მოწმობს, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვა-გატაცების გამოძიებისას ოპერატიულ-სამძებრო ქვეგანყოფილებების სრული ინფორმირება ვერსიების შესახებ, რომლებიც ემყარება საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს, უზრუნველყოფს დატაცებული ქონების, მათ შორის განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქონების დაძებნას.

ბუნებრივია, რომ წინამდებარე სტატიაში შეუძლებელია მოვიყვანოთ ამ სახის ყველაზე ტიპური ვერსიების თუნდაც მოკლე ჩამოთვლა. მიუხედავად ამისა, აუცილებელია აღინიშნოს ორი გარემოება, რომლებიც უნდა გათვალისწინებულ იქნეს ვერსიების შემუშავებისას. ჯერ ერთი, უკანასკნელ ხანებში შეიმჩნევა მისწრაფება გაიზიაროს ქონების გამტაცებლის მიერ ქონების გადაძალვის ადგილი. დიდი და განსაკუთრებით დიდ ოდენობით გაფლანგვა-გატაცების მთელ რიგ საქმეთა გამოძიებისას გამომძიებლებმა აღმოაჩინეს გაზიფრული ჩანაწერები, რომლებიც შეეხებოდა ფასეულობათა შენახვის ადგილებს. აქედან გამომდინარე აუცილებელია ყურადღებით გავაანალიზოთ ყველა საეჭვო დოკუმენტი, რომელიც აღმოჩნდება დამტაცებლებთან და დროულად მივაწოდოთ ინფორმაცია ამაზე მოკვლევის ორგანოებს.

მეორე მხრივ, პირები, რომლებმაც დანაშაულებრივი გზით შეიძინეს დიდი თანხები და მნიშვნელოვანი ფასეულობანი, ეძებენ ე. წ. „განძის მფლობელებს“, ე. ი. სანდო პირებს, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა გაფლანგვა-გატაცებაში. გარკვეული საზღაურით ისინი ინახავენ მათთვის ჩაბარებულ ფასეულობებსა და ფულს. ასეთ პირობებში მოკვლევის ორგანოების წინაშე ამოცანის დაყენება „განძის მფლობელთა“ დადგენის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანაა.

გამომძიებლის მიერ მიღებული ინფორმაციის რეალიზაცია, რომელიც მიღებულია არაპროცესუალური გზით საძებნი ქონების და ფულადი თანხების ადგილსამყოფელის შესახებ, ასევე მოითხოვს მოკვლევის ორგანოებთან შეთანხმებულ მოქმედებას.

შეიძლება ჩამოვთვალოთ სანიმუშო კითხვები, რომლებიც უნდა გადაწყდეს: ა) შემსრულებელთა პერსონალური შემადგენლობა; ბ) ამ უკანასკნელთა ინსტრუქტაჟი ღონისძიებათა ხასიათის შესახებ და რა მიზნით ტარდება ისინი; გ) როგორი პირობებია (გამოსასვლელისა და შესასვლელის რაოდენობა და ა. შ.) ჩასატარებელი ოპერაციები ადგილებზე; დ) მეცნიერულ-ტექნიკურ საშუალებათა ხასიათი, რომელთა გამოყენება მიზანშეწონილია; ე) როგორ უნდა იქნას ფიქსირებული დადგენილი ფაქტები; ვ) ვის ჩაბარდეს აღმოჩენილი ფასეულობანი და ქონება.



გამომძიებლის შეთანხმებული მოქმედება მოკვლევის ორგანოებთან უნდა ატარებდეს არა ეპიზოდურ ხასიათს და გრძელდებოდეს გამომძიების დამთავრებამდე.

პრაქტიკაში ხშირად გამომძიებლისა და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ გატარებული ღონისძიებები გატაცებული ქონების დასადგენად გამომძიების დასაწყის სტადიაში არ იძლევა შედეგებს. გამომძიების პირველდაწყებით ეტაპებზე ასეთმა წარუმატებლობამ გული არ უნდა გაუტეხოს გამომძიებელს, რადგან დაძაბულმა მუშაობამ ბრალდებულთან და საქმის შედეგებით დაინტერესებულ სხვა პირებთან მტკიცების მთელ პროცესში ხშირად ავსებს აღრე დაშვებულ ხარვეზებს.

გამომძიებლის და მოკვლევის ორგანოების შეთანხმებულ მოქმედებაში გატაცებული ქონების დაძებნისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება: გამოყენებულ იქნას ოპერატიულ „სამძებრო ქვეგანყოფილებების დახმარება-დამტაცებელთა ავტომატური დასაძებნად. გამტაცებლები ქალაქის ავტონისპექციის ორგანოებში სხვა პირებზე (შორეულ ნათესავეებზე, ნაცნობებზე და ა. შ.) აფორმებენ ავტომობილებს.

დაბოლოს, გამომძიებლის პროცესუალური საქმიანობის ეფექტურობის მეოთხე პირობა, რომელიც მიმართულია მიყენებული ზარალის რეალური ანაზღაურებისაკენ, ის არის, რომ მიღებულ იქნას ზომები აღწერილი ქონების დასაცავად.

ამ პირობის იგნორირებას ხშირად მიყვარათ იქამდე, რომ გამტაცებლების ნათესავეები რეალიზაციას უკეთებენ, ცვლიან ან მალავენ აღწერილ ქონებას და ამით ხელს უშლიან სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის რეალურ ანაზღაურებას.

ამის თავიდან ასაცილებლად გამომძიებელმა უნდა დაიცვას შემდეგი წესები:

ა) ყველა ნაპოვნი ქონება, რომლის ტრანსპორტირება შეიძლება, ამოიღოს და გადასცეს შესაბამის შესაბამის სახელმწიფო ორგანიზაციებს;

ბ) ქონება, რომელიც ბრალდებულს ეკუთვნის და აღიწერა, დაიბეჭდოს;

გ) არ გადასცეს ქონება პირებს, რომლებსაც არ შეუძლიათ უზრუნველყონ მისი შენახვა;

დ) აღწერის ოქმებში ჩამოითვალოს ქონება, რომელიც დარჩა ბრალდებულის ოჯახში და არ შევიდა აღწერაში;

ე) ქონების აღწერის ოქმში აღინიშნოს ისეთი ქონების შექმნის ნომერი და თარიღი, როგორცაა მაცივარი, მაგნიტოფონი, რადიომიმღები;

ვ) დაწვრილებით აღინიშნოს ნივთების განმასხვავებელი ნიშნები და მათი ხარისხობრივი მდგომარეობა;

ზ) გადაღებულ იქნას აღწერილი ნივთების სურათები;

თ) თუ სიძნელეებია ქონების აღწერისას, გამოიყენოს სპეციალისტები; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და სსრკ პროკურატურის 1953 წლის 7 აგვისტოს № 8/200 მოთხოვნების შესაბამისად საბრალდებო დასკვნაში ასახვა უნდა ჰპოვოს მონაცემებმა მიყენებული ზარალის და მისი ანაზღაურების შესახებ, მითითებული იქნას საქმის იმ ფურცლებზე, სადაც არის დოკუმენტები ქონებაზე ყადაღის დადების, მისი ამოღებისა და შესანახავად გადაცემის შესახებ.

წინასწარი პატიმრობის აღვილავზე საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების ზოგადი საკითხი

ბ. ძაბანი,

საქართველოს სსრ პროკურატურის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე საზედამხედველო განყოფილების უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი

საგამოძიებო იზოლატორი. წინასწარი პატიმრობის ადგილია, სადაც მოთავსებული არიან ბრალდებულები, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდებათ პატიმრობა.

გარდა ამ პირებისა დასაშვებია საგამოძიებო იზოლატორში მსჯავრდებულის გადაყვანა შრომა-გასწორების დაწესებულებიდან:

სასამართლოს განჩინებით, სასამართლოში საქმის განხილვასთან დაკავშირებით, საქმის განხილვის მთელი დროის განმავლობაში;


სხვა პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებით — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ პროკურორების, სამხედრო ოლქის, ფლოტის, ჯარების ჯგუფებისა და სსრ კავშირის შეიარაღებული ჯარების სახეობათა სამხედრო პროკურორების სანქციით — ორ თვემდე ვადით, საქართველოს სსრ პროკურორის და მთავარი სამხედრო პროკურორის სანქციით — ოთხ თვემდე, ხოლო სსრ კავშირის გენერალური პროკურორის სანქციით — ექვს თვემდე ვადით, საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის მე-20 მუხლის საფუძველზე.

სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის დებულების 32-37 მუხლები აწესრიგებს კანონიერების დაცვაზე საპროკურორო ზედამხედველობის საკითხებს. თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე, მათ შორის საგამოძიებო იზოლატორებზეც. სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის და წინასწარი პატიმრობის დებულებების, სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და შრომა-გასწორების კოდექსების, აგრეთვე სსრ კავშირის გენერალური პროკურორის შესაბამისი დირექტიული წერილების საფუძველზე, საგამოძიებო იზოლატორს ზედამხედველი პროკურორი ამოწმებს სისტემატურად, თვეში ერთხელ მაინც.

საგამოძიებო იზოლატორის შემოწმებისას ზედამხედველმა პროკურორმა სხვა საკითხებთან ერთად უნდა შეამოწმოს საგამოძიებო იზოლატორში პატიმრის მოთავსების კანონიერება.

ამ მხრივ კანონის სრულყოფილად დაცვა, ჩვენის აზრით, საგამოძიებო იზოლატორში საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი და მთავარი საკითხია.

სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის დებულების 34-ე მუხლით საგამოძიებო იზოლატორზე ზედამხედველი პროკურორი ვალდებულია



დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს წინასწარ პატიმრობიდან ყველა ის პირი, ვინც უკანონოდ არის დაპატიმრებული ან მოთავსებული საგამოძიებო იზოლატორში.

წინასწარი პატიმრობის დებულების მე-18 მუხლის საფუძველზე საგამოძიებო იზოლატორიდან პირი, რომელსაც აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული აქვს პატიმრობა, შეიძლება გაათავისუფლდეს სამ შემთხვევაში:

- 1) აღკვეთის ღონისძიების გაუქმების;
- 2) აღკვეთის ღონისძიების შეცვლის;

3) კანონით გათვალისწინებული საპატიმრო ვადის გასვლის შემთხვევაში, თუ ეს ვადა გაგრძელებული არ არის კანონით დადგენილი წესით.

პირველ ორ შემთხვევაში პატიმარი თავისუფლდება იმ ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ვისზეც პატიმარი ირიცხება. ეს საკითხი თეორიასა და პრაქტიკაში სადავო არ არის.

მესამე შემთხვევაში, თუ კანონით გათვალისწინებული საპატიმრო ვადა ამოიწურა და იგი გაგრძელებული არ არის კანონით დადგენილი წესით, საგამოძიებო იზოლატორზე ზედამხედველი პროკურორის დადგენილებით, თანახმად წინასწარი პატიმრობის დებულების მე-18 მუხლისა, პატიმარი უნდა გათავისუფლდეს.

ამ საკითხის სწორად გადაწყვეტა მოითხოვს ზედამხედველ პროკურორისაგან ბევრი საკითხის გარკვევას და დაზუსტებას. კერძოდ უნდა გაირკვეს პატიმრის მიმართ ფაქტიურად ხომ არ არის გაგრძელებული საპატიმრო ვადა კანონით დადგენილი წესით, ან საქმე მის მიმართ, ხომ არ არის წარმართული, კანონით სასამართლო ორგანოებში განსახილველად.

საგამოძიებო იზოლატორის შემოწმების დროს თუ გამოვლინდება, რომ ამ თუ იმ პატიმრის მიმართ გაგრძელებული არ არის კანონით დადგენილი წესით საპატიმრო ვადა ან ასეთი პატიმარი გადარიცხული არ არის სასამართლო ორგანოზე, ეს ითვლება კანონის უხეშ დარღვევად და ასეთი პატიმრის საგამოძიებო იზოლატორში შემდგომი ყოფნა ეწინააღმდეგება კანონს.

საგამოძიებო ორგანოების მუშაობა, ქალაქისა და რაიონის პროკურორებმა მკაცრი კონტროლი უნდა დააწესონ ყველა საპატიმრო საქმეებზე, რათა არ დაუშვან საპატიმრო ვადის კანონით დადგენილი წესის დარღვევა პატიმრის საგამოძიებო იზოლატორში დატოვება, მიიღონ ყველა ზომა, რათა საგამოძიებო იზოლატორის ადმინისტრაციას დროულად ეცნობოს საპატიმრო ვადის გაგრძელების ან საქმის სასამართლო ორგანოებში წარმართვის შესახებ.

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ სასამართლო ორგანოების მიერ საპატიმრო საქმეების დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაბრუნებისას საპატიმრო ვადების გამოთვლის და პატიმრის საგამოძიებო იზოლატორში მოთავსების კანონიერების საკითხებზე, როცა საქმის დამატებით გამოძიებაზე დაბრუნების განჩინება ან დადგენილება პროტესტდება სასამართლო ზედამხედველობის წესით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 3 სექტემბრის დადგენილებით, თუ პირველი ან საკასაციო ინსტანციის სასამართლომ სისხლის სამართლის საქმე დააბრუნა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად, სასამართლო ორგანოებში საქმის ყოფნის დრო არ ჩაითვლება საპატიმრო ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ განაჩენი გაუქმდა სასამართლო ზედამხედველობის

წესით და საქმე დაუბრუნდა საგამოძიებო ორგანოებს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად, საპატიმრო ვადის გამოთვლა იწყება განჩინების ან დადგენილების გამოტანის დღიდან.

საქართველოს სსრ სსსკ-ის 235 მუხლის თანახმად, სასამართლოს განმწესრიგებელი ან სამსჯავრო სხდომის განჩინება შეიძლება გაპროტესტდეს პროკურორის მიერ ზემდგომ სასამართლოში 5 დღის ვადაში.

თუ სახალხო სასამართლომ განმწესრიგებელ ან სამსჯავრო სხდომის განჩინებით საქმე დააბრუნა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად და სასამართლოს ეს გადაწყვეტილება პროკურორმა მიიჩნია უკანონოდ, იგი ვალდებულია განჩინების გამოქვეყნებიდან განსაზღვრულ ვადაში გაპროტესტოს იგი საკასაციო წესით ზემდგომ სასამართლოში.

თუ საკასაციო ინსტანციის სასამართლომ პროკურორის საკასაციო პროტესტი არ დააკმაყოფილა, ან თუ დამატებით გამოძიებაში საქმე დააბრუნა ისეთმა სასამართლო ინსტანციამ, რომლის განჩინების გაპროტესტება საკასაციო წესით არ შეიძლება, მისი აღსრულება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ საქართველოს სსრ სსსკ 369-ე მუხლის საფუძველზე.

ამ შემთხვევაში კანონმდებელი სასამართლო ზედამხედველობის წესით გაპროტესტებისათვის რაიმე ვადას არ ადგენს. არის შემთხვევები, როდესაც ზედამხედველობის წესით პროტესტდება დამატებით გამოძიებაზე დაბრუნების განჩინებები და დადგენილებები მაშინ, როდესაც პატიმრების მიმართ კანონით დადგენილი წესით საპატიმრო ვადები ამოწურულია.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლის თანახმად, ზედამხედველობის წესით გამპროტესტებელ უფლებამოსილ პირს შეუძლია ზედამხედველობის წესით საქმის განხილვამდე შეაჩეროს გაპროტესტებული განაჩენის, განჩინების და დადგენილების აღსრულება. ვფიქრობთ, რომ ეს არ ეხება საპატიმრო საქმეებს.

ყაზახეთის სსრ (მუხ. 365), ლატვიის სსრ (მუხ. 377) და ესტონეთის სსრ (მუხ. 343) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები ადგენენ, რომ თუ სასამართლო ზედამხედველობის წესით საქმის გადაწყვეტამდე შეაჩერებენ განაჩენის აღსრულებას, მაშინ ამ საქმეში მსჯავრდებული პირების მიმართ, რომლებიც სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, თანამდებობის პირი, ვინც შეაჩერა განაჩენის აღსრულება ვალდებულია მიიღოს ზომები ამ მსჯავრდებულების გასანთავისუფლებლად და გადაწყვიტოს საკითხი ამ პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიების — სხვა სახის ღონისძიებით შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია ან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის პირველი ინსტანცია, როდესაც საპატიმრო საქმეს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად აბრუნებს და საგამოძიებო ორგანოები ამ განჩინებებს სასამართლო ზედამხედველობის



წესით აპროტესტებენ, საქმეებში გამავალი პატიმრების მიმართ კანონის დარღვევნილი წესით საპატიმრო ვადებს არ აგრძელებენ.

ჩვენი აზრით, ეს მოწესრიგებული არ არის მოქმედი კანონით და პატიმრები ამ შემთხვევაში საგამოძიებლო იზოლატორში თვეების მანძილზე უსაფუძვლოდ იმყოფებიან. სასამართლო ზედამხედველობის წესით განჩინების და დადგენილებების გაპროტესტების შემდეგ, მართალია საგამოძიებო ორგანოები ან საქმეში გამავალ პატიმრებს ურიცხავენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს ან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმს, მაგრამ სასამართლო ორგანოებში საქმის ყოფნის დრო ითვლება თუ არა საპატიმრო ვადაში, ჩვენი აზრით, ესეც მოწესრიგებელი არ არის მომქმედი კანონით.

აღნიშნულ დასკვნას ვაკეთებთ, შემდეგი საფუძვლების გამო:

1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 3 სექტემბრის დადგენილებით, თუ პირველი ან საკასაციო ინსტანციის მიერ სისხლის სამართლის საქმე დაბრუნებული იქნება დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად, სასამართლო ორგანოებში საქმის ყოფნის ვადა არ ჩაითვლება საპატიმრო ვადაში.

თუ დამატებით გამოძიებაში საქმე დააბრუნა ისეთმა სასამართლო ინსტანციამ, რომლის განჩინების გასაჩივრება და გაპროტესტება საკასაციო წესით არ შეიძლება და ეს განჩინება ან დადგენილება სასამართლო ზედამხედველობის წესით პროტესტდება შემდგომ სასამართლო ორგანოებში, ასეთ შემთხვევაში საქმის სასამართლო ორგანოებში ყოფნის ვადა ჩაითვლება თუ არა საპატიმრო ვადაში, ესეც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში არ არის მითითებული.

2. საქართველოს სსრ სსკ 369-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლოს განჩინება და დადგენილება, რომლის გასაჩივრება გაპროტესტება არ შეიძლება, ძალაში შედის და აღსრულდება დაუყოვნებლივ მისი გამოტანის შემდეგ.

პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც სისხლის სამართლის საქმეს დამატებით გამოძიების ჩასატარებლად აბრუნებს სასამართლო ინსტანცია, რომლის განჩინების გასაჩივრება და გაპროტესტება საკასაციო წესით არ შეიძლება, ხოლო ამ საქმეში გამავალი პატიმრების მიმართ კანონით გათვალისწინებული საპატიმრო ვადები ამოწურულია.

ამ შემთხვევაში განჩინება ან დადგენილება საქმის დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაბრუნების შესახებ, საგამოძიებო ორგანოების მიერ სასამართლო ზედამხედველობის წესით პროტესტდება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში ან პლენუმში, ხშირად დამატებით გამოძიების ჩასატარებლად სასამართლოს მიერ საქმის დაბრუნების 20-30 და მეტი დღის გასვლის შემდეგ.

ჩვენის აზრით აღნიშნული საკითხი საკანონმდებლო წესით არ არის მოგვარებული.

ზოგ შემთხვევაში, ასეთ საქმეებს სასამართლო ზედამხედველობის წესით შემოსულ პროტესტებთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი ან პლენუმი 20-30 და მეტი დღის გასვლის შემდეგ იხილავს, მაშინ როდესაც ეს საქმეები განხილული უნდა იქნეს არა უგვიანეს

ოცი დღე-ღამისა პროტესტის შემოსვლის მომენტიდან, თანახმად საქართველოს სსრ სსსკ 388-ე მუხლისა.

მიგვაჩნია, რომ საგამოძიებო ორგანოებს უნდა მიეცეს გარკვეული დრო—
— 5 ან 7 დღე, რათა ამ ვადაში გადაწყვიტონ სასამართლო ინსტანციის მიერ საქმის დამატებით გამოძიების ჩასატარებლად დაბრუნების განჩინება სასამართლო ზედამხედველობის წესით გააპროტესტონ თუ არა ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

ვადის განსაზღვრა ამ შემთხვევაში ერთის მხრივ აიძულებდა საგამოძიებო ორგანოებს დროულად გააპროტესტონ სასამართლო ზედამხედველობის წესით სისხლის სამართლის საქმეების დამატებით გამოძიებაზე დაბრუნება, რომელ საქმეშიც გამავალი პატიმრების მიმართ კანონით დადგენილი საპატიმრო ვადა ამოწურულია და მეორე მხრივ, ამ საქმეში გამავალი პატიმრების მიმართ საგამოძიებო იზოლატორში მოთავსების კანონიერება არ იქნება დარღვეული.

განჩინებების და დადგენილებების საფუძველზე საქმის სასამართლო ორგანოებში ყოფნის დრო არ უნდა ჩაითვალოს საპატიმრო ვადაში. ამ საკითხის საკანონმდებლო წესით მოგვარება, სინათლეს მოჰფენდა სასამართლო ზედამხედველობის წესით განჩინების და დადგენილების გაპროტესტების შემთხვევაში საპატიმრო ვადების გამოთვლის საქმეს.

მეორე მხრივ, პატიმრების უფლებები ამ შემთხვევაში შელახული არ იქნებოდა და მათ მხრიდან შეწყდებოდა საფუძვლიანი საჩივრების შეტანა პარტიულ, საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოებში.

ამ საკითხის გარკვევა საგამოძიებო იზოლატორზე ზედამხედველ პროკურორს მისცემდა იმის უფლებას, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიიღოს კანონიერი გადაწყვეტილება.



ევროპის სოციალისტური ქვეყნების კრიმინოლოგთა IV საერთაშორისო კონგრესი პრასკულსკონთან დამნაშაულობის პრობლემაზე

თ. ფოცხვარია

არასრულწლოვანთა დამნაშაულობის პრობლემას ეძღვნება მრავალი კონფერენცია, სიმპოზიუმი, კონგრესი. გასულ წელს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ქალაქ ვარნაში, ამ საკითხზე გაიმართა ევროპის სოციალისტური ქვეყნების კრიმინოლოგთა IV საერთაშორისო კონგრესი.

მე საბჭოთა დელეგაციის წევრი გახლდით. ყურნალის მკითხველებს მინდა გავუზიარო ჩემი შთაბეჭდილებები კონგრესის მუშაობის შესახებ. პარალელურად შევეხები ჩვენს რესპუბლიკაში არასრულწლოვანთა დანაშაულის მდგომარეობის საკითხებს.

ვარნის კონგრესში ევროპის სოციალისტური ქვეყნების გარდა მონაწილეობდა მონღოლეთისა და კუბის დელეგაციაც. სულ წარმოდგენილი იყო 10 ქვეყნის 257 დელეგატი და სტუმარი.

კონგრესის ძირითადი თემა იყო დიდ ქალაქებში არასრულწლოვანთა დამნაშაულობის პრობლემა.

კონგრესის მონაწილეებს მიესალმა ბულგარეთის რესპუბლიკის სახალხო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — პეტრე ტანჩევი, რომელიც ხელმძღვანელობდა კონგრესს. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავარმა პროკურორმა ივანე ვაჩკოვმა.

ოფიციალური ცერემონიის შემდეგ მუშაობა დაიწყო სამმა სექციამ, პირველი სექციის ძირითადი თემა იყო — „არასრულწლოვანთა დანაშაულის დამახასიათებელი თავისებურებანი დიდ ქალაქებში“, მეორისა — „დიდ ქალაქებში“ არასრულწლოვანთა დანაშაულის მიზეზები და პირობები“. მესამე სექციისა კი — „კრიმინოლოგიური გამოკვლევები და არასრულწლოვანთა დამნაშაულობასთან ორგანიზებული ბრძოლა დიდ ქალაქებში“.

სექციებში მუშაობა იწყებოდა ძირითადი მოხსენებით, შემდეგ იკითხებოდა სხვადასხვა მოხსენებები და იწყებოდა დისკუსია.

ჩვენი დელეგაციის წევრთაგან ძირითადი მოხსენებით გამოვიდა პროფესორი ჰენრიხ მინკოვსკი, რომელმაც წარმოადგინა საინტერესო განმაზოგადებელი თეზისები არასრულწლოვანთა და ახალგაზრდათა მიერ დიდ ქალაქებში მართლწესრიგის ღარღვევის ხელშემწყობი მიზეზების ანალიზისა.

შესაძლოა ზოგიერთს გაუკვირდეს კონგრესის ძირითადი პრობლემის ამგვარი დაკონკრეტება — დანაშაულის პრობლემა მაინცდამაინც დიდ ქალაქებში. საქმე ის გახლავთ, რომ ამგვარი დიფერენციალური მიდგომა საკითხისადმი ზოგადმეთოდოლოგიურადაც და პრაქტიკულადაც გამართლებულია.

საქმე ეხება სპეციფიკურ რეგიონში საზოგადოებრივი ცხოვრების მართვის პროცესს, პროცესს, სადაც ანალიზი და პროგნოზირება ისევე აუცილებელია და საჭირო, როგორც მაგალითად, სახალხო მეურნეობაში.

არასრულწლოვანთა დამნაშაულობის ამგვარი გულდასმითი ანალიზისას კი ტეორიული ასპექტის გათვალისწინება აუცილებელია. განა ნათელი არ არის, რომ დანაშაულის მიზეზებს ღრმად ვერ ჩავწვდებით, თუ ამოვალთ სოციალური ცხოვრების პირობების ე. წ. „საშუალო“ წარმოდგენიდან და არ გავითვალისწინებთ იმ პირობებს, რომლებიც გვაქვს რესპუბლიკაში, ქალაქ-

ში, რაიონში. ადამიანთა ცხოვრება და საქმიანობა, მართალია, ძირითადად განსაზღვრულია საზოგადოებრივი პირობებით, მაგრამ იგი ხორციელდება კონკრეტულ გარემოში, ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის პირობები კი განისაზღვრება დასახლებული პუნქტის სიდიდით, დასახლების ინტენსივობით, მოსახლეობის სტაბილური შემადგენლობით, მისი სტრუქტურითა და საქმიანობის მიხედვით. ისიც ცხადია, რომ ყველაფერი ეს გარკვეულ შემოქმედებას ახდენს ზოგადად დანაშაულის, კერძოდ კი, არასრულწლოვანთა და ახალგაზრდათა შორის დანაშაულის დინამიკაზე.

ურბანიზაციასთან დაკავშირებით არასრულწლოვანთა დანაშაული ძალზე აქტუალური და, შეიძლება ითქვას, მტკივნეული საკითხია, რომელიც მეტნაკლებად ყველა სახელმწიფოს ეხება. ცხადია, ამ პრობლემისადმი მიდგომა, სოციალისტური და კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობის თავისებურებიდან გამომდინარე, განსხვავებულია, მაგრამ სოციალიზმის პირობებშიც, როგორც კონგრესის მასალებიდანაც ნათლად გამოჩნდა დიდ ქალაქებში ახალგაზრდობის დანაშაული მაინც მწვავე პრობლემად რჩება. იგი არც ჩვენი რესპუბლიკისათვის არის მეორე ხარისხოვანი. თუმცა აქვე უნდა დავძინო, რომ ურბანიზაციის პროცესში დანაშაულის რაღაც ფატალური და გარდაუვალი ზრდის თეზისს საბჭოთა კრიმინოლოგია არ იზიარებს. მაგრამ ვერც იმაზე დავხტუვავთ თვალს, რომ არის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტი — დიდი ქალაქის ცხოვრებისათვის სპეციფიკური — რაც ხელს უწყობს მართლწესრიგის დარღვევას და დანაშაულის ჩადენას: უპირველეს ყოვლისა, ეს არის დანაშაულის ლატენტურობა ანუ მისი დაფარვის შესაძლებლობა ქალაქში, განსაკუთრებით, დიდ ქალაქში, სადაც ზოგჯერ ადამიანი შესაძლოა ანონიმურად ცხოვრობდეს. სოფლად ყველა ერთმანეთს იცნობს და ამიტომ მოზარდის ქცევაზე შემოქმედებას ახდენს ე. წ. სოციალური კონტროლი. სოფელში მოზარდს უფრო ემინია სახელის გატეხისა, ვიდრე ქალაქად. მხედველობაში მისაღები აგრეთვე დიდი ქალაქებისათვის ნიშანდობლივი ხარვეზები ოჯახური აღზრდისა: აქ ოჯახები მეტწილად ერთბაშევიანი ან ორბაშევიანია, შრომის აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ქალაქში, სოფელთან შედარებით უარყოფითად შემოქმედებს ახალგაზრდებს შორის დანაშაულის დინამიკაზე. ქალაქად მეტია სხვადასხვა სახის „ცდუნება“, რისი დაქაყოფილება ფულს მოითხოვს, მაგალითად ახალგაზრდული შოდის საგნები, რაც მძიმე ტვირთად აწევს ხოლმე ოჯახის ბიუჯეტს. კაფე-რესტორნების ფართო ქსელი და ა. შ. დიდი ქალაქი იზიდავს დამნაშავე ელემენტებს, ისინი ძირითადად აქ არიან თავმოყრილი და უარყოფითად შემოქმედებენ მოზარდებზე, ხშირად ითრევენ მათ დანაშაულებრივ საქმიანობაში. დიდ ქალაქებშივე ხდება ჩამოსულობა (მივლინებით იქნება ეს თუ ტურისტული საგზურით) კონცენტრაცია, რაც ზოგჯერ შესაძლებლობას იძლევა უკანონო გარიგების თუ ამორალური საქციელისათვის. რამდენიმე სამწუხარო შემთხვევა ჩვენს ქალაქშიც მოხდა. კალინინგრაძელი ქალი, პასუხისმგებელი მუშაკი, ტურისტული საგზურით ქ. ორჯონიკიძიდან ავტობუსით მოემგზავრებოდა ქ. თბილისში — რომელიც მას ზღაპრულად ჰქონდა წარმოდგენილი და იჩქაროდა მის ნახვას. გზაზე ავტობუსში თანამგზავრებს თხოვა ეჩვენებინათ მისთვის ტურისტული ბაზის შენობა. თანამგზავრთა შორის აღმოჩნდა ორი მგზავრი 19 წლის ა. სუკიასოვი ადრე ქურდობისათვის ნასამართლევნი და 17 წლის ნ. თიგვიშვილი, რომლებ-

მაც ტურისტ ქალს აღუთქვეს დახმარება. მართლაც მათ ფაქიზად ჩამოიყვანეს იგი ავტობუსიდან, ჩემოდანიც გამოართვეს, გაიტყუეს თბილისის ტურისტული ბაზის „ვაკის“ ტერიტორიაზე ტყეში, დანით მოკვლის მუქარით წაართვეს ფული, ნივთები და გააუპატიურეს.

დიდი ქალაქებისათვის ისიც არის ნიშანდობლივი, რომ საცხოვრებელი და თავისუფალი-დროის გასატარებელი ადგილები ერთმანეთისაგან დაშორებულია. მოზარდთა მობილურობა, დიდ ქალაქებში ტრანსპორტის საშუალებით მათი სწრაფი გადაადგილება და ამოჩემებულ ადგილებში თავშეყრა (რომელიმე ქუჩა, პარკი, კინოთეატრი, ე. წ. „ბირჟები“) ახელებს მშობელთა კონტროლს მათს თავისუფალ დროზე.

დიდ ქალაქებში ახალგაზრდას შრომითი მოწყობის უფრო მდიდარი არჩევანი აქვს, ამიტომაც სამუშაო ადგილს ისინი უფრო ხშირად იცვლიან, ახალგაზრდა კადრების ღენადობა კი ამცირებს მათ მიმართ შრომითი კოლექტივის აღმზრდელობით ღონისძიებების ეფექტურობას.

უმუშევარი და არამუდმივად მომუშავე ახალგაზრდების პრობლემაც დიდ ქალაქებში უფრო მწვავეა. საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდები ოჯახის ზემოქმედებით მიისწრაფიან დასწრებული უმაღლესი სწავლის მისაღებად. დიდ ქალაქებში თავმოყრილ უმაღლეს სასწავლებლებს კი შეუძლიათ მსურველთა მხოლოდ 20 პროცენტის მიღება. პერიფერიებიდან ჩამოსული ბევრი ახალგაზრდა, რომელიც ვერ მოხვდა უმაღლესში, ჩვეულებრივ არ ჩქარობს უკან გაბრუნებას და შრომით საქმიანობაში ჩაბმას. მათ რიცხვს, ემატება ხელმოკარული ქალაქელი აბიტურიენტები, რომლებიც ასევე „ელნიან“ სავაისო მისაღებ გამოცდებს. ამ კონტიგენტში მართლწესრიგის დამრღვევთა ხვედრითი წონა ძალზე მაღალია.

აი ზოგიერთი თბიეჭტური მიზეზი, რომლებიც დიდ ქალაქებში ახალგაზრდების და არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას ართულებს. გულუბრყვილობა იქნებოდა, რომ დიდ ქალაქებში ადმინისტრაციული ღონისძიებანი გამოგვეყენებინა, ვთქვათ, გართობის ქსელის, მოდის, ტურიზმის და ა. შ. წინააღმდეგ იმ არგუმენტებით, რომ ისინი ართულებენ არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, ან პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებას. ასევე შეუძლებელი ჩანს ურბანიზაციის პროცესის ხელოვნური შეკავება. ვიმეორებ, ქალაქების ზრდას გარდაუვალად და აუცილებლობით არ მოსდევს ახალგაზრდობაში დანაშაულებრივი ქმედების ზრდაც. თუ შესაბამისად გაიზრდება და გაძლიერდება პროფილაქტიკური ღონისძიებები, დანაშაული დიდ ქალაქებში შესაძლოა შემცირდეს კიდევ. ამას გვიჩვენებს ლენინგრადის, ლვოვისა და ზოგი სხვა ქალაქის მაგალითი. შორს, რომ არ წავიდეთ, თბილისშიც, მისი საკმაო ინტენსივობით ზრდის მიუხედავად არა გვაქვს არასრულწლოვანთა დანაშაულის ზრდის ტენდენცია.

მეტეც შეიძლება ითქვას, დიდ ქალაქებს გარკვეული თვალსაზრისით უპირატესობაც კი აქვთ არასრულწლოვანთა დანაშაულის აღმოფხვრასა და პროფილაქტიკაში. დიდი ქალაქები წარმოადგენენ სამეცნიერო, კულტურულ, ცენტრებს, რომელთაც ყველაზე ფართო საშუალება მოეპოვებათ მოზარდის პიროვნების სასიკეთოდ ფორმირებისათვის. აქ არის თავმოყრილი ინფორ-

მაციის, პრობაგანდისა და აგიტაციის ყველაზე სრულყოფილი საშუალებანი, აქვე მუშაობენ საუკეთესო აღმზრდელობითი პედაგოგიური კადრებიც.

ვარნის კონგრესზე ცხარე დისკუსიის საგანი იყო არა მარტო მიზეზები და პირობები დიდ ქალაქებში მოზარდთა დანაშაულისა, არამედ ამ დანაშაულთა თავისებურებანი და მათთან ორგანიზებული ბრძოლის საკითხები.

კონგრესმა გამოავლინა მთელი ევროპის სოციალისტური ქვეყნებისათვის საერთო სურათი. სოციალიზმის პირობებში ურბანიზაცია თავისთავად არ წარმოშობს დანაშაულს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული ქვეყნების კონკრეტული მონაცემების შედარება ზოგჯერ ძნელდებოდა იმის გამო, რომ თვით ისეთი ძირითადი ცნობები, როგორსაც კონგრესისათვის წარმოადგენდა ცნება — „დიდი ქალაქი“ ან „არასრულწლოვანი“ განსხვავებულად იყო განსაზღვრული: აქ გასათვალისწინებელია ცალკეული ქვეყნის ტერიტორიულ-გეოგრაფიული დემოგრაფიული სპეციფიკა (ის რეგიონი, რომელიც მონღოლებისათვის ან ბულგარეთისათვის დიდი ქალაქია, შესაძლოა საბჭოთა კავშირისათვის ასეთს არ წარმოადგენდეს). ჩვენ არასრულწლოვანთა კონტიგენტს მივიჩნევთ პირებს 14 წლიდან — 18 წლამდე, მაშინ, როცა გერმანელები თავიანთ სტატისტიკაში ითვალისწინებენ 25, ზოგჯერ 28 წლის ასაკამდე კონტიგენტს ე. ი. არა მარტო არასრულწლოვანებს, არამედ ახალგაზრდებს.

ვარნის კონგრესზე დავრწმუნდი, რომ ყველა ის პრობლემა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში მოზარდთა დამნაშვეობის აღმოფხვრას ეხება და რომელთა შესახებ ხშირად გვისაუბრია, არ წარმოადგენს ლოკალურ საკითხს. ის დაბრკოლებები, სირთულეები, გადაუჭრელი ამოცანები, რომლებიც არასრულწლოვანთა დამნაშვეობის აღმოფხვრას და მის პროფილაქტიკას ხვდება წინ, სხვა სოციალისტურ ქვეყნებშიც ყურადღების ცენტრშია. მაგალითისათვის ავიღოთ სამართალდამრღვევ არსრულწლოვანის ოჯახური მდგომარეობის პრობლემა. არაფერს ვიტყვი ყველასათვის ცნობილ ფაქტზე, რომ არასრულწლოვანი დამნაშვეები ხშირად განქორწინებულ პირთა შვილებია. უფრო დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ დანაშაულის ჩამდენ მოზარდთა ორი მესამედი ფორმალურად მთლიანი ოჯახიდან არის, ვიმეორებ, ფორმალურად, ვინაიდან ამგვარ ოჯახებში მშობელთა ურთიერთობა და საქმიანობა მოზარდის ფორმირებაზე კიდევ უფრო დამლუბველ ზემოქმედებას ახდენს. ოჯახური უსიამოვნებანი, მშობელთა ლოთობა, ამორალური საქციელი, მათ მიერ მართლწესრიგის დარღვევა ან დანაშაულის ჩადენა ხშირად, მათი შვილების დანაშაულის გზაზე დაყენების გადამწყვეტი ფაქტორია.

ვარნის კონგრესზე სხვადასხვა ქვეყნის დელეგატები მსჯელობენ არასრულწლოვანთა შორის სამართლებრივი ცოდნის გაფართოების აუცილებლობაზე. საკითხიც ჩვენი რესპუბლიკისათვისაც გადასაჭრელ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება, ამ მხრივ მართალია გადაიდგა ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ისწავლება საგანი — „საბჭოთა სამართლის საფუძვლები“, მაგრამ სამართლებრივი აღზრდა არ უნდა დაიყვანებოდეს მარტოდონ სამართლებრივი ცოდნის მიცემაზე, იგი ორგანული ნაწილი უნდა გახდეს საერთო იდეოლოგიური და ზნეობრივი აღზრდისა. კანონის ცოდნა, სისხლის სამართლის კოდექსის შესწავლა კარგია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია კანონის მიმართ პატივისცემის ჩანერგვის პრობლემა, მოზარ-

დის ფსიქიკაში ან კანონის შესრულების ჩვევის გამომუშავება. ეს პრობლემა ურთულესია იმდენად, რამდენადაც იგი ვერც სამართლის გაკვეთილის და, საერთოდ ვერც სასკოლო აღზრდის ფარგლებში ვერ თავსდება. მოზარდს, რომ გამოუმუშავდეს კანონის შესრულების მზადყოფნა, ამისათვის მან უნდა დაინახოს, გამოსცადოს, იგრძნოს, განიცადოს კანონის ავტორიტეტი, კანონი მოქმედებაში, კანონი გამონაკლისების გარეშე. კანონისა და კანონიერებისადმი საყოველთაო პატივისცემის ატმოსფერო უპირველესი გარანტიაა ამ კანონთა კეთილმყოფელი ზემოქმედებისა მოზარდის ფსიქიკაზე. ცუდია, როცა ხალგაზრდა დანაშაულებრივ ქმედობას იღენს კანონის უცოდინარობით, მაგრამ უარესია, თუ მან კანონი იცის და მაინც ჩადის დანაშაულს, ვინაიდან არ სჯერა, არ სწამს მისი საყოველთაობა. მართლწესრიგის დარღვევისათვის დაუსჯელობა პირდაპირი გზაა დანაშაულისაკენ. როგორც აღმოჩნდა, სამართალში მიცემულ არასრულწლოვანთა დიდ ნაწილს ადრეც ჰქონიათ „გამოცდილება“ უფრო წვრილმანი დანაშაულის ჩადენისა, რაც ფაქტიურად დაუსჯელი დარჩენილა.

ახალგაზრდის სამართლებრივი ცინიზმი დიდი დაბრკოლებაა დანაშაულის ლიკვიდაციის საქმეში და მას მთლიანად საზოგადოება, თვითეული ჩვენგანი უნდა ებრძოდეს.

ისე როგორც ყველა სოციალისტურ ქვეყანაში ჩვენს რესპუბლიკაშიც დანაშაული არასრულწლოვანთა შორის უფრო დიდ ქალაქებშია გავრცელებული.

საქართველოში არსრულწლოვანთა დანაშაულის ხვედრითი წონის სიმცირის მიზეზი ჩვენმა მეცნიერებმა ახსნეს იმით, რომ საქართველოში ძველ ტრადიციას მისდევენ, უფროს-უმცროსობა იგრძნობა და მშობლებს დიდი გავლენა აქვთ თავიანთ შვილებზეო.

ქალაქური ყოფის სპეციფიკის დამახასიათებელია ისიც, რომ განქორწინებულთა რიცხვი ქალაქებში უფრო დიდია.

არასრულწლოვანთა დანაშაულის ძირითადი მიზეზია მოსწავლეების სკოლიდან ჩამოშორება — სკოლიდან განთესილთა რიცხვი ჩვენს რესპუბლიკაში დიდი არ არის, მაგრამ დამნაშავე არასრულწლოვანების საერთო რიცხვიდან ყოველი მეოთხე არ სწავლობს და არც მუშაობს.

კრიმინოლოგთა IV საერთაშორისო კონგრესზე სხვა მნიშვნელოვანი პირობებზეც იყო მსჯელობა, მაგრამ ერთ წერილში შეუძლებელია ამ დიდ ფორუმზე განხილული საკითხების, ყველა შთაბეჭდილებების გადმოცემა.



ნიგნი დანაშაულში თანამონაწილეობის და ამსრულებლობის საკითხებზე

დანაშაულში თანამონაწილეობა, რომლის საფუძვლიან მეცნიერულ დამუშავებას ბოლო დრომდე არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება, სისხლის სამართლის თეორიის ერთ-ერთი რთული და უმნიშვნელოვანესი პრობლემა-თაგანია. სამართლიანად შენიშნავს პროფ. თ. წერეთელი, რომ ამ საკითხის შესახებ ლიტერატურა კარგა ხანი შემოიფარგლებოდა მარტოოდენ პროფ. ა. ტრაინინის მონოგრაფი-ით, რომელიც 1941 წელს გამოქვეყნდა და რამდენიმე საუბრის სტატიით. ამ პრობ-ლემით დაინტერესება იწყება სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სა-მართლის კანონმდებლობის საფუძვლების შემუშავების დროიდან. აქედან მოყოლებუ-ლი დანაშაულში თანამონაწილეობის საკი-თხებს მიეძღვნა რამდენიმე მონოგრაფია და მონოგრაფიის დონეზე შესრულებული ნაშ-რომი.

ამ პრობლემით ქართველი კრიმინალისტე-ბის დაინტერესებას დასაბამი მისცა პროფ. თ. წერეთლის ნაშრომმა — „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“, რომლის ერ-თი თავი სპეციალურად დათმობილი აქვს მიზეზობრივ კავშირს და თანამონაწილეობას დანაშაულში, აგრეთვე მისმა მეორე ნაშრო-მმა „თანამონაწილეობა დანაშაულში“, სადაც ფუნდამენტურად არის გამოკვლეული თანა-მონაწილეობის ძირითადი საკითხები.

1974 წელს თანამონაწილეობის საკითხებ-ზე გამოქვეყნდა ნ. უგრეხელიძის და თ. გამ-ყრელიძის ნაშრომები: „დანაშაულში თანა-მონაწილეობის კრიმინოლოგიური დახასია-თება“ და „დანაშაულის შუალობითი ამსრუ-ლებლობა და თანამსრულებლობა“.

ჩვენი რეცენზიის მიზანია იურიდიულ მე-ცნიერებათა კანდიდატის თ. გამყრელიძის წი-გნის — „დანაშაულის შუალობითი ამსრუ-ლებლობა და თანამსრულებლობა“ — გან-ხილვა.


მოკლედ გავაცნობთ მკითხველებს, თუ რა-მდენად აქტუალურია ავტორის კვლევის სა-გნად შერჩეული საკითხები, როგორ პასუ-ხობს ნაშრომი თანამედროვე მოთხოვნებს და რაში გამოიხატება მისი პრაქტიკული და თე-ორიული ღირებულება.

დანაშაულში თანამონაწილეობის ინსტი-ტუტის საკვანძო საკითხების — შუალობი-თი ამსრულებლობისა და თანამსრულებლო-ბის დამუშავება აუცილებელია დამნაშავეო-ბის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკული სა-ჭიროების, ჩვენი რესპუბლიკის საგამოძიებო-სასამართლო ორგანოების საქმიანობის სრულყოფის ინტერესების გამო.

რესპუბლიკაში ჩადენილ დანაშაულთა სა-ერთო რიცხვში ჯერ კიდევ დიდია თანამონა-წილეობით ჩადენილ დანაშაულთა ხვედრი-თი წონა. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ისეთ გავრცელებულ და საშიშ დანაშაულთა საქმე-ებზე, როგორც არის სხვადასხვა ხერხით სა-ხელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გა-ტაცება.

1975 წელს გასამართლებულ პირთა მეო-თხედზე მეტმა დანაშაული ჩაიდინა ჯგუფუ-რად, რაც შეეხება სხვადასხვა ხერხით სახე-ლმწიფო და საზოგადო ქონების გატაცებას, ეს მაჩვენებელი ვაცილებით მაღალია. აქედან ცხადია თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულში თანამონაწილეობის საკი-თხების ღრმა ცოდნას, თანამონაწილეობა პა-სუხისმგებლობის თავისებურების, ხასიათის, ფარგლების, საფუძვლების სწორად განსა-ზღვრას. თ. გამყრელიძის ნაშრომის აქტუა-ლობა სწორედ იმით არის გაპირობებული, რომ მასში გამოკვლეული და განხილულ სა-კითხებს თეორიული მნიშვნელობის გარდა აქვს უდიდესი პრაქტიკული ღირებულება.

წიგნის ავტორს თუმცა გამოკვლევისა და განხილვის საგნად აღებული აქვს თანამონა-წილეობის კერძო საკითხები — დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამს-რულებლობა, იგი საკვებით სწორად მოიქცა, როდესაც მათს უშუალო გამოკვლევაზე ნა-შრომის პირველ თავში საფუძვლიანად განი-ხილა თანამონაწილეობის ბუნება და მართ-ლაც შეუძლებელია მკითხველისათვის ნათე-ლი გახადო თანამსრულებლობის და შუა-ლობითი ამსრულებლობის არსი ისე, რომ მას წინ არ უძღოდეს თანამონაწილეობის, რო-გორც სისხლის სამართლის ინსტიტუტის ძი-რითადი არსის და ბუნების გარკვევა. ამ თავ-ში ავტორი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს



საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ არის გაგებული თანამონაწილეობის ბუნება, როგორც თეორიაში, ისე კანონმდებლობაში. საკითხი ეხება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხს, ე. ი. იმას. თანამონაწილის მოქმედებას მისი პასუხისმგებლობისათვის აქვს დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა, თუ პირიერთ თანამონაწილის პასუხისმგებლობას და მისი მოქმედების კვალიფიკაციას განსაზღვრავს დანაშაულის უშუალო ამსრულების კვალიფიკაცია, ე. ი. თანამონაწილეობა თავის ხასიათით დამოუკიდებელია თუ აქცესორული ბუნებისაა. ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ თანამონაწილეობა თავის ხასიათით აქცესორულია და რომ თანამონაწილეობის აქცესორული თეორია როგორც თანამონაწილეობის პროგრესული თეორია, ზოგიერთი ცვლილებით სავსებით მისაღებას საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიისათვის. საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში უკანასკნელ დრომდე საყოველთაოდ აღიარებული იყო თანამონაწილეობის ე. წ. „დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორია“, ხოლო აქცესორობის პრინციპი საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიისათვის მიუღებლად იყო გამოცხადებული.

ავტორი მიმოიხილავს ა. ტრანინის, მ. შარგოროდსკის, მ. გრიშაევის, კ. კრიგერის, მ. შნიედერის, ფ. ბურჩაკის, უ. კობიაშვილის შრომებში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას სფუძვლად უდევს თანამონაწილეობის ე. წ. „დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორია“ და რომ თანამონაწილეობის აქცესორული თეორია მიუღებელია საბჭოთა სისხლის სამართლისათვის.

ავტორი დგას თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული თეორიის პოზიციებზე და ეთანხმება ამ საკითხში პროფ. თ. წერეთელს, პროფ. ა. პიონტკოვსკის, მ. ი. კოვალიოვს და ამ წერილის ავტორს, რომლებიც იზიარებენ თანამონაწილეობის აქცესორულ თეორიას.

ქართული ავტორებიდან თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის წინააღმდეგ ვადაპირით ილაშქრებს უ. კობიაშვილი, 1) რომელიც ამ მოსაზრებას საკმაოდ საინტერესოდ და სფუძვლიანად გადმოსცემს. წიგნის ავტორი უ. კობიაშვილის შეხედულების კრიტიკას საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს. ამ სადევო და საკმაოდ რთულ საკითხში უ. კობიაშვილთან დისკუსიის დროს, ჩვენს აზრით. გამყრელობის სწორი პოზიცია უჭირავს.


თავისი პოზიციის არგუმენტირებისათვის, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის

მოწინააღმდეგენი იშველებენ ამსრულებლის ექსცესის საკითხს და აღნიშნავენ, რომ თუ წამქეზებელმა დაიყოლია მეორე პირი ქურდობის ჩასადენად, ხოლო ამსრულებელმა ყაჩაღობა ჩაიდინა, მაშინ წამქეზებელი პასუხს აგებს ქურდობის წაქეზებისათვის, ხოლო ამსრულებელი — ყაჩაღობისათვის; მაშასადამე, — დაასკვნინან აქცესორობის მოწინააღმდეგენი, — წამქეზებელი პასუხს აგებს ქურდობაში თანამონაწილეობისათვის მაშინ, როდესაც დამთავრებული ქურდობა კი არა, საერთოდ არ ყოფილა ჩადენილი ასეთი დანაშაული. ასეთი მტკიცების უსაფუძვლობას ავტორი, ჩვენი აზრით, საკმაოდ დამაჯერებლად გადმოსცემს. იგი აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში წამქეზებელი მართო იმიტომ კი არ აგებს პასუხს დამთავრებული ქურდობისათვის, რომ მას ქურდობა ჰქონდა განზრახული, არამედ იმიტომაც, რომ ყაჩაღობა, რომელიც ამსრულებელმა ჩაიდინა, თავისთავად შეიცავს ქურდობის ნიშნებს. ამიტომ თქმა იმისა, რომ მოთქმულ შემთხვევაში თანამონაწილეობის პასუხს აგებს ისეთ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომელიც საერთოდ არ იყო ჩადენილი“, არ შეესაბამება სინამდვილეს.

ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ აქცესორული თეორიის უარყოფა გამოუვალის სირთულის წინაშე დააყენებდა საგამოძიებო სასამართლო პრაქტიკას სპეციალურ დელიქტებში არასპეციალურ სუბიექტის თანამონაწილეობის კვალიფიკაციის დროს. თანამონაწილეობის აქცესორულობის თანამიმდევრულ უარყოფას, ფაქტურად მიეყვებათ საერთოდ თანამონაწილეობის ინსტიტუტის უარყოფამდე.

საკმაოდ კრიტიკულად და მალალ მეცნიერულ დონეზე არის განხილული თანამონაწილეობის ბურჟუაზიული სუბიექტური და ობიექტური თეორიები, ე. წ. ამსრულებლობის ექსტენსიური და რესტრიქციული ცნებები. ნაშრომის ეს ნაწილი მიძღვნილი აქვს იმ კრიტიკურ შემოხედვების დახასიათებას, რომლებითაც უნდა გამოიჩინოს ერთმანეთისაგან ამსრულებლობა და თანამონაწილეობა. დაწვრილებით არის გადმოცემული აგრეთვე ამსრულებლობის ე. წ. მატერიალურ-ობიექტური თეორიის არსი, რასაც ადგილი აქვს ფინალურ-ობიექტურ თეორიაში.

ნაშრომში სპეციალურად არის განხილული საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ არის გაგებული საბჭოთა სისხლის სამართალში ამსრულებლობა და თანამონაწილეობა. ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიისათვის უცხოა ამსრულებ-



ლობის და თანამონაწილეობის სუბიექტური თეორია, რომ საბჭოთა კრიმინალისტიკები თანამიმდევრულად იცავენ იმ აზრს, რომ თანამონაწილეობისა და ამსრულებლობის გამიჯვნა მხოლოდ ობიექტურ სფეროშია შესაძლებელი. ნორმატიული მასალის ანალიზის საფუძველზე ავტორი სწორად შენიშნავს სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-14 მუხლის ხარვეზს ამსრულებლის საქონმდებლო განმარტების დროს. ავტორის აზრით კანონის განმარტება იმის თაობაზე, რომ „...ამსრულებლად ჩაითვლება ის, ვინც უშუალოდ ჩაიდენს დანაშაულს“ არ არის ზუსტი, რადგან აქ მხედველობაში არ არის მიღებული შუალობითი ამსრულებლობა. ავტორს მისაღებად მიაჩნია ამსრულებლის ის განმარტება, რომელსაც იძლევა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1968 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის § 22-ის მიხედვით ამსრულებელია ის, ვინც დასჯად ქმედობას ჩაიდენს თვითონ ან იმ პირის მეშვეობით, რომელსაც პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

ნაშრომის მეორე თავში საფუძვლიანად განხილულია შუალობითი ამსრულებლობა. ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ შუალობითი ამსრულებლობის დროს დამნაშავეს მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის შუალედ რგოლად ჩართული არის სხვა ადამიანის მოქმედება, როდესაც ამ უკანასკნელს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება უსაკობის, შეურაცხადობის ან სხვა საპატიო გარემოების (შეცდომა და სხვა) გამო. ამის საფუძველზე იგი იძლევა შუალობით ამსრულებლობის ცნების განსაზღვრას და წერს, რომ „...იმ შემთხვევას, როდესაც დამნაშავემ დანაშაულის შემადგენლობა სხვა ადამიანის („იარაღის“) მეშვეობით შეასრულა, დანაშაულის შუალობით ამსრულებლობას უწოდებენ“. აქვე ავტორი იძლევა შუალობითი ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამიჯვნას და არკვევს ამ ცნებებს შორის არსებულ სხვაობას. თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის პოზიციიდან ავტორი სწორად დასკვნის, რომ, რამდენადაც არ არსებობს თანამონაწილეობა უამსრულებლოდ, ამდენად არ შეიძლება თანამონაწილეობად დაკვალიფიცირდეს ისეთი შემთხვევები, როცა დანაშაულის უშუალოდ ამსრულებელი პასუხს არ აგებს რაიმე საპატიო გარემოების გამო. ამიტომ მცირეწლოვანის ან შერაცხვა-

უუნარო პირის წამქეზებელი თვითონ იქნება ამსრულებელი.

ნაშრომში დახასიათებულია იმ დანაშაულის შემადგენლობები, რომელთა შუალობით აღსრულება შეუძლებელია. ჩამოთვლილია, თუ რომელი დანაშაულის შესრულება არ შეიძლება შუალობითი ამსრულებლობის წესით. ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ შეუძლებელია საკუთარი ხელით ჩასადენ დანაშაულთა შუალობითი აღმსრულებლობა. ავტორი აქვე გვაძლევს საკუთარი ხელით ჩასადენ დანაშაულთა ჯგუფებს და აღნიშნავს, რომ საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტები ორ ჯგუფად იყოფა. 1. წმინდა უმოქმედობის და 2. წმინდა მოქმედების დელიქტები. ავტორი ცალ-ცალკე განიხილავს თვითელი ჯგუფის დელიქტებს და ახასიათებს მათ შუალობითი ამსრულებლობის პოზიციიდან.

საინტერესოდ არის განხილული შუალობითი ამსრულებლობის ისეთი ვარიანტები, როცა „იარაღი“ მოქმედებს ბრალის გარეშე ან როცა — „იარაღი“ მოქმედებს ბრალეულად. (§ 3 და § 4).

ავტორი საგანგებოდ იხილავს ისეთ შემთხვევებს, როცა შუალობით ამსრულებლობას ადგილი აქვს უფროსის ბრძანების შესრულების დროს, ამასთან დაკავშირებით ავტორი გვაძლევს უფროსის და ხელქვეითის ცნების იურიდიულ ბუნებას. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ განმარტავს თუ უფროსის როგორი ბრძანება ჩაითვლება უკანონოდ, ავტორი საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე იძლევა უკანონო ბრძანების ოთხ ძირითად ნიშანს. ავტორი განმარტავს თუ რა იურიდიული შედეგები მოსდევს ბრძანების შეუსრულებლობას, განასხვავებს სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში ბრძანების შეუსრულებლობას.

საინტერესოდ არის გადმოცემული დანაშაულის შუალობითი აღსრულების ის შემთხვევები, როცა შუალობითი ამსრულებლის მიერ „იარაღად“ გამოყენებული მეორე პირი მოქმედებს მართლზომიერად. ეს შეიძლება მოხდეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც „იარაღის“ სახით მოქმედი პირის სოციალური შეფასება არ ემთხვევა წამქეზებლის მოქმედების სოციალურ შეფასებას. ასეთ მდგომარეობად ავტორი მართებულად მიიჩნევს „იარაღად“ გამოყენებულ პირის ყოფნას აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში. თავის მოსაზრების არგუმენტირებას ავტორი ახდენს

კარგად გააზრებული მაგალითებით. ჩვენის აზრით სწორად არის გადაწყვეტილი საკითხი იმ პირის კვალიფიკაციის შესახებ, რომელმაც მეორე პირი ცრულ დასმინა დანაშაულის ჩადენაში, ხელოვნურად შექმნა მის მიმართ მამხილებელი მისაღები, რის გამოც საგამოძიებო ორგანოებმა ცრულ დასმენილ პირს აღუქვეთეს თავისუფლება. ჩვენ ვეთანხმებით ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ასეთ შემთხვევაში ცრულ დასმენის ქმედობა უნდა დაკვალიფიციირდეს არა მარტო საქართველოს სსრ სსკ 196 მუხლით (შეგნებულად ცრუ დასმენა) არამედ სსკ 133 მუხლითაც (უქაანოდ თავისუფლების აღკვეთა). მართალია ცრულ დასმენეს, ცრულ დასმენილი პირისათვის უშუალოდ არ აღუქვეთა თავისუფლება, მაგრამ მან ეს გააკეთა საგამოძიებო ორგანოების მეშვეობით, რომლებიც მართლზომიერად მოქმედებდნენ, რადგან ცრულ დასმენის მიერ მიწოდებული მონაცემები იძლეოდა კანონიერ საფუძველს პირის დაკავებისათვის. ცრულ დასმენი ამ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს სსკ 133 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის შუალობით ამსრულებლად. ვფიქრობთ საკითხის ასეთი გადაწყვეტა სწორი და მისაღებია როგორც თეორიული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

ავტორი განასხვავებს შუალობით ამსრულებლობას და უშუალო ამსრულებლობას, წინააღმდეგია იმისა, რომ უსაზღვროდ და უსაფუძვლოდ გაფართოვდეს შუალობითი ამსრულებლობის სფერო. იგი მართებულად დაასკვნის, რომ შუალობით ამსრულებლობასთან საქმე გვაქვს მხოლოდ მაშინ, როცა „იარაღი“ ასრულებს მთავარ მოქმედებას, რომელიც ჩვეულებრივ ამსრულებელს უნდა შეესრულებია. მთავარ მოქმედებაში იგულისხმება დანაშაულის ობიექტური მხარე. შუალობით ამსრულებლობაზე მხოლოდ იქ შეიძლება ლაპარაკი, სადაც დანაშავე სხვას („იარაღს“) გადააკისრებს დანაშაულის შემადგენლობის წმინდა ობიექტური მხარის შესრულებას, თვითონ კი ამ მოქმედებას შესაბამისი სუბიექტური მომენტით ავსებს. თუ დანაშაულის ობიექტური მხარე პირმა მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც თვითონ შეასრულა, თუნდაც ამისათვის გამოიყენოს მეორე პირის მოქმედება, რომელიც თავის მხრივ, „ბრმად“ მოქმედებდა (ე. ი. გამოყენებული იყო იარაღად) ეს უკვე უშუალო ამსრულებლობაა. ამ დებულების სისწორეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ავტორი არ მალავს, რომ შუალობითი ამსრუ-

ლებლობის პრობლემატიკა განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს პასუხისმგებლობის დასაბუთების თვალსაზრისით, რომ ეს საკითხი რთული და საკმაოდ თავსატეხივანია. ავტორი ცდილობს ამ პრობლემატიკის ღრმა ანალიზით გამოძებნოს საკითხის გადაწყვეტის ოპტიმალური და მისაღები ვარიანტი და იგი ამას კარგად აღწევს.

ნაშრომის მესამე თავში ავტორი ეხება თანამსრულებლობის ცნებას, რომლის საკანონმდებლო განსაზღვრას მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იძლევა. მას მოყავს პროფ. თ. ვ. წერეთლის მიერ თანამსრულებლობის ცნების განსაზღვრა, რომლის მიხედვითაც თანამსრულებელია ის, ვინც სხვასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობს განზრახი დანაშაულის ჩადენაში. ავტორი ძირფესვიანად იხილავს თანამსრულებლობის ობიექტურ მხარეს და მიუთითებს, რომ თანამსრულებლობა არსებითად იგივე ამსრულებლობაა და ამიტომ თანამსრულებელი არ იქნება ის, ვინც უშუალოდ არ ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას. ავტორი აკონკრეტებს და აზუსტებს თუ რას ნიშნავს თანამსრულებლობის მიერ დანაშაულის შემადგენლობის უშუალოდ განხორციელება და მიუთითებს, რომ ყოველი თანამსრულებელი დანაშაულის შემადგენლობას უნდა ასრულებდეს ან მთლიანად ანდა უქიდიურეს შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც. ისეთ დელიქტებში, როგორიც არის: მკვლელობა, სხეულის დაზიანება, გაუპატიურება და სხვა, სადაც ძალადობა შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია, თანამსრულებლობისათვის საკმარისია თუ პირმა შემადგენლობის მხოლოდ ეს ნიშანი შეასრულა. ეს დებულება ავტორის მიერ დასაბუთებულია მაგალითებით.

ავტორი კარგად არკვევს თანამსრულებლობის საკითხს ისეთ ორმოქმედებთან დანაშაულის შემადგენლობაში, როგორიც არის სპეკულაცია, რომელიც გულისხმობს ყიდვას და გაყიდვას მოგების მიზნით. ყიდვა და გაყიდვა ცალ-ცალკე აღებული არ არის დანაშაული. მხოლოდ ამ ორი მოქმედების შეერთება იძლევა დანაშაულს (რასაკვირველია სხვა სუბიექტურ და ობიექტურ მომენტებთან ერთად). თუ ერთმა პირმა იყიდა სასპეკულაციო საქონელი, ხოლო მეორე პირმა მონაწილეობა მიიღო მხოლოდ მოგების მიზნით მის გაყიდვაში სახეზე არის სპეკულაციაში თანამსრულებლობა. ნაშრომში კარგად აქვს დანახული ის თავისებურება, რაც ახასიათებს თანამსრულებლობას შენადგენ დანაშაულში. საილუსტრაციოდ მას მოყავს სსკ

151 და 152 მუხლები (ძარცვა და ყაჩაღობა), რომლის შემადგენლობა ფაქტურად რამდენიმე სხვა დანაშაულს მოიცავს. მაგალითად კვალიფიციური ძარცვა, შემადგენელ ნიშნებად მოიცავს: 1. ძარცვა ისეთი ძალადობის გამოყენებით, რომელიც საშინი არ არის დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. 2. ასეთი ძალადობის გამოყენების მექარა. ძარცვის შემადგენელი მოქმედებები შეიძლება ქმნიდეს სულ სხვა დანაშაულს. მაგალითად იძულება ისჯება სსკ 135-ე მუხლით, მეჭარაკი 136-ე მუხლით. ავტორი მართებულად მიდის იმ დასკვნამდის, რომ ძარცვაში და ყაჩაღობაში თანამსრულებლობისათვის საკმარისია თვითიველი მონაწილის მიერ ერთ-ერთი შემადგენელი მოქმედების შესრულება კი.

საინტერესოდ არის გადმოცემული შეკვეცილ და დენად დანაშაულში თანამსრულებლობის საკითხი. დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს თანამსრულებლობის საკითხის გამოკვლევას გამიზნით დელიქტებში. დამაჯერებლად გაკრიტიკებულია ჩვენი რესპუბლიკის საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში დამუშავებული შეცდომები ასეთ ქმედობათა დაკვალიფიციერებაში. ავტორს მოყავს დაქორწინების მიზნით ქალის გატაცების მაგალითები, როცა ფაქტურად ამ დანაშაულში თანამსრულებლობა განიხილება, როგორც თანამონაწილეობა. მაგალითად იმ შიშობის მოქმედებას, რომელმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო ქალის მოტაცებაში, ზშირად აკვალიფიციერებენ 19, 134-ე მუხლით მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ მოტაცებულ ქალთან დაქორწინების მიზანი ქონდა სხვა პირს. ავტორი სწორად ავითარებს იმ აზრს, რომ მთავარი ის კი არ არის, ამ შემთხვევაში ვისი მიზნისათვის ხდება დანაშაულის ჩადენა, არამედ იმაში თუ ფაქტურად რა სუბიექტური და ობიექტური მომენტებით ხასიათდება ქალის გატაცებაში მონაწილე პირთა ქმედობა. გამიზნით დელიქტებში თანამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამოჯენისათვის მიზანს არ აქვს რაიმე მნიშვნელობა. მიზანი რომ ამ დელიქტების აუცილებელი და განმსაზღვრელი ნიშანი იყოს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ქალის ჭგუფურად გატაცების დროს, დაგვესაჯა სხვა პირები ვარდა იმ პირისა, ვისაც მიზანი ქონდა ქალთან ქორწინებისა.

საფუძვლიანად არის განხილული თანამსრულებლობის საკითხი უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულში. ამ საკითხის განხილვის დროს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას,

სახეზეა წმინდა უმოქმედობის თუ შერეული უმოქმედობის დელიქტები. იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ თანამსრულებლობა შესაძლებელია შერეული უმოქმედობის დელიქტებში, ე. ი. ისეთ დელიქტებში, რომელთა ჩადენაც შეიძლება, როგორც უმოქმედობით ისე აქტიური მოქმედებით. გაკეთებულია კატეგორიული დასკვნა იმის თაობაზე, რომ არ შეიძლება ლაპარაკი თანამსრულებლობაზე წმინდა უმოქმედობის დელიქტებში.

ნაშრომში დეტალურად არის გამოკვლეული თანამსრულებლობის სუბიექტური მხარე. თანამსრულებლის დამხმარისაგან განმასხვავებელი ნიშნების დამუშავების დროს არ არის საკმარისი მხოლოდ თანამონაწილეობის ობიექტური მხარის განხილვა. თანამონაწილეობის ობიექტური მხარის გამოკვლევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს საკითხის საბოლოო გადაწყვეტას, ყოველი დანაშაული ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნების ერთიანობას წარმოადგენს. ამიტომ აუცილებელია იმის გამოკვლევა თუ რა თავისებურებანი ახასიათებს თანამსრულებლობას სუბიექტური მხრივ. ამ მიმართებაში ავტორი იხილავს ორ ძირითად საკითხს: 1. თანამსრულებლის ფსიქიკურ დამოკიდებულებას დანაშაულდებრივ შედეგისადმი; 2. ფსიქიკური დამოკიდებულება თანამსრულებლისა ერთმანეთის მიმართ. ავტორი სავესებით სწორად დასკვნის, რომ თანამსრულებლობა ისევე, როგორც თანამონაწილეობა, ვიწრო გაგებით, განზრახვი მოქმედებაა და ეს შეხედულება გაბატონებულია, როგორც საბჭოურ სისხლის სამართლის თეორიაში ისე სასამართლო პრაქტიკაში. ავტორი დამაჯერებლად აკრიტიკებს იმ მეცნიერთა მოსაზრებას, რომლებსაც დასაშვებად მიაჩნიათ გაუფრთხილებლო თანამსრულებლობა და თანამონაწილეობა ვიწრო გაგებით. იგი იხილავს გაუფრთხილებლობითი თანამსრულებლობის (თანამონაწილეობის) თეორიულ კონსტრუქციებს, რომლებსაც ამ თეორიის მომხრეები აყენებენ (ძირითადად პროფ. ა. ტრანინი) და ჩვენის აზრით უდავოდ სწორ დასკვნას აკეთებს იმის შესახებ, რომ თანამსრულებლობა თავის ბუნებით განზრახვი მოქმედებაა და ამიტომ თანამსრულებლობის სუბიექტური მხარე მხოლოდ გაზრახვის ფარგლებში უნდა იქნეს გამოკვლეული.

თანამსრულებლობის სუბიექტური და ობიექტური მხარის ძირფესვიანი გამოკვლევის შემდეგ ნაშრომში გარკვეულია თუ როგორ წყდება დანაშაულის დამთავრების საკითხები დროსა და სივრცეში.

ასეთია ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ო. გამყრელიძეს აქვს განხილული თავის ნაშრომში „დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა“.

გვაქვს რამდენიმე შენიშვნა, რომელიც ძირითადად სადავო და პრობლემატურ საკითხებს ეხება, აგრეთვე სურვილი, რათა ავტორმა ესა თუ ის საკითხი მომავალში უფრო დეტალურად და საფუძვლიანად განიხილოს.


შენიშვნას იწვევს ნაშრომი სტრუქტურის თვალსაზრისით. რამდენადაც ავტორი შესავალში იხილავს თანამონაწილეობის ბუნებას და ეხება დანაშაულში ამსრულებლობას და თანამონაწილეობას, კარგი იქნებოდა თუ ამის შემდეგ შეეხებოდა თანამსრულებლობის ცნებას და თანამსრულებელთა პასუხისმგებლობას, რომელიც ნაშრომის ბოლო თავში აქვს განხილული.

ნაშრომის 122-123 გვერდზე ავტორი იხილავს საკითხს იმის შესახებ, დასაშვებია თუ არა თანამსრულებლობა უმოქმედობის დროს, განსაკუთრებით თანამსრულებლობა წმინდა უმოქმედობის დელიქტებში. აქ იგულისხმება ისეთი დელიქტები, როგორიც არის მაგალითად დანაშაულის განუცხადებლობა, აღმენტიის გადაუხდელობა, სამხედრო სამსახურში მორიგი ვაწვევისაგან თავის არიდება, სამხედრო ბეგარის შესრულებისაგან თავის არიდება და სხვ. ავტორი ხაზს უსვამს, რომ რამდენადაც წმინდა უმოქმედობა ყოველთვის გამოიხატება მოვალეობის შეუსრულებლობაში, რომელიც მას პერსონალურად აკისრია, ამ მოვალეობის სხვა პირზე გადაკისრება არ შეიძლება. მოვალეობა აუცილებლად იმ პირმა უნდა შესრულოს, რომელსაც იგი აკისრია. ასეთი დელიქტები ფაქტიურად საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტებია, ხოლო საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტებში თანამსრულებლობა არ შეიძლება. ამრიგად დასკვნის ავტორი — გამორიცხულია თანამსრულებლობა წმინდა უმოქმედობის დროს. ავტორი სქოლიოში მიუთითებს, რომ ამ შეხედულების წინააღმდეგია პროფ. თ. წერეთელი. მითითებულია მისი ნაშრომი. ავტორის დასკვნები უფრო დამაჯერებელი იქნებოდა თუ ნაშრომში დეტალურად იქნებოდა განხილული პროფ. თ. წერეთლის მოსაზრება, უარყოფილი იქნებოდა ის არგუმენტები, რომლებიც პროფ. თ. წერეთელს მოყავს თავის მოსაზრების დასამტკიცებლად. მაშინ მკითველისათვის უფრო გასაგები გახდებოდა სადავო საკითხის არსი და მკითხველი შეაფასებდა თუ რომელი მოსაზრება არის სწორი.

როდესაც ავტორი იხილავს თანამსრულებლობის ობიექტურ მხარეს, ნაშრომის 110-111 გვერდზე იგი საგანგებოდ ჩერდება გაუპატიურების შემადგენლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ სსკ 117-ე მუხლის დისპოზიციაში სპეციალურად არ არის მითითებული, ავტორი სამართლიანად თვლის, რომ 117 მუხლით გაუპატიურება არის ქალთან სქესობრივი კავშირის დაჭერა ფიზიკური ძალადობით, მუქარით ან დაზარალებულის უმწურო მდგომარეობის გამოყენებით. ავტორი განიხილავს ისეთ შემთხვევებს, როცა ერთობლივად მოქმედი რამდენიმე დამნაშავედან მხოლოდ ერთი მათგანი ახორციელებს სქესობრივ აქტს, ხოლო დანარჩენები მსხვერპლისადმი ფიზიკური ძალადობის, გამოყენებით ეხმარებიან და ხელს უწყობენ თავიანთ თანამზრახველს სქესობრივი აქტის შესრულებაში. ავტორი შენიშნავს, რომ ერთი შეხედვით ასეთი პირები თითქოს დამხმარებელი არიან, მაგრამ ისინი მაინც თანამსრულებლები არიან, რადგან ახორციელებენ დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთ ნიშანს — ფიზიკურ ძალადობას. ნაშრომის 61 გვ. როდესაც ავტორი იხილავს იმ დანაშაულის შუალობით აღმსრულებლობის საკითხს, რომლის ჩადენაც მხოლოდ სპეციალური სუბიექტის მიერ ხდება (მაგალითად თანამდებობრივ დანაშაული შეიძლება მხოლოდ თანამდებობის პირმა ჩაიდინოს). იგი მიუთითებს, რომ არ შეიძლება იმ დელიქტების არც შუალობითი ამსრულებლობა და არც თანამსრულებლობა, რომელთა ჩადენა გულისხმობს სპეციალურ სუბიექტს. ავტორი ხაზს უსვამს, რომ „...ყოველთვის იგულისხმება სპეციალური სუბიექტი, ე. ი. პირი, რომელსაც აქვს უნარი მისი უშუალოდ ჩადენისა“. ამავე დროს ავტორი წინააღმდეგია საბჭოთა სისხლის სამართალში გაბატონებული შეხედულებისა, რომ შუალობით ამსრულებელს უნდა ვაჩინდეს ყველა ის თვისება თუ ნიშანი, რომელიც ახასიათებს ამ დანაშაულის უშუალო ამსრულებელს. ავტორი თვლის, რომ არ არის აუცილებელი შუალობით ამსრულებელს ახასიათებდეს ყველა ნიშან-თვისება, რაც ამ დანაშაულის უშუალო შემსრულებელს ახასიათებს. აქედან გაკეთებულია დასკვნა, რომ სავსებით დასაშვებია ქალი იყოს გაუპატიურების შუალობითი აღმსრულებელი, იქმნება რაღაც პარადოქსალური მდგომარეობა. ქალს თანამსრულებლად მიიჩნევენ ისეთ დანაშაულში, რომლის ობიექტური მხარის ძირითადი და განმსაზღვრელი მოქმედების განხორციელება მას არ შეუძლია. ყოველ

შემთხვევაში პრაქტიკოს მუშაკებში ხშირად ვხვდებით ამ აზრის საწინააღმდეგო შეხედულებებს, მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების მიხედვით, თუ ქალი ხელს უწყობს მამაკაცს დაიმორჩილოს მეორე ქალი და გაუპატიუროს იგი, მაშინ დამხმარე ქალის მოქმედებაც უნდა დავალიფიცირდეს სსკ 117 მუხლის III ნაწილით, სსკ 19-ე მუხლის გარეშე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მთლად საფუძველს არ უნდა იყოს მოკლე-ბული მ. კოვალიოვის შეხედულება იმის შესახებ, რომ შეუძლებელია შუალობით აღმსრულებლობაზე ლაპარაკი იქ, სადაც კანონის თანახმად სუბიექტს გარკვეული ფიზიკური თვისებებიც გააჩნია. მ. კოვალიოვი თვლის, რომ ქალი არ შეიძლება იყოს გაუპატიურების შუალობითი ამსრულებელი. გაუპატიურებაში ქალის თანამსრულებლობის შესაძლებლობას ავტორი იმით ასაბუთებს, რომ როდესაც ქალი ეხმარება მამაკაცს, მეორე ქალის დაიმორჩილებაში ფიზიკური ძალის გამოყენებით, იგი ასრულებს 117-ე მუხლის შემადგენლობის ნაწილს, კერძოდ იგი ან ძალას იყენებს დაზარალებულის მიმართ ან პარალიზებას უკეთებს მუქარით დაზარალებულის ნებას ან დაზარალებულს აყენებს უმწეო მდგომარეობაში. დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ამ ნაწილების განხორციელება ქალს აქცევს გაუპატიურების თანამსრულებლად. მაგრამ სავსებით დასაშვებია ისეთი შემთხვევები, როცა იმ დანაშაულის ობიექტური მხარის ნაწილს, რომელიც გულისხმობს სპეციალურ სუბიექტს, ასრულებდეს არასპეციალური სუბიექტიც, მაგალითად სამხედრო პირთან ერთად ბრძოლის ველზე მოკლულებს ძარცვავს არასამხედრო პირი. ასეთ შემთხვევებს ავტორი არ განიხილავს მაროდერობაში თანამსრულებლობად და თვლის, რომ სამხედრო პირის მოქმედებაში იქნება მაროდერობა, ხოლო არასამხედრო პირის მოქმედებაში ძარცვა. ამას ავტორი იმით ასაბუთებს, რომ მოითხოვს სპეციალური თვისებებით აღჭურვილ სუბიექტს. მაროდერობა საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტია, ამიტომ დაუშვებელია ამ დანაშაულის შუალობით აღსრულება ან მასში თანამსრულებლობა. თუ ეს ასე არის, მაშინ გაუპატიურებაც თავისი ხასიათის ისეთი დანაშაულია, რომელიც მოითხოვს, რომ მისი სუბიექტი სპეციალური ფიზიკური თვისებებით იყოს აღჭურვილი და იგი საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტს უთანაბრდება. მაშინ არც გაუ-

პატიურებაში უნდა იყოს შესაძლებელი თანამსრულებლობა ქალის მხრიდან ან ქალის მიერ ამ დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა თუნდაც ქალი ამ დანაშაულის ობიექტური მხარის შემადგენელ გარკვეულ ნაწილს ასრულებდეს. ვფიქრობთ, ეს საკითხი უფრო დამაჯერებლად უნდა ყოფილიყო ნაშრომში დასაბუთებული. ჩვენი რესპუბლიკის საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა მოწმობს რომ თანამსრულებლობა და თანამონაწილის (ვიწრო გაგებით) გამიჯვნა, მათი ქმედობის სწორი იურიდიული შეფასება და კვალიფიკაცია ისე არცერთ დანაშაულში არ არის გაძნელებული, როგორც იმ დანაშაულებში, სადაც კანონმდებელს დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ მაკვალიფიცირებელ ელემენტად ერთ შემთხვევაში შეაქვს დანაშაულის შემადგენლობის ისეთი მაკვალიფიცირებელი ელემენტი, როგორც არის დანაშაულის ჩადენა „...პირთა ჯგუფის მიერ“, ხოლო მეორე შემთხვევაში „პირთა ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებით“. ეს დანაშაულები გათვალისწინებულია სსკ 91 მუხლის II ნაწილით, სსკ 92 მუხლის II ნაწილით, სსკ 83 მუხლის II ნაწილით, სსკ 94 მუხლის II ნაწილით, ყველა ჩამოთვლილ დანაშაულებათა მაკვალიფიცირებელი გარემოებაა. ამ მუხლებში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა „...პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით“. ამ შემადგენლობებიდან განსხვავებით სსკ 117 მუხლის III ნაწილში ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ ნიშნად მითითებულია ამ დანაშაულის ჩადენა „...პირთა ჯგუფის მიერ“. ამ შემადგენლობაში კანონმდებელი აუცილებელ ნიშნად არ თვლის პირთა ჯგუფის მიერ „...წინასწარ შეთანხმებას“. სამხედრო დანაშაულთა კარში არის რამდენიმე შემადგენლობა (სსკ 255-ე და 238 მუხლები), სადაც ლაპარაკია დანაშაულის ჩადენაზე მხოლოდ „...პირთა ჯგუფის მიერ“. სსკ 39 მუხლში ლაპარაკია დანაშაულის ჩადენაზე „პირთა ჯგუფის მიერ“, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებაზე. ჩვენი აზრით კარგი იქნებოდა, რომ ავტორს ამ დანაშაულობათა შემადგენლობები განეხილა სწორედ თანამსრულებლობის და თანამონაწილეობის (ვიწრო გაგებით) მიმართებაში, ეჩვენებინა, რა გავლენას ახდენს თანამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამიჯვნაზე კანონმდებლის მიერ კონკრეტულ შემადგენლობებში დამატებით ისეთ ცნებთა შემოტანა, რო-



გორც არის „დანაშაულის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ“ ან „დანაშაულის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით“. ამ საკითხის სრულყოფილ გამოკვლევას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. რეცენზირებულ წიგნში, თანამსრულებლობის და თანამონაწილეობის საკითხი სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-გატაცების დანაშაულთა შემადგენლობებთან დაკავშირებით საერთოდ არ არის განხილული, თუმცა მას ბევრი თავისებურება ახასიათებს. პრაქტიკაში ხშირად გვხვდება საქმეები, როცა საკმარისი სახელმწიფო ქონების გატაცებაში წინასწარ შეთანხმებით მონაწილეობდეს რამდენიმე პირი, რომ ყველას ცნობენ გატაცების თანამსრულებლად და შეუძლებლად მიანიათ სსკ მე-19 მუხლის გამოყენება. ზოგჯერ პირიერთად, სახეზეა პირთა ჯგუფის მიერ სახელმწიფო ქონების გატაცება წინასწარი შეთანხმებით, ამსრულებლად ცნობენ ერთს, მაგალითად საწყობის გამგეს, ხოლო სხვა პირების, ვთქვათ მძღოლის, დარაჯის და სხვათა ქმედობას აკვალფირებენ სსრ მე-19 მუხლს მითითებით.

ზოგიერთი პრაქტიკული მუშაკი თვლის, რომ არ შეიძლება სახელმწიფო ქონების გატაცებაში ადგილი ქონდეს სსკ მე-19 მუხლის გამოყენებას, როცა ამ დანაშაულს რამდენიმე პირი ჩადის, რადგან ამ დანაშაულის პირთა ჯგუფის მიერ ჩადენა გულისხმობს მხოლოდ თანამსრულებლობას. ზოგიერთი ფიქრობს, რომ დასაშვებია სსკ 19-ე მუხლის გამოყენება მაშინაც კი, როცა დადგენილია, რომ გატაცება მოხდა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებით. თუ პირი უშუალოდ, არ მონაწილეობდა სახელმწიფო ქონების გატაცების შემადგენლობის განხორციელებაში. შეცდომები პრაქტიკაში ამ მიმართებით ბევრია და ავტორი დიდ დახმარებას გაუწევდა საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკას, თუ მის ნაშრომში ეს საკითხებიც იქნებოდა განხილული.

დაბოლოს, ერთი შენიშვნაც გვაქვს ნაშრომთან დაკავშირებით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თეორიულ ნაშრომში წამოყენებული დებულებების და პრობლემატური საკითხების ავტორის მიერ გადაჭრა უფრო დამაჯერებლად გამოიყურება, როცა იგი დასაბუთებულია საგამოძი-


ებო-სასამართლო პრაქტიკის მაგალითებით. ნაშრომში ნაკლებად გვხვდება მაგალითები ჩვენი რესპუბლიკის საგამოძიებო-სამართლის პრაქტიკიდან. ნაშრომში სჭარბობს ხელოვნურად შექმნილი მაგალითების მოდელეები, არცერთი მაგალითი არ არის მოტანილი სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცების საქმეებთან დაკავშირებით. ნაშრომის შესრულების დროს საჭირო იყო ავტორის უფრო მჭიდრო კავშირი ქონოდა ჩვენი რესპუბლიკის საგამოძიებო-სასამართლო ორგანოებთან, რაც საშუალებას მისცემდა საინტერესო მაგალითებით გაემდიდრებია ნაშრომი.

ასეთია ჩვენი შენიშვნები თ. გამყრელიძის ნაშრომთან დაკავშირებით. ეს შენიშვნები შეეხება ძირითადად სისხლის სამართლის თედა სადავო საკითხებს, რომელიც გავლენას ვერ მოახდენს იმ მაღალ შეფასებაზე, რასაც თ. გამყრელიძის შრომა იმსახურებს. ის სისხლის სამართლის თეორიის ერთ-ერთი საკვანძო საკითხის სერიოზულ მეცნიერულ გამოკვლევას წარმოადგენს.

ცნობილია, რომ პრაქტიკისათვის წინასწარებით მეცნიერებას შეუძლია იმ პრობლემათა გადაწყვეტის საფუძველი გახდეს, რასაც ცხოვრება აყენებს. პრაქტიკის და ცხოვრების განზოგადების ცოდნა ნიშნავს იმის ცოდნას, რომ კრიტიკულად მიუღდგ მას, გამოყო „კარგი“ პრაქტიკისაგან „ცუდი“ პრაქტიკა“, დაინახო მოქმედი ნორმების სუსტი ადგილები და კონკრეტული რეკომენდაციები წამოაყენო მათ გამოსასწორებლად. თ. გამყრელიძის ნაშრომი ამ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს. ნაშრომში არის მთელი რიგი რეკომენდაციები დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკის შემდგომი სრულყოფისათვის. პრაქტიკული მუშაკები ამ ნაშრომში დაინახავენ რიგ საკვანძო საკითხთა დასაბუთებულ განხილვას, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულთა საქმეების სწორად გადაწყვეტას.

ი. ჟორდანიას,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო პროზიდიუმის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.



ნაშრომი ადმინისტრაციულ-პროცესუალური საქართველოს კოლფიკაციის საქითხეზე*

ჟურნალ «Советское государство и право»-ს მიმდინარე წლის პირველ ნომერში სარეცენზიო წიგნი შევასებულა რაგორც საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რაც ბოლო წლებში შესრულდა. მართლაც ე. ლორიას ნაშრომი ყურადღებას იპყრობს პრობლემის გამოკვლევის სიღრმით, სადავო საკითხების ორიგინალური გადაწყვეტით. მას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. რაგორც სკკპ XXV ყრილობაზე ზაზაძის თქვა ადმინისტრაციული სამართლის კოდიფიკაცია დღეს ერთ-ერთი აქტუალური საკითხთაგანია¹.

ნაშრომში განხილულია საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის ნაკლებად დამუშავებული და მეტად საინტერესო პრობლემა — ადმინისტრაციული პროცესი და მისი მარეგულირებელი აქტების კოდიფიკაციის საკითხები. ცნობილია, რომ თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მმართველობის სფეროში მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების საქმიანობაში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას. ამ ამოცანათა შემადგენელი ნაწილია ადმინისტრაციულ-პროცესუალური სამართლის შემდგომი სრულყოფა.

ადმინისტრაციულ-პროცესუალური სამართლის კოდიფიკაციის ფარგლები, შეუძლებელია დადგინდეს ადმინისტრაციული პროცესის თეორიის საკვანძო საკითხის გადაუწყვეტლად. ამიტომ საესებით მართებულად უნდა ჩათვალოს, რომ ავტორი არკვევს ადმინისტრაციული პროცესის ცნებასა და ფორმებს, იძლევა საპროცესო სამართლის ამ დარგის ნორმების შინაარსის ახლებურ ახსნას.

ადმინისტრაციული პროცესი ავტორის გაგებით, სახელმწიფო მმართველობის შემადგენელი ნაწილია, რომელიც აწესრიგებს სამართლის შეფარდებასთან დაკავშირებულ მთელ ორგანიზატორულ საქმიანობას მმართველობის ორგანოს, საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის მიერ. მაგრამ ადმინისტრაციული პროცესი არა მარტო ადმინისტრაციული სამართლის რეალიზაციის ფორმაა, არამედ ყველა სხვა სამართლისაც, რომელიც მმართველობის ორგანოების საქმიანობას ეხება.

ადმინისტრაციული პროცესის გამოხატულია აქედან გამომდინარე, ავტორს სამართლიანად მიაჩნია რომ არ არსებობს ე. წ. „მიწის სამართლის პროცესი“, „შრომის სამართლის პროცესი“, „საფინანსო სამართლის პროცესი“ და ა. შ. ვინაიდან ამავე სახელწოდების მატერიალური სამართლის დარგებს მომსახურებას უწევს ადმინისტრაციული პროცესი, რომელიც სამართლის სხვადასხვა დარგების რეალიზაციის ფორმას წარმოადგენს.

ნაშრომში განხილულია დასახელებულ საკითხზე სხვადასხვა ავტორის (მათ შორის საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების იურისტთა) შეხედულებები და მოცემულია მათი დამაჯერებელი კრიტიკა, გაანალიზებულია სპეციალური იურიდიული ლიტერატურა და მდიდარი ნორმატიული მასალა. ავტორი მოხერხებულად იყენებს საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების ადმინისტრაციულ-პროცესუალურ კანონმდებლობას მისთვის საინტერესო პრობლემის გასაშუქებლად, აღარებს მათ საბჭოთა ადმინისტრაციულ-პროცესუალურ კანონმდებლობას და იძლევა მათ უპირატესობათა თუ ნაკლოვანებათა ღრმა ანალიზს.

ადმინისტრაციული პროცესის არსის გარკვევა მჭიდროდ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმების ახსნასთან. ავტორი მათ ყოფს ზოგად და სპეციალურ ფორმებად. ნაშრომში გამოთქმულია ორიგინალური მოსაზრებები ცალკეული ფორმების შესახებ, ახსნილია ადმინისტრაციულ პროცესში ისეთი ფორმის არსებობა, რაგორცაა საქმის გარემოებათა წესნასწარი გამოკვლევა (წინასწარი გამოძიება). მმართველობის ორგანოებს ბევრ საქმეზე უხდებათ ამ პროცესუალური მოქმედების შესრულება რაც, მიგვანიშნებს, რომ ეს სტადია დამოუკიდებლად არსებობს. საინტერესოა ავტორის მოსაზრება ადმინისტრაციულ პროცესში მხარეების შესახებ. ავტორი საესებით სწორად თვლის, რომ საქმის განხილ-

* В. ЛОРИА — Некоторые вопросы теории кодификации административно-процессуального права.

¹ სკკპ XXV ყრილობა. ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში.

ველი მმართველობის ორგანო მხარეა ადმინისტრაციულ პროცესში. ეს არის თავისებურება, რაც მას განასხვავებს სხვა პროცესისაგან, სადაც სუბიექტები მხარეებად გამოდიან კონკრეტულ საქმეზე მართლმსაჯულების განმხორციელებელი ორგანოს (სასამართლოს) წინაშე. ავტორის ეს მოსაზრება არგუმენტირებულია თეორიულად და პრაქტიკული მაგალითებით, რომელთა შორის ერთ-ერთი იმაში მდგომარეობს, რომ მმართველობის ორგანოს შეცვლა პროცესში სხვა იმდაგვარივე ორგანოთი დაუშვებელია, ვინაიდან ეს იქნებოდა ორგანოს უფლებამოსილების შეზღუდვა. მაგალითად, დაუშვებელია ამა თუ იმ დაწესებულების მოსამსახურის დისციპლინური დასჯის საკითხი განიხილოს სხვა თუნდაც იმდაგვარივე დაწესებულებაში.

ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან და საინტერესოდ გადაწყვეტილ საკითხს მიეკუთვნება საქმის ქვემდებარეობა ადმინისტრაციულ პროცესში. ავტორი აკრიტიკებს საქმის ქვემდებარეობის არსებულ წესს და აღნიშნავს, რომ ერთ შემთხვევაში ადმინისტრაციულ პროცესში საქმის ქვემდებარეობა განისაზღვრება ორგანოს კომპეტენციის მიხედვით (განცხადებები, მიმართვები, წინადადებები) მეორე შემთხვევაში მხოლოდ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (საპენსიო საქმე), მესამე შემთხვევაში დავის მოცულობისა და ხელშეკრულების დადების ადგილის მიხედვით, სხვა შემთხვევაში — დარღვევის ჩამდენის სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასეთი მდგომარეობა, აღნიშნავს ავტორი, იწვევს სოციალისტური კანონიერების დარღვევას მმართველობის სფეროში, ერთიანი დემოკრატიული პროცესუალური ფორმების უგულვებლყოფას. ავტორი აყენებს წინადადებას შემოდებულ იქნას პროცესში ქვემდებარეობის ერთიანი წესი, რომლის თანახმადაც ყველა საქმის ქვემდებარეობა ორგანოს კომპეტენციისა (საგნობრივი ქვემდებარეობა) და საქმის აღძვრის ადგილის (ტერიტორიული ქვემდებარეობა) მიხედვით განისაზღვრება. ეს წესი, ავტორის შეხედულებით უნდა შეეხოს საჩივრების განხილვასაც მმართველობის სფეროში. ნაშრომში ნათქვამია, რომ საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების მსგავსად საჩივრები ჩვენს ქვეყანაში უნდა განიხილებოდეს პირველ რიგში თანამდებობის იმ პირების მიერ, რომელთა უკანონო მოქმედებასაც უჩივიან მოქალაქეები და მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამ საფეხურზე საჩივარი არ დაკმაყოფილდება, თა-

ნამდებობის პირის საჩივარს და მასზე მოტივირებულ უარს გადაუზღავნის შემდგომ ინსტანციას. ასეთი წესი, აღნიშნავს ავტორი, უზრუნველყოფს საჩივრების დროულ და კვალიფიციურ განხილვას, აღკვეთს ბიუროკრატიზმს. საქმის ვაჭიანულებას, ვანტირთავს შემდგომ ორგანოებს ზედმეტი დატვირთვისაგან იმ საკითხებით, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია ადგილზე.

ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება ადმინისტრაციული წარმოების სახეებზე და იმ შესაძლებელ კლასიფიკაციაზე, რომლითაც შეიძლება დაჯგუფდეს ინდივიდუალურ საქმეთა განხილვის შემთხვევები სახელმწიფო მმართველობის სფეროში. ავტორი უარყოფს ადმინისტრაციულ პროცესისა და ადმინისტრაციულ წარმოების ურთიერთდაპირისპირებას და თვლის, რომ მეორე წარმოდგენს პირველის შემადგენელ ნაწილს. ამასთან არ შეიძლება ადმინისტრაციული წარმოების სახედ მივიჩინოთ მმართველობის ორგანოთა სამართალშემოქმედებითი საქმიანობა (ნორმატიული აქტების მიღება), ვინაიდან იგი არაა დაკავშირებული ადმინისტრაციულ პროცესთან. ნაშრომში კრიტიკულადაა განხილული ადმინისტრაციული წარმოების კლასიფიკაციის საკითხებზე გამოთქმული მოსაზრებები, ახსნილია ცალკეული წარმოების თავისებურება და მოცემულია ადმინისტრაციული წარმოების სახეების ავტორიული კლასიფიკაცია. უნდა აღინიშნოს, რომ იგი სრულიად ახლებურია და განსხვავებით სხვა ავტორებისაგან, გამოხატავს ინდივიდუალურ საქმეთა დაჯგუფების ერთსაერთო კრიტერიუმს — კლასიფიკაციას ამ საქმეთა გარეგნული გამოვლინების ფორმების მიხედვით. ამგვარი მიდგომა ავტორს საშუალებას აძლევს ზუსტად განსაზღვროს მმართველობის სფეროში წარმოშობილი ინდივიდუალურ საქმეთა კატეგორიების შესაძლო ვარიანტები და ამით დაადგინოს ადმინისტრაციულ-პროცესუალური კანონმდებლობის კოდფიკაციის სფეროც, ვინაიდან ადმინისტრაციულ წარმოების სახეები ადმინისტრაციული პროცესის, სტრუქტურის გამომხატველია და, ავტორის ვაგებობთ, ისინი, ამდენად მომავალი რესპუბლიკური ადმინისტრაციულ-პროცესუალური კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილს შეადგენს.

ნაშრომში სპეციალური თავი აქვს დამოშობილი ადმინისტრაციულ პროცესუალურ ნორმებს და სახეებს. ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს საკითხთან დაკავშირებით ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს და

იძლევა მათ კრიტიკას. ავტორის აზრით მატერიალურისაგან განსხვავებით ადმინისტრაციულ-პროცესუალური ნორმების ცხოვრებაში რეალიზება ხდება და არა სამართალშემოქმედებითი ან გამოყენებითი საქმიანობის შედეგად, არამედ მათი შეფარდების ვებით. ავტორი მიუთითებს, რომ ზოგჯერ პროცესუალური ნორმებიც ექვემდებარებიან შეფარდებას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში პროცესუალური ნორმის შეფარდებას წინ უნდა უსწრებდეს მატერიალური ნორმის შეფარდება, რომლის შემდეგაც კონკრეტულ საქმეზე შეიძლება მოხდეს პროცესუალური ნორმის შეფარდებაც და ახალი ადმინისტრაციული აქტის მიღებაც. ავტორს ამასთან დაკავშირებით მოჰყავს ერთი დამაჯერებელი მაგალითი, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენისას პირს შეეფარდება მატერიალური ნორმა ადმინისტრაციული დაჯარიმების შესახებ, რომელიც სამართალდამრღვევა ნებაყოფლობით უნდა გადაიხადოს. თუ ასე არ მოხდა შესაბამისი ორგანო შეუფარდებს მის საქციელს ადმინისტრაციულ-პროცესუალურ ნორმას და მოახდენს ჯარიმის იძულებით ამოღებას დამრღვევის ხელფასიდან.

ნაშრომის ბოლო ნაწილი დათმობილი აქვს კონკრეტულ წინადადებებს ადმინისტრაციულ-პროცესუალური სამართლის კოდიფიკაციის ფორმისა და გზების შესახებ. ავტორი კრიტიკულად განიხილავს ყველა იმ სქემას თუ ნორმატულ აქტსა და პროექტს, რომელსაც ვხვდებით. საბჭოთა და საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების იურიდიულ ლიტერატურაში. ავტორი გვთავაზობს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-პროცესუალური კანონმდებლობის საფუძვლებისა და მოკავშირე რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-პროცესუალური კოდექსის სქემების ორიგინალურ პროექტებს.

ნაშრომი დაწერილია მაღალ თეორიულ დონეზე. იმის გამო, რომ პრობლემა, რომელსაც მიეძღვნა წინამდებარე ნაშრომი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ნაკლებად და დამუშავებული, ბუნებრივია, ზოგიერთი საკითხის ავტორისეული გადაწყვეტა დავას იწვევს. ეს პირველ რიგში შეეხება საკითხს ადმინისტრაციული იუსტიციის შესახებ საბჭოთა სამართალში. ავტორი გადაჭრით ილაშქრებს ბურჟუაზიული ადმინისტრაციული იუსტიციის შემოღების წინააღმდეგ ჩვენს ქვეყანაში, მიიჩნევს რა მას ადამიანთა უფ-

ლებებისა და კანონიერი ინტერესების ხელყოფის ერთ-ერთ იარაღად გაბატონებული კლასის ხელში. ეს საკვებით სამართლიანია. მაგრამ ეს ინსტიტუტი თავდაპირველად წარმოიშვა როგორც დემოკრატიული ფორმა მოქალაქეთა უფლებების დაცვისა სახელმწიფო ორგანოთა უკანონო ხელყოფისაგან. ამიტომ ადმინისტრაციულ იუსტიციას ბურჟუაზიული რევოლუციის პირველ წლებში ჰქონდა დადებითი მომენტები. და იგი აქტიურად გამოიყენებოდა მოქალაქეთა საჯარო უფლებების დასაცავად. დღეს იგი ფიქციად იქცა კაპიტალისტურ ქვეყნებში. მაგრამ როგორც საბჭოთა ავტორები მიუთითებენ, ადმინისტრაციული იუსტიციის რაციონალური მარცვლის გამოყენება სოციალისტური სინამდვილისათვის საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარების მიზნებს ასახავს და ამიტომ ხელაღებით მისი უარყოფა არ იქნებოდა სწორი. მით უმეტეს უნდა ითქვას ამის შესახებ, დღეს როცა ჩვენს სასამართლოებში არც თუ იშვიათად განიხილება ადმინისტრაციული ხასიათის საქმეები, და როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, მომავალში კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობათა სასამართლო დაცვა. ეს კი ნიშნავს სასამართლოში ადმინისტრაციული იუსტიციის ნიშნების არსებობას და მისი შემდგომი სრულყოფის აუცილებლობა ექვს არ უნდა იწვევდეს.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცალკე კვლევის საგნად იქცეს იმ პროცესუალური ნორმების კოდიფიკაციის საკითხი, რომლებიც აწესრიგებენ სასამართლოში ადმინისტრაციული და სხვა ხასიათის ინდივიდუალურ საქმეთა განხილვა-გადაწყვეტას. მართალია სამოქალაქო საქმის წარმოების საფუძვლები მათ გადაწყვეტას სამოქალაქო პროცესს მიაწერს, მაგრამ ამ საქმეთა განხილვა მთელი რიგი თავისებურებით ხასიათდება, რის გამოც საკითხის ამდაგვარი დაყენება ინტერესს იმსახურებს.

ვ. ლორიას ნაშრომი დახმარებას გაუწევს არა მარტო ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტებს, არამედ იურისტთა ფართო წრეს თეორიული და პრაქტიკული დარგის მუშაკებს, ყველას, ვისაც აინტერესებს ადმინისტრაციულ-პროცესუალური სამართლის კოდიფიკაციის საკითხები.

პროფ. ვ. შარაშინაძე,
იურიდიული მეცნიერებათა დოქტორი.

სოცსფეს

ფორის მაუზინა რეჟისორი

(გაგრძელება)*

— სოფლური ცხოვრების გემო ვიცი, — უთხრა მაშინ კეშას, — მაგრამ პირადი მეურნეობისა კი რა მოგახსენო. შენი საქმისა შენ იცი, მე კი თავს არ გავიწვავლებდი ამ ბაღითა და ბოსტნით... შენც თვალმებს იღამებ და ტატინას და დედასაც ქანცს უწყვეტ-მერე რისთვის? ბავშვები თქვენ არა გყავთ. შეძლებულად ცხოვრობთ.

განაწყენებულმა ინოკენტიმ ხელი ჩაიქნია.

ხოლო ნაწყენმა ტატინამ დაუმატა:

— შენ, იგორ, სხვისი ცოლისთვის ნუ წუხლები. მე, მაგალითად, მომწონს ბოსტანში მუშაობა. ესეც რომ არ იყოს, სულ ხომ ასე არ იქნება. მანქანის ფულს შევაგროვებთ და ბოსტანს მოვვებებით. მხოლოდ ბაწია ნაკვეთს დავიტოვებთ.

— აი, თურმე რა ყოფილა საქმე! — გაცინა იგორ ვასილის ძეს — მანქანის ყიდვა მოგაძრამებიათ. რა მეთქმის, ეს შეძლებულობის ამკარა ნიშანია და ძალზე თვალსაჩინოც... — რა ამბავია, ინოკენტი ვასილის ძეც, რატომ არ გინდათ ღვიძლ ძმას თქვენი გეგმები გაანდოთ?

ინოკენტიმ ბრაზით შეხედა ცოლს და ნაძალადევი გულახდილობით თქვა:

— როგორ გეკადრება, რა გეგმები... მაშინ ისე, ვლაპარაკობდით. და მერე, ამას ხომ დიდი დრო უნდა. გამოგვივა კი რამე?

მაგრამ, როგორც გამოიკრევა, კეშა უკვე ჩაწერილიყო მანქანის რიგში და ორი წელიც არ იყო გასული, რომ „მოკვიჩი“ შეიძინა... ბოსტანს კი კვლავ თავგამოდებით ამუშავებდა.

იგორ ვასილის ძე ბრაზობდა, რომ მისი ძმა მოურიდებლად, მისი თანდასწრებით გამუდმებით ანგარიშობდა... რამდენი გაასესხა, რამდენი უნდა დაამატოს... როცა იგორ ვასილის ძე ეტყუოდა სანადიროდ ან სათევზაოდ წავიდოდა, ძმა უარზე იდგა, იმიზეზებდა არა მცალაო. ერთხელ ტატინამ გულახდილად უთხრა:

— რას გადაეცილე კეშას. ნადირობა, თევზაობა... შენ საქმე ყელამდე აქვს. ჩამოსულხარ, თავი გაირთე და წადი. ხელფასი დიდი გაქვს, მარტო ცხოვრობ — საზრუნავი არაფერი გაქვს. აქ კი დროზე რომ არ გათოხნო, კვლებს სარეველა გადაუვლის...

ამ სიტყვებზე კეშა აენთო და გაბრაზებით უთხრა ცოლს:

— ტატინა, შენ რომ კაცმა ყური გიგდოს, თითქოს ბოსტნის გარდა სხვა საქმე არ არსებობს.

მაგრამ არც სათევზაოდ დაჰყვებოდა და არც სანადიროდ. მისი სანადირო თოფი წლობით ხელუხლებელი ეკიდა კედელზე.

ლენინგრადში კეშა იშვიათად ჩადიოდა: საქმეებს მუდამ ერთ დღეში აგვარებდა, ხოლო თუ დარჩებოდა დამის გასათევად, საღამოს იგორთან ერთად გაისეირნებდა სანაპიროზე და აუცილებლად შეივლიდა „ტიტივაში“, საადმირალოს პირდაპირ რომ მდებარეობდა. გულს იჭერებდა ლუღითა და დამარილებული კარგი თევზით. ინოკენტი, თითქოს გარდაიქმნაო, უყვებოდა, როგორ მიდიოდა ფაბრიკაში საქმეები, როგორ მოაწყობდა ხელახლა საქვავებ და ცხელი წყლით უზრუნველყო მთელი დაბა.

— გესმის, იგორ! მეორე ქვებს მხოლოდ ორი წლის შემდეგ მიირღებინ. ჩვენ კი ასოცი ათასი წიწილა გვეყავს! ას ოცი ათასი ემ! შენ ამას ვერ გაიგებ, — ცხარობდა იგი და აჩქარებით სვამდა ლუღს მაღალი ტოლჩით. — და როგორ გგონია? ერთხელ ჩამოვედი ლენინგრადში, მივედი რააკომში. ხომ გამგზავნეთ წიწილების გამოსაზრდელად? ახლა მომეხმარეთ! თქვენთან ფინეთის კვანძია, ალბათ, ორთქლმავლები არ გამოგვეღვეათ. მომეცით ორთქლმავალი...

კორნილოვს გაუკვირდა:

— ორთქლმავალი რაღად გინდა? — და მაშინვე მიხვდა: — ქვები!

— ქვები! გესმის, იგორ! — იცინოდა ინოკენტი. — სწორედაც ქვები. ახლა, ნუღარ

* ლასაწყისი იხ. 1975 წ. № 5, გვ. 84-86. 1976 წ. № 2, გვ. 83-89.

შეწყობები. მართა წიწილები კი არ გავათბეთ, მთელი დაბა.

ღამით დიდხანს არ წვებოდნენ დასაძინებლად, ერთმანეთს უყვებოდნენ საქმეებს, კამათობდნენ და როცა თითქმის სალაპარაკო შემოეღოდათ, კეშა ჰკითხავდა: — შენ, იგორ, მაინც როდის ირთავ ცოლს? არ მოგებურდა ეფლად ყოფნა? — და, როცა პასუხს ვერ მიიღებდა, განაგრძობდა, — ჩვენთან ფაბრიკაში ერთი ისეთი გოგონა ლამის ტანისა გვეყარო. ჩამოდი, გავაცნობ. რამდენ ხანს უნდა იღარდო აღიონჯაზე?

* * *

...ელექტრომატარებელი უთანაბროდ მიდიოდა, ხან ძლივს მიბობლავდა, ხან წივილით უმატებდა სიჩქარეს. კორნილოვი კედელს მიყრდნობოდა, თვალები დაეხუჭა. აგონდებოდა წინა დღის საუბარი თვითკმაყოფილად მინისტრატორთან. „რას დავიჟოქე? — ფიქრობდა იგორ ვასილს ძე — განა ცოტა ქვეყანაზე სალახანა?“ შემდეგ სათითაოდ გაიხსენა ყველა დაზარალებული, მათი ჩვენებები.

„რა გეწყობა, ავტომანქანების საქმე იოლი როდია. გენერალმა გვიჩინა ტაქსის მძღოლებს გავსაუბროთ... ტაქსის მძღოლებს, ტაქსის მძღოლებს... მანქანა, რომელიც ტამარისა დაინახა აგრეთვე ტაქსია ჰმ.. ან იქნებ... ან იქნებ, ტაქსის მძღოლები არიან დამნაშავენი? — ეს აზრი კორნილოვმა საინტერესოდ მიიჩინა, მაგრამ მალე შეწყვიტა ამაზე ფიქრი. — აუცილებელი ხომ არ არის ტაქსის მძღოლები იყვნენ. დამე სხვა შოფრებიც ხომ მუშაობენ, წმენდენ, რწყავენ, პროდუქტებს ეზიდებიან. კარგით, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, კარგით! ვინ იცნობს მათზე უკეთ ღამის ქალაქს, ყველაზე მოსახერხებელ დროს, ადგილებს, სადაც მანქანები ღია ცის ქვეშ დგას. წინასწარ ამოირჩიეს „მსხვერპლი“, აუჩქარებლად მოიარეს რაიონი, მიიხედ-მოიხედეს, თავიანთი მანქანა დააყენეს მოსახვევში და შეუდგნენ საქმეს. ხოლო მთელი თქვენი „საიდუმლო საკეტები“, ამხანაგო მანქანის მფლობელებო, გამოცდილი შოფრისათვის ბავშვის სათამაშოა... მათ შეუძლიათ „ყოველ შემთხვევისათვის“ როტორიცი კი ჰქონდეთ საბარგულში. ხოლო ინიჟინერ გუსარევის ელექტროსაფანგი? ეს ისეთი კაკალია, რომელიც ბიეტის გამოცდილი ავტომობილისთვის კი მოიტებს კბილს. შეიძლება წინასწარ იცოდნენ, რა მოწყობილობაა ეს? ან იქნებ გუსარევის რომელიმე ნაცნობი მონაწილეობდა გატაცებაში? ნაკლებ

დასაჭერებელია, თუმცა შეუძლებელი არც ეს არის. კარგად უნდა შემოწმდეს. არც ის არის შეუძლებელი, რომ გამტაცებლებს შორის იყვნენ „მსხვილი სპეციალისტები“ ელექტრონიკის სფეროდან.

მატარებელი სუიდას უახლოვდებოდა. ვაგონი თითქმის დაცარიელდა. ორ ხანშიშესულ ქალს გაზეთი გაეშალა სკამზე და მალანად შეექცეოდნენ ბატონსა და ძესვს. სკამის ქვეშ დიდი კალათები ედგათ. „ალბათ ბაზრიდან ბრუნდებიან“, — გაიფიქრა კორნილოვმა და კეშა გაახსენდა. შემდეგ ისევ დახუჭა თვალები და განაგრძო ფიქრი უკვალოდ გაუჩინარებულ მანქანებზე.

„ნამდვილად ყალბი ნომრებით, სხვისი ტექტალონებითა და პასპორტებით გადაჭყავთ მანქანები, მაგრამ ამ სხვა ნომრებს ხომ სადღაც შოულობენ? სედიკოვის მიერ სახელმწიფო ავტონისპექციის რაიონული განყოფილებების შემოწმებამ შედეგი არ გამოიღო. არ დადგინდა დოკუმენტების უპაიონოდ გაცემა...“


როუდესტენიდან ფეხით აუყვა ორდევას ციხაბო ნაპირს. მას უყვარდა აქ სიარული, ნაძვებს შორის, საუკუნოვანი წიწვის შრით დაფენილ მიწაზე.

მეორე ნაპირიდან ისმოდა ბავშვების ყვირილი და საყვირის შეუწყობელი ხმა.

კეშას სახლი ნაძვებში იდგა, მზით განათებული, მშვენიერი შესახედავი, დიდფანჯრებიანი. მეზობელი სახლებივით არ შემადუღიყო იასამნის ხშირ ბუჩქებში, არც ქარს ემალობოდა და არც უცხო თვალს. იგორ ვასილის ძემ ხელი ჰგრა კუტიარს. ჩაიციინა: „როგორ ცხოვრობენ აქ უჩემოდ? გავერკვევით...“ მაგრამ შინ არავინ დახვდა. „კეშა, ალბათ, სამუშაოზეა. ტატიანა და დედა ბოსტანს ჩიჩქნიან, — გადაწყვიტა მან. — დავდებ ტორტს და წავალ, ვნახავ.“

სახლის გასაღები თავის ადგილზე იყო — კართანის ქვეშ. მას ყოველთვის აქ დებდნენ, რათა თან არ ეთრიათ, ან იგორის გამო, თუკი ჩამოვიდოდა. გასაღები ახალი იყო — გრძელი, ორივე მხარეს ეშმაკური ენები ჰქონდა, როგორც სეიფის გასაღებს აქვს ხოლმე. „ალბათ ქარხნის რომელიმე ხელმარკვე ოსტატს გააკეთებინა, — იგორ ვასილის ძემ გასაღები მალა ააგდო და ხელის გულით დაიჭირა. თავადაც ბევრჯერ გაუკეთებია „საიდუმლო“, „საკეტი ოდესდაც, როცა შეინკლობდა.“

ოჯახში რაღაც შეცვლილიყო. კორნილოვი ვერ მიხვდა თუ რა, მაგრამ მაშინვე იგრძნო ეს ცვლილება. იგი ვაგიდა სამზარეუ-



ლოში, რათა მაცივარში ტორტი შეენახა და დაინახა, რომ ქურა გადაეკეთებინათ. ახლა იგი უფრო პატარა და კოსტა იყო, ლამაზად მოპირკეთებული. დიდი სასადილო მაგიდა სამზარეულოში დაედგათ. სასტუმრო ოთახში, თითქოს, ყველაფერი ძველებურად იყო — კაკლისფრად გაპრიალებული ავეჯი: ქურტლის რაფა, კარადა, ტრელაური... „აი როგორ ცხოვრობენ ახლა სოფელში, — ჩაიცინა იგორ ვასილის ძემ და გაიფიქრა. — მაინც რაღაცა არის გამოცვლილი აქ... თითქოს მეტისმეტი ხალგაობაა და სიცივია დასადგურებელი, თითქოს რაღაც აკლია. დიხს, აკლია!“ კიდევ ერთხელ შემოიარა ბინა და ბოლოს მიხვდა, რაც აკლია. სასტუმრო ოთახში აღარ იდგა დიდი დივანი, რომელზეც უამრავი პატარა მოქარული ბალიში ეწყო. აქ დედა იძინებდა ხოლმე.

კორნილოვს გაუკვირდა: „სად იძინებს დედა? სხვენზე ხომ არ? კეშა სულ აპირებდა ზევით იგორისათვის პატარა ოთახის მოწყობას. მაგრამ დედისთვის ხომ არა! ახლა იგორ ვასილის ძეს გაახსენდა, რომ სამზარეულოში ქურაზე გასარეცხი ქურტელი ეყარა. რაც ადრე არასდროს შეუმჩნევია. თავის ადგილზე აღარც დიდი ოთხკუთხა შუცლიანი სამოვარი იდგა. რომელშიც ყოველთვის ადუღებდნენ ჩაის. და არც სუნი ეცა ღვეჯელისა, რომელსაც დედა ყოველ შაბათს აცხობდა...“

რაღაცა ეჭვი შეეპარა კორნილოვს გულში, მაგრამ მაშინვე უკუაგდო იგი. დედა სავადმყოფოში რომ იყოს, შეატყობინებდნენ. ბოლო დროს იგი ავადმყოფობდა, თვეობით იწვა თავის დივანზე. არა, არა... დებეშას გამოუგზავნიდნენ, დაურეკავდნენ.

კორნილოვი კართანავე გამოვიდა. პირდაპირ სახით შეეხო ცირცელის გადმოწოლილ ტოტებს დაკბილული ფოთლები შემპკნარყო ხანგრძლივი ხვატისაგან. ნიავი არ იძვროდა. სიცხისაგან თითქოს ყველაფერი ჩამკვდარიყო: დამპკნარი ბუჩქებიც ღონემიხდილი ქვითელი გეორგინებიც ყვავილნარში. მდინარის იქით ნაძვნარში ბური იდგა. აღუბლისფერმა „მოსკვიჩმა“ შარაგზაზე მოუხვია და დაბისკენ წამოვიდა ნელი სვლით. მარჯველ უქცევედა გვერდს დრანტეებს და მტვრის ბუღს აყენებდა. „ინოკენტი მოდის.. ახლაცვე გაირკვევა ყველაფერი, — გაიფიქრა კორნილოვმა და უცებ იგრძნო, რომ საშინლად დღვავდა. — რა დამემართა? რამე რომ მომხდარიყო, დამირეკავდნენ“, — სცადა ისევ დაემშვიდებინა თავი.

ძამე მოტორი გამოართო და მანქანიდან

გამოვიდა. ხელი დაუქნია. ალბათ, იგორ ვასილის ძე გზიდანვე შენიშნა. შემდეგ კეშამ გახსნა საბარგული, ამოიღო დიდი, გაბეკილი შავი ჩანთა. შემდეგ ისევ შეყო თავი მანქანაში უკან დასაჯდომზე ხელი მოაფათურა, რაღაცას ეძებდა.

„რას იქებება?!“ — გაბრაზდა იგორ ვასილის ძე. დააპირა ძმისკენ წასულიყო, მაგრამ მან, როგორც იქნა, მოათავა თავისი საქმე და ბაღში შემოვიდა.

კეშა მოდიოდა და იღიმებოდა. იგორ ვასილის ძეს ეს ღიმილი არ მოეწონა. ამ ღიმილმა შეაკრთო კიდევ. მასში რაღაც იყო არაბუნებრივი, უცხო.

— კეთილი იყოს შენი ჩამოსვლა, იგორ! დაუძახა ძმამ — რამდენი ხანია აღარ გვწყვიხნარ!



— დედა სად არის? — ჰკითხა იგორ ვასილის ძემ და თავისი ხმა ველარ იცნო.

ინოკენტიმ თავისი შავი ჩანთა პირდაპირ დამპკნარ ბალახზე დადო, იგორ ვასილის ძეს ხელი გაუწოდა.

— სალამი!

კორნილოვმა ძმის ხელს ხელი აღარ გაუშვა და ხელახლა ჰკითხა:

— დედა სად არის?

— იცი, იგორ... — დაიწყო ინოკენტიმ, და იგორ ვასილის ძემ იგრძნო, რომ კეშას ძალზე უჭირდა ლაპარაკი. თითქოს არ იცოდა, საიდან დაეწყო.

— მოხდა რამე?

— არა, — შვებით ამოისუნთქა ინოკენტიმ, — ცუდი არაფერი მომხდარა. შევიდეთ სახლში, იქ მოგიყვები ყველაფერს.

— რაო, პასუხის გაცემა გიჭირს? — აენ-
თო იგორ ვასილის ძე.

— დედა წავიდა. გადაწყვიტა, ჭერჭერო-
ბით მარტომ იცხოვროს. მოხუცებულთა თავ-
შესაფარშია, — ინოკენტი უცებ აჩქარდა,
თითქოს შეეშინდა, ვაითუ იგორ ვასილის
ძემ ბოლომდე არ მომისმინოსო. — მან გა-
დაწყვიტა... ჩვენ შევურჩიეთ შესაფერი,
ყველაზე მოხერხებული... მან გაღიმებაც
კი სცადა. თან თვალები დახარა, თავის შავ
ჩანთას დაჰყურებდა.

— როგორ თუ მოხუცებულთა თავშესა-
ფარში?

— გამოიგონე, რას გეუბნები. ეს არ არის
მოხუცებულთა ჩვეულებრივი თავშესაფარი.
იქ ძნელა მოწყობა, ვალაამის კუნძულზეა.
ულამაზესი ადგილია. ტანიასთან ერთად ვი-
ყავი იქ, დედა წავიყვანეთ. რანაირად მიყუ-
რებ? თვითონ მოინდომა. განუწყვეტილ
ავადმყოფობდა. მე და ტანია სამსახურში
ვართ. წყლის მიმწოდებელიც კი არავინ ჰყავს.
რამე რომ მომხდარიყო?

კორნილოვი უყურებდა ძმას და მისი ალა-
რაფერი ესმოდა. ინოკენტი რაღაცას ამბობ-
და, პირფერულად ოდნავ იღიმებოდა, ხე-
ლებს აქნევდა, მაგრამ მისი სიტყვები კორნი-
ლოვამდე არ აღწევდა. ასე უხმოლ იდგა იგი
რამდენიმე წუთს და, მერე, თითქოს გამოფ-
ხიწლდაო, ჰკითხა:

— მერე, მე რატომ არ მითხარი? რატომ
არ მკითხე?

— მე.. მე... — ერთ წამს ხმა ჩაუწყდა
კეშას და მერე უბასუხა, — დედამ მოხოვა
ჭერჭერობით შენთვის არ მეთქვა...

— დედამ? დედამ? — დაუყვირა კორნი-
ლოვმა. — ის რა დედაა შენი? — და კეშას
ხელი ძლიერად სთხლიშა სახეში. ამ გარტყ-
მაში მთელი თავისი გულსიტყვილი და ზიზ-
ლი ჩააქსოვა. ინოკენტის ხმა არ ამოუღია, თა-
ვი არ დაუცავს, მხოლოდ თვალელებში შეხედა
იგორ ვასილის ძეს, დანადვლიანებულ თვა-
ლებში.

იგორმა ინოკენტი ბილიკიდან ჩამოიცილა
და გზაზე გავარდა.

— იგორ! — უცებ ხმადაბლა წარმოთქვა
ძმამ. — იგი ავად არის!

იგორ ვასილის ძე არ შემობრუნებულა.

— იგორ! — ახლა უკვე დაიყვირა ინო-
კენტი. — იგორ! მოიცადე! სერიოზულად
არის ავად, მაგრამ იქ ურჩევნია... მიკროკლი-
მატი... მომეცი საშუალება აგისხნა...

იგორ ვასილის ძეს ესმოდა, როგორ დაე-
ღვნა ძმა და ნაბიჯს აუჩქარა. იგი ისე მი-
დიოდა, რომ ძირს არ იყურებოდა და ბრაზი

ასრჩობდა. „დედა — თავშესაფარში, დე-
რლომითა თავშესაფარში... და მე არც კი
ვიცოდი!“

იგი მიდიოდა და მიდიოდა, თითქოს გადა-
წყვიტა ლენინგრადამდე ფეხით ევლო და
მხოლოდ ვირასთან, დიდ სოფელთან, რომე-
ლიც გზაჯვარედინზე მდებარეობდა, უცებ
შეჩერდა.


გზის პირას ორი „ვოლგა“ იდგა, ორივე
ტაქსი ერთ-ერთი მძღოლი მეორე მანქა-
ნას ტროსს უბამდა. როგორც ჩანს, გზაში გა-
ფუტქებულიყო. როცა ტროსი მოაბა, მძღოლი
კაბინაში შეძვრა, სიგნალი მისცა და ფრთხი-
ლად დაიძრა. ტროსი დაიჭიმა, ორივე მანქა-
ნა გზაზე გამოვიდა და გატჩინოსაკენ გაე-
მართა.

კორნილოვს გაცვინა. „რა უბრალოდ ხდე-
ბა ყველაფერი. გამოიბა და წავიდა. და არა-
ვითარი „საიდუმლო საკეტებისათვის“ ხელის
ხლებს არ არის საჭირო. წაიყვანე სადმე
მიყრუებულ ადგილას, გააღე და დაქოქე. დაე,
ჩაირთოს სიგნალი, იღრიალოს რამდენიც უნ-
და... მერე რა? აი, ვარიანტი!“

იგი ქალაქში პირქუშმა, მღუშარე შოფერ-
მა ჩაიყვანა „ზილ“-ით. ისე თავგამეტებით
მიაქროლდება მანქანას, რომ კორნილოვმა
ერთ წამს კიდეც გაიფიქრა, ალბათ თხრილს
ვერ გადავურჩებითო. ჩანდა, შოფერი რა-
ღაცაზე ძალზე განაწყენებული და გაბრა-
ზებული იყო. „არა უშავს, — ამშვიდებდა
თავის თავს კორნილოვი, — ჭერ კიდეც ყვე-
ლაფერი არ დაკარგულა. დიდი ხანია დედა
იქ არის? სამ თვეზე მეტი არ იქნება. ხვალ-
ვე გავიგებ ყველაფერს, წავალ მასთან. და
რატომ სთხოვა, ჩემთვის არ ეთქვა?“. მანქა-
ნის სისწრაფემ ცოტათი დაამშვიდა, გონზე
მოიყვანა.

შინ გვიან საღამოს მივიდა. გაიარ-გამოი-
რა ცარიელ, მიულაგებელ, მყუდროებას მოკ-
ლებულ ბინაში. ღია ფერის ყდებში ჩადე-
ბული ფირფიტები და წიგნები უწყესრიგოდ
იყო ერთმანეთში არეული. მძიმე, მასიურ
ავჯეს მტვერი დასდებოდა. როცა ინოკენტი
ჭერ კიდეც აქ ცხოვრობდა, გადაწყვიტეს მთელი
ეს ავეჯი საკომისიოში წაეღოთ და ახალი
ეყიდათ. მაგრამ დედამ უარი უთხრა.
არ უნდოდა დაშორებოდა არაფერს, რაც
ქმარს აგონებდა.

კორნილოვი ჩაჯდა სავარძელში და მწარედ
ჩაიცინა. უცებ მოაგონდა, რომ ეს ავეჯი,
რომელიც თხუთმეტობედ წლის წინათ თით-
ქოს არტივში იყო სამუდამოდ ჩასაბარებ-
ლი, ისევ შემოვიდა მოდაში, ხოლო ყოველ-
გვარი კომპინირებული სუროგატი, ქათმის-



ფენებიანი ავეჯი სასაცილო პაროდიალ გამოიყურება ამ ავეჯთან შედარებით...

„დედის ჩამოსვლის დღისათვის ბინა რიგინალ უნდა მივალავო, — კორნილოვს ევჯი არ ეპარებოდა, რომ უახლოვს დღეებში ჩამოიყვანდა სახლში. თუ თავშესაფარში შეუძლია იცხოვროს, მაშასადამე, სახლშიაც შეუძლია. მოვლით კი როგორმე მოვუვლი. — თუ საჭირო იქნება, დროებით დავაწვენ საავადმყოფოში. ეს რა ქნა — დედა გავზავნა თავშესაფარში და მერე სად? კუნძულზე“.

გადიოდა დღეები და დედასთან წასვლას ვერ ახერხებდა. ქალაქში კიდევ ერთი „ვოლვა“ მოიპარეს... კორნილოვი და მისი ჯავფის თანამშრომლები მთელი დღეები იკარგებოდნენ მილიციის რაიგანყოფილებებში, დაწვრილებით ეკითხებოდნენ უბნის მილიციელებს, ხომ არ მიეღოთ განცხადებები მანქანის გატაცების მცდელობაზე, აინტერესებდათ უმნიშვნელო ინციდენტებიც კი. ბელიანჩიკოვმა და კაბიტანმა ბუგაევმა დაიწყეს იმის დასუსტება, თუ როგორ იყო მოწყობილი ტაქსომოტორის პარკებსა და სახელმწიფო გარაუბებში ღამის მორიგება. გააძლიერეს ღამით ზატრულირება. საღამოობით კი იგორ ვასილის ძე და ბელიანჩიკოვი ისხდნენ ბოლით გაუღენთილ კაბინეტში, საიდანაც არავითარ გამჭოლ ქარს აღარ შეეძლო დაგუბებულნი ნიკოტინის სუნის გამოდენა, და მთელი დღის მუშაობას აჰმებდნენ. სასუფეშო ცოტა რამ იყო, მაგრამ კორნილოვს მტკიცედ სწამდა, რომ სწორ გზას ადგენენ.

— მხოლოდ ყოველმხრივი გამოძიება საჭირო... — უმეორებდა ყურებჩამოყრილ ბელიანჩიკოვს. — ხელის ერთი მოსმით ვერაფერს მიაღწევ.

— ბრმებით ერთ ადგილს ვტკებნით, — ბუზღუნებდა ბელიანჩიკოვი. — ბულალტერით ვერთობით, დრო კი მიდის!

— იცი რა, იური ევგენის ძეგ, ჩვენ რომ რომელიმე ერთი მიმართულებით ვიმუშაოთ, შეიძლება მივადწიოთ მიზანს, მაგრამ შეიძლება ვერც მივადწიოთ. მერე ყველაფერი თავიდან დავიწყეთ? ახლა კი ისეთი ბადე გავშალეთ... თუ გამართლდა ჩემი ვარაუდი საკომისიო მალაჩის მეშვეობით გაყიდული მანქანების ნომრების ნამდვილ ქარსნულ ნორმებთან შედარების შესაძლებლობისა... იცი, ამას რა შეიძლება მოჰყვეს? მოპარულ მანქანებს იმ წუთსავე ვიპოვოთ.

— ექსპერიმენტი კარგი საქმეა, — ფარხმალს არ ჰყრიდა ბელიანჩიკოვი, — როცა ვადით არა ხარ შევლული. ჩვენთან, ჩვენს ქალაქში უნდა ვეძებდეთ, მივლინებებში კი

არ უნდა დავყოლებდეთ. რაზემდებდა მისი მორიგეობაო, ტელევიზორით გამოხვალაო. განა თვითონ არ ამბობ, რომ ქსურდები — ტაქსის მძღოლები არიანო? ჰოდა საჭიროა „ტაქსის“ ვერსიის დამუშავება.

— ახლა მხოლოდ მოთმინება გვმართებს, — თქვა იგორ ვასილის ძემ. — და არცერთი დეტალი არ უნდა გამოგვრჩეს...


კორნილოვი ბელიანჩიკოვს უკვე ათი წელია იცნობდა. მას მოსწონდა ეს კირკიტა და მიდეგა კაცი, რომელსაც მხიარული ხასიათი და ამხანაგობის დიდი გრძობა ჰქონდა, მაგრამ განსაკუთრებით აფასებდა ბელიანჩიკოვის ერთ თვისებას, რომელიც ბევრს არ მოსწონდა — იოლად არაფერს დაიჭერებდა, დაუყოვნებლივ არაფერზე დაუბუღებდოდა.

იგორ ვასილის ძეს ეშინოდა იმათი, ვინც ყველაფერზე იოლად თანხმდებოდა. მას ყველთვის აღიზიანებდა, როცა ადამიანი მაშინვე მიიღებდა მის ახალ იდეას და სასწრაფოდ უარყოფდა თავის თვალსაზრისს. კორნილოვს მტკიცედ სწამდა, რომ ამას უმეტესად არაგულწრფელად აკეთებდნენ. — ერთნი — უფროსთან კამათის შიშით, მეორენი — პირფერობით, მესამენი — უბრალოდ, გულგრილობის გამო.

ცხარე დღეები იყო, მაგრამ კორნილოვს კიდევ მოუხდა ერთი დღით მოსკოვს გამგზავრება სამინისტროში გამოსაცხადებლად. იქ უკვე დიდი ხანია დეგეგმათ თათბირი მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლად და იგორ ვასილის ძეს დაავალეს სიტყვით გამოსულიყო. საქმე იმ პირებთან აღმზრდელობითს მუშაობას ეხებოდა, ვინც სასჯელი მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. იგორ ვასილის ძემ დააპირა უარი ეთქვა წასვლაზე, მაგრამ სელიგანოვმა უთხრა: აზრდაც არ გაიფოთ!

3.

კუბეში ვლასოვი მეზობლად მოხვდა ერთ პირქუშ და სიტყვაძღუნე კაცთან, რომელმაც მისალმებაზე ოდნავ დაუქნია თავი, ფანჯრისაკენ მიბრუნდა და მიაშტერდა მოსკოვის ჩანენლებულ გარეუბნებს, რომელთა გასწვრივ მატარებელი მიჰქროდა. ვლასოვი უკვე შეჩვეული იყო იმას, რომ ექსპრესის ხალხი არ გამოირჩეოდა გულწიარობით. იგი ადვილად გამოიცნობდა ხოლმე ექსპრესის მაგვარს ლენინგრადის ვოგჯალის მოფუსფუსე და სმაურთან ბრბოში. მისი ალუბლისფერი, კარგად გარეცხილი ვაგონების წინ ვერასდროს ვერ შენიშნავს კაცი ბაქანზე ჩვეულებრივ გამგზავრების წინა ორომტრიალს. მხოლოდ



იშვიათად თუ წააწყდები შეზარხოშებულ, ხმაშავი მოლაპარაკე, უზარმაზარ ჩემოდნებიან უცხოელებს, ან მსახიობების ჯგუფს, რომელიც დაბრუნდა გასტროლებიდან ან მიემართება გასტროლებზე.

ექსპრესის მგზავრები ჩვეულებრივ მსუბუქად არიან დატვირთული, ხელში პორტფელი უჭირავთ. ცოტა უფრო ახალგაზრდებს კი შავი ბრტყელი ჩემოდანი, რომლისთვისაც ვიღაცას „დიბლომატი“ შეურქმევია. ექსპრესის ხალხი ჩაცმულობითაც წააგავს ერთმანეთს. სპარბოზს მუქი რუხი, თავისფერი კოსტუმები. ზოგი მგზავრი ვაგონის გამყოლსაც ისე ხსალმება, როგორც ძველ ნაცნობს.

ამ მატარებელში იშვიათად იძენენ ახალ ნაცნობებს. შეხვედბა ერთმანეთს რბილი ვაგონის კუბეში ორი ადამიანი, როგორც ახლა ვლასოვი და მისი პირქუში მეზობელი: „გამარჯობათ“, „ძილი ნებისა“, „დილა მშვიდობისა“, „ნახვამლის“... და დილით ყველა თავის მხარეს წავა.

ზოგჯერ შემთხვევით წააწყდები მგზავრს, რომელიც მეზობლის დანახვზე გაიბადრება.

— ერთი პარტია ქაღალკი? იქნებ არაყს ინებებთ? რომ მოვდიოდი, შემომჩიჩქინ... საუზმეც ჩამიწყო ცოლმა.

— არა, ბოლიში, სვალ დილით საქმე მაქვს...

შემდებარ ახალბედს გუნება წაუხდება, პორტფელში უკანვე აწყობს ბუტერბროდებს და დასაძინებლად წვება.

როცა ექსპრესის მგზავრებს უყურებდა, ვლასოვს ხანდახან ეჩვენებოდა, რომ თითოეულმა მათგანმა ეს-ეს არის დატოვა კაბინეტი, სადაც მთელ დღეს სხდომასე იჯდა, გადაუღებელ საქმეებს წყვეტდა, მომსვლელებს იღებდა, თათბირებს მართავდა. ახლა ჯერ კიდევ ვერ მოესწრო თავიდან მოეშორებინა მთელი დღის საზრუნავი და ისე კორექტულად და ოდნავ ცივად უჭირავს თავი, თითქოს ეს კომფორტაბელური, გაქათათებულ ლოჯინიანი, გაჩახჩახებული კუბე მისი კაბინეტი იყოს.

ვლასოვი გულწიარად, მხიარული ადამიანი იყო. მას უყვარდა ხმაურიანი კომპანია, გზაში გაბმული საუბრები, მაგრამ ვერ ელეოდა ექსპრესით მგზავრობას. თორემეტს რომ სუთი აკლია დაჯდები მოსკოვში, ერთ ღამეს გამომიძინებ, ხოლო რვა საათსა და ოცდასუთ წუთზე უკვე ლენინგრადში ხარ. მივლინებულთათვის, და ექსპრესის თითქმის ყველა მგზავრი მივლინებულნი არიან, ძალზე მოსახერხებელია. დილიდანვე შეგიძლია შენს საქმეს შეუღდე.

უკვე დიდი ხანია მატარებლები მოსკოვიდან ლენინგრადემდე გზის ვაგლას ექვს საათზე ნაკლებს ანდომებდნენ, ხოლო საცდელი მატარებლები ოთხ საათზე ნაკლებსაც კი. მაგრამ ექსპრესს ეს სიახლე არ შეეხო. იგი ძველებურად რვა საათსანევარს მიდიოდა. მივლინებულებს ეს აწყობდათ.

ვლასოვის მეზობელმა მატარებლის გამყოლ ქალს ჩაი მოსთხოვა. ვლასოვმა პორტფელიდან ამოიღო ყოველკვირეულის ახალი ნომერი.

— ხომ არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო რომ დავწვე დასაძინებლად? ჰკითხა რამდენიმე ხნის შემდეგ მეზობელმა.

— როგორ გეკადრებათ! — ვლასოვმა დაკეცა ყოველკვირეული და მაგიდაზე დააგდო — დიდი ხანია უკვე დროა...

იგი კორიდორში გავიდა, რათა მეზობლისათვის ხელი არ შეეშალა, შუბლი მიაყრდნო ცივ მინას, ცდილობდა დაენახა, რაც ხდებოდა ფანჯრის იქით, მაგრამ წყვილიაღმვერეაფერი გაარჩია.

როცა დაწვა და სინათლე ჩააქრო, თანამგზავრმა მოულოდნელად ჰკითხა:

— თქვენ, მგონი, ჟურნალისტი ხართ, არა? ვლასოვმა დააპირა თავისი გაცემა გამოეთქვა და ეკითხა, რატომ ფიქრობდა ასე, მაგრამ თანამგზავრი განაგრძობდა:


— ალბათ, სშირად გიხდებთ ადამიანებზე წერა. კარგებზეც და ცუდებზეც. შეხვედრებიც უამრავი გექნებათ. თუ გქონიათ ისეთი შემთხვევა, როცა დაწერთ ვინმეზე და მერჯ ისევ დაუბრუნდებით მას? ამ ადამიანს?

იგი რამდენიმე წამს შეჩერდა და მერჯ ჰკითხა:

— დაძინებას გიშლით?

დიდი ამბავი! შევებულებაში მივდივარ, — უბასუხა ვლასოვმა, — მოვასწრებ გამოძინებას. რაც შეეხება იმას, ვუბრუნდებით თუ არა ჩვენს გმირებს... გაზეთებში ხომ სშირად წერენ: გაზეთის გამოსვლის შემდეგ მიღებულ იქნა ზომები... ივანოვი დასაჯეს... პეტროვი ალაღვინეს. სამუშაოზე... სიღოროვს ბინა მისცეს...

— ე... ე... არა. — გაბმულად და წყნით თქვა მეზობელმა. — მაგას არ გეკითხებით. აი, თქვენ, ვთქვათ, დაწერეთ ნარკვევი ადამიანზე. კარგ, მშვენიერ ადამიანზე. გაიარა ორმა წელმა და დაინტერესდით, ყველაფერი ისევ რიგზეა თუ არა. ხომ შეიძლება ადამიანმა ტრაგედია განიცადოს, ფეხი აუცდეს. დახმარება ესაჭიროება... ან კიდევ, დაწერეს ფელეტონი სპორტზე, ლოთოზე... გამგზავნიან თქვენთან გაზეთში პასუსს — სებრეს საყვედური მისცეს, პირობა დასდეს



გამოსწორდება... მერე? მერე? როგორ აეწყო შემდეგ მისი ცხოვრება? აი, რასა აქვს მნიშვნელობა! თორემ რა გამოდის? თქვით თქვენი სათქმელი და მოიშორეთ ჭირი თავიდან?

ვლასოვს გაცინა. იგი გააცოცხლა მეზობლის გაცხარებამ. ის ხომ ერთი შეხედვით მოღუშული და დაღლილი კაცი ჩანდა.

— ადამიანი უშავრო სივრცეში ხომ არ ცხოვრობს? იგი ადამიანებს შორის ცხოვრობს, — თქვა მან. — გაუეთი დაწერს და ხალხიც ყურადღებას მას მიაპყრობს. კარგი ადამიანია, — მაგალითი აიღეთ მისგან, ცუდი ადამიანია — დაეხმარეთ კარგი ვახდეს. თავადღეც ემატება პასუხისმგებლობის გრძნობა. სურს თუ არა სურს — უნდა გაიქაჩოს, აბრუ არ გაიტყოს.

მეზობელმა არაფერი უბახუხა.

ვლასოვი, მიხვდა, რომ მეზობელს მისი განმარტება არ მოეწონა და უცებ ნაწყენი დარჩა, რომ ვერ გაუგეს.

— თქვენ, ალბათ, გაგეგონებთ, რომ ზოგიერთ ჟურნალისტს დიდი ხნის განმავლობაში კარგი ურთიერთობა აქვს თავის გამირებთან, მეგობრებიც ხდებიან...

— გამიგონია, — მიუგო უხალისოდ მეზობელმა. — მაგრამ ასეთი შემთხვევები ხომ ერთეულებია. წერით კი ბევრზე წერთ.

— სწორედ რომ ბევრზე! ბევრთან არ შეიძლება მთელი სიცოცხლე გქონდეს ურთიერთობა, მათ ბედ-იღბალს ადევნებდეთ თვალყურს. ამისათვის სიცოცხლე არ გყოფილა.

— დი — ახ... გაურკვეველად გააგრძელა ნიტყვა მეზობელმა. — ასე ხდება... სამწუხაროა... — და, ერთ წამსაც არ დაფიქრებულა, ისე დაუმატა: — მაგრამ ზოგიერთის ბედ-იღბალი უნდა იცოდეთ. სხვანაირად სევდა გულს დაგიღრღნის. აკეთებ, აკეთებ, სულ ტყუილუბრალოდ...

— თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით? — დაინტერესდა ვლასოვი. — თქვენ რა ჟურნალისტი ხართ?

— სისხლის სამართლის სამძებროდნა ვარ. — თქვა თანამგზავრმა. ჟურნალისტებს უყვართ ჩვენი პროფესია. ძალიან გიყვართ სისხლის სამართლის სამძებროზე წერა... იცით, ჩვენ ხანდახან საკუთარი თავისადმი უქმაყოფილების გრძნობა გვეუფლებს. იქერ დამნაშავეს, ეცნობი. მერე ვადასცემ ამ ადამიანს გამოძიებულს, ის კი გააფორმებს საქმეს და გადასცემს სასამართლოს. ხოლო სასამართლოდან ვინ სად მოხვდება: ზოგი კოლონიაში, ზოგი უფრო შორს. განა ყველას ბედ-იღბალს გაადევნებ თვალყურს? და თუ ხელახლა

შეხვდები, ისევ იმ საქმეზე... სამწუხარო საქმეზე... რეციდივისტები ხომ არ გვაკლია. მართალია, ისი ცხდება, წერილს იღებ კაცისგან, რომელიც ფეხზე დამდგარა. ეს კი უკვე ღვთის წყალობას ჰგავს. — მას გაცინა. — ასეთი ხალხი იშვიათად თუ მოგაწერს. ვის უხარია თავისი ბინძური საქმის ქექვა. ჰო, კარგი! ლაპარაკით, მგონი, თავი მოგაბეზრეთ. მოდით, დავიძინო!

— როგორ მიხვდით, რომ ჟურნალისტი ვარ? — ჰკიხა ვლასოვმა. მეზობელმა უბახუხა:

— პრესას პროფესიულად გადახედეთ... გადახედეთ... სწრაფად. და იცით, სად რა ეძებთ.

— ვლასოვმა დიდხანს ვერ დაიძინა. ფიქრობდა მოუსვენარ თანამგზავრზე, მის შეკითხვებზე. „არა, კაცმა რომ თქვას, ცდება. ყველა თავის საქმეს უნდა აკეთებდეს. და თუ ისე გააკეთებს, როგორც საჭიროა, ყველაფერი რიგზე იქნება. სხვა დანარჩენი ცნობისმოყვარეობაა“.

...იანვარში ვლასოვი თავისი „ვოლგით“ ლენინგრადში იყო მივლინებით. მოყინულ „სრედნაია როგატკაზე“ მანქანა მოცურდა და ბოძს დაეჭახა. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე გადარჩა, მსუბუქად დაშავდა, მანქანა კი ძლიერ დაზიანდა — მარცხენა უკანა ფრთა, საბარგული — ყველაფერი მიჭყლებილი იყო, მინები დამსხვრეული.

ვლასოვი მოელაპარაკა ავტომექონებელი ქარხნის დირექტორს მანქანის შეკეთების თაობაზე. ქარხნის ტექნიკურმა მანქანამ იმავე დღეს ბუქსირით გაათრია მისი „ვოლგა“. ქარხანა ავარიის ადგილის მახლობლად მდებარეობდა, მოსკოვის პროსპექტზე. მაგრამ შეკეთების ვადა საქმოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა. ვლასოვმა ლენინგრადში თავისი საქმეები მოაგვარა და მოსკოვში გაემგზავრა. მხოლოდ ხანდახან რეკავდა ქარხანაში, მანქანა ხომ არ არის მზადო.

ყველაფერი კარგად აეწყო. „ვოლგის“ შეკეთების დამთავრება სწორედ მის შვებულებას დაემთხვა. ვლასოვი შეუთანხმდა ცოლს, რომ ერთმანეთს შეხვედროდნენ ტალინში, სადაც იგი მანქანით უნდა ჩასულიყო ლენინგრადიდან. „გამოვისახმარისებ ჩემს „ბებრუტუნა“ მანქანას, — ფიქრობდა ვლასოვი, — ერთ ხანს პიტერში ვივლი, შემდეგ კარელინის ყელთან მივაგორებ...“ მას უყვარდა ლენინგრადი და ხელიდან არ უშვებდა ხელსაყრელ შემთხვევას იქ წასასვლელად, თუმცა რედაქტორი ბუზღუნებდა: „ვოლოჯდისა და სივტიკარის ხსენებაზე მაინცა და მაინც დიდ

ენტუზიაზმს არავინ იჩენს, ლენინგრადში კი ორჯერაც წელიწადში, ყველა სიამოვნებით მიდის.

მის გვერდით, ვაგონის საწოლზე, მეზობელი ბორგავდა. ხანგამოშვებით კვენსოდა კიდევაც და ბოდავდა. ჩაძინებისას ვლასოვმა გაიფიქრა: „მოუსვენარი კაცი ჩანს... რა თქმა უნდა, მის სიტყვებში არის დაუფარავი სიმართლე, მაგრამ არსებითი მართალი არ არის. საინტერესოა, ლენინგრადელია თუ მოსკოვიდან მოდის რაიმე დავალებით... დილით შევეკითხები“.

მაგრამ დილით ვლასოვმა ველარ მოასწრო რამე ეკითხნა თანამგზავრისათვის. მაშინ გულგადა, როცა მატარებელი ნელა გადიოდა წრიულ არხზე. მეზობელს უკვე ჩაეცვა და თაროდან პორტფელს იღებდა.

— ოჰ... გაიღვიძეთ? — გაიღმა მან, თან ვლასოვს უყურებდა. — ისე ტკბილად გეძინათ, რომ ვერ გავხედე გავიძებნა. დე, იძინოს ადამიანმა-მეთქი, გავივლე გულში. კაცი ხომ ყოველთვის ვერ ახერხებს რიგიანად გამოძინებას.

ვლასოვმა გაიფიქრა: „როგორ იღიმება, ბავშვივით... სულაც არ არის პირქუში, როგორც გუშინ მომეჩვენა“.

— აბა, წავედი! — თქვა თანამგზავრმა. — ნახვამდის, კარგად ბრძანდებოდეთ!

სადგურიდან ვლასოვი ფეხით წავიდა. ცხელია, სიო არ იძვროდა. კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ მოედანი გადაჭრა, ცოტა ხანი შეჩერდა. ნევის პროსპექტს ათვალეირებდა, დილაობით მყუდროებას რომ არის ხოლმე მოკლებული. შორის მოჩანდა თხელ ნისლით გახვეული საადმირალო.

სამსახურის დაწყების დრო იყო — სადგურის კოშკზე საათის ისარი ცხრას უახლოვდებოდა. ხალხის არცთუ ისე დიდი ჯგუფები დაძაბული სახით მიიქჩაროდნენ სამუშაოსაკენ. ნამძინარევი ადამიანების ნაკადი დაწესებულებებთან იშლებოდა.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს ესიამოვნებოდა იმის შეგრძნება, რომ არსად არ ეჩქარებოდა, შეეძლო ზანტად ევლო, ეცქირა ხალხისათვის, სადმე პატარა ბაღში სკამზე ჩამოშდარიყო, დამტკბარიყო ქალაქით, ბოლოს და ბოლოს შეეძლო გადაეხვია პროსპექტიდან და უმიზნოდ ეხეტიალა.

სასტუმრო „ლენინგრადში“, სადაც მისთვის დაჯავშნული იყო ადგილი, ვლასოვი მხოლოდ შუადღისას მივიდა. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ბევრჯერ გაჩერებულა ამ სასტუმროში, თუმცა არც თუ ისე მოსწონდა. გარედან — ვებერთელა და უღიმეამო, ლე-

ენინგრადის სტილისათვის ნახვებით შეუფერებელი, შიგნით კომფორტაბელური, თითქმის მდიდრული, ზედმეტად მდიდრულიც კი იყო.

ნომრიდან კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ ავტოშემკეთებელ ქარხანაში დარეკა, იკითხა როდის შეიძლებოდა მანქანის გამოყვანა.


— თუ გნებავთ ახლავე, — უთხრა ვლასოვს მთავარმა ინჟინერმა. — დაკვეთსეთ თქვენი ლიმიზინი — თვალი უკეთესს ვერ ინატრებს!

„ვოლგა“ მართლაც კარგად გამოიყურებოდა. ვლასოვს სიამოვნებით მიჰყავდა მანქანა, ღელავდა იმის გამო, რომ დიდი ხნის შემდეგ ისევ საჭეს უჭდა და საჭეც ჩვეულებისამებრ ემორჩილებოდა. იგი არ ჩქარობდა სასტუმროში მისვლას. ნელი სვლით, ფრთხილად გაიარა მოსკოვის პროსპექტი, უნდოდა შეჩვეოდა მანქანას, ეგრძნო, ძველებურად ეწეოდა თუ არა, ხომ არ გადაჩვეოდა პატრონის ხელს. მანქანა მსუბუქად, თანაბრად, უხმაუროდ მისრიალებდა. „შესანიშნავია, — გაიფიქრა კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ, — ნეტავ მოგზაურობაშიც ასე კარგად მოიქცეს!“

გვიანი საღამო იყო, როცა კონსტანტინე ნიკოლოზის ძე სასტუმროში დაბრუნდა. შესასვლელის წინ მოედანზე ჩამწკრივებულიყო ფინური საექსპურსიო ავტობუსები, „ვოლკსვაგენები“, „მერსედესები“, საზღვარგარეთულნომრიანი „ფიატები“, — ადგილს ვერსად მონახავდი. ვლასოვმა მანქანა მოატრიალა და სასტუმროს უკან მდებარე შესასვლელში შევიდა. აქ ხალვათობა იყო, მხოლოდ სამზარეულოს შესასვლელთან იდგა ავტოფურგული. „ჩემი „ვოლგაც“ გაათევს აქ ღამეს, — გაიფიქრა ვლასოვმა — არაფერი დემართება“.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ დაკეტა მანქანა და სასტუმროში შევიდა. სართულის ბუფეტით უკვე აღარ მუშაობდა, რესტორანში წასვლა კი დაეწარა. „ეჰ... ღამით გამომას ექიმები მაინც არ გვიჩივიან“, — გაიცინა ვლასოვმა და დაწვა დასაძინებლად. როგორც კი მოხუჭა თვალი, მაშინვე თვალწინ გაუელვა გზის დამცველმა პატარა თერთმა ბოძებმა, თეთრმა, ეს-ეს არის შედინლულმა არყის ხეებმა, აციმციმდნენ წინ მიმავალი მანქანის სინათლეებიც. „მანქანა მაინც კარგი საქმეა, — გაიფიქრა კმაყოფილმა ძილში. — დაჯექი და იარე სათვალე გინდა“.

...დილით კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ ის-



აუშმა, შხაპი მიიღო და სასტუმროდან გამოვიდა. მაგრამ მალე გაცემებისაგან პირი დააღო... „ვოლგა“ ადგილზე აღარ დახვდა.

პირველ წუთებში ვლასოვმა მხოლოდ წყენა იგრძნო. „ალბათ ისევ ბიჭებმა გაიტაცეს. ნეტავ არ დაღწეონ ტინკებმა“.

მოსკოვში უკვე იყო ასეთი შემთხვევა: კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ მანქანა სუფოროვის ბულვარზე, შურნალისტების სახლის ვერდიტო დატოვა და ორიოდე საათში გამოვიდა. მაგრამ მანქანა ადგილზე აღარ დახვდა. მაშინ „ვოლგას“ არ ქონდა საიდუმლო საკეტი. „შესაძლოა გუშინ საღამოს დამავიწყდა მისი ჩართვა“, — გაიფიქრა მან. მაშინ მანქანა მალე მოძებნეს, დილით ვლასოვს დაურეკეს მილიციიდან და სთხოვეს ხასწრაფოდ მისუფიყო იქ. შორიდანვე შენიშნა თავისი მანქანა რაიონული განყოფილების შესასვლელთან. გამტაცებლები — ორი თხუთმეტი წლის ქაბუკი — გვიან საღამოს დაიჭირეს. შურნალისტების სახლიდან სულ ასიოდე მეტრის მანძილზე გასულიყვნენ, შეშინებულათ და მანქანა მიეტოვებინათ.

...მილიციის განყოფილებაში, სადაც ვლასოვი მივიდა, რათა განცხადებინა მანქანის გატაცების შესახებ, სთხოვეს დაეწერა დაწვრილებითი განცხადება. მორიგე, ახალგაზრდა მილიციის კაპიტანი, განცხადებას რომ კითხულობდა, თანაგრძნობით თავს აქნევდა.

— დაახ, უსიამოვნო ამბავია... არ ეყოფათ თავიანთი ლენინგრადული მანქანები, ახლა მოსკოველი სტუმრის მანქანაც გაიტაცეს.

ვლასოვს გაეცინა.

— რა განსხვავებაა? მოსკოვურს მოიპარავენ თუ ლენინგრადულს...

— მაგრამ ჩვენ ხომ გვწყინს, — თქვა კაპიტანმა, კაცი ამ სიშორეზე ჩამოსულხარბო! რას იფიქრებთ ახლა ლენინგრადელებზე?

— არაფერია, მოსკოვშიც მომპარეს, — ანუ გემა კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ კაპიტანი.

— მოგპარეს? — მორიგე თითქოს ცოტათი გამხნევდა. ყოველ შემთხვევაში, მის წამოძახილში გულწრფელი ინტერესი იგრძნობოდა.

ვლასოვი მოყვა როგორ გაიტაცეს მისი „ვოლგა“ მოსკოვში.

— ჩვენც შევეცდებით მალე ვიპოვოთ, — უთხრა კაპიტანმა, — ნუ იღარდებთ..

როცა კონსტანტინე ნიკოლოზის ძე სასტუმროში დაბრუნდა და თავის ნომერთან მივიდა, ტელეფონის ზარის გაბმული წკარუნე შემოესმა, „ალბათ, ცოლია“ — გაი-

ფიქრმა ვლასოვმა, სწრაფად გახსნა კარი და ყურმილი აიღო.

— ვისმენთ.

— კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ვლასოვი ბრძანდებით? — იკითხა სასიამოვნო ხმის ქალმა. — შინაგან საქმეთა სამმართველოდან გაუწებთ, სისხლის სამართლის სამმართველოდან. ვერ შეძლებდით ახლავე ჩვენთან მოვლას? თქვენი ავტომანქანის თაობაზე.

„ნუთუ უკვე იპოვნეს? — გაუხარდა ვლასოვს. — აი ოპერატიულობა“.

— რა თქმა უნდა, ახლავე მოვალ.

— პოლიოკოვნიკი კორნილოვი გელოდებოთ, საშვს ახლავე დაეუშვებთ. იცით, სადა ვართ ტერიტორიულად? — და არ დაელოდა ვლასოვის პასუხს ისე განაგრძო, ლიტინის ოთხი, პირველი საღარბაზო. ამოდით მეოთხე სართულზე, ოთხას მეთორმეტე ოთახში.

ნახევარი საათის შემდეგ კონსტანტინე ნიკოლოზის ძე უკვე ამ ოთახის კარზე აკაკუნებდა, პასუხი არავინ გასცა. ვლასოვმა კიდევ ერთხელ დააკაკუნა.

— უფრო თამამად, უფრო თამამად, ამხანაგო შურნალისტო, შემოესმა უცებ ზედყურთან და მოულოდნელობისაგან შეკრთა. მის წინ იდგა ამასწინდელი თანამგზავრი ექსპრესიიდან.

— მასწინძელი რატომღაც არ გამოიმეპასუხებთ, — ვლასოვმა ხელი შეაგება გაწვილხელს და მერე თქვა: — აი თქვენც გიპოვნეთ.. მატარებელშივე მინდოდა თქვენი გაცნობა..

პირიქით, ეს მე გიპოვეთ თქვენ — მიუგო თანამგზავრმა და კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს ფართოდ გაუღო ოთხას მეთორმეტე ოთახის კარი.

მიუხედავად იმისა, რომ ფანჯარა ღია იყო ოთახში შესუთული ჰაერი იდგა.

— ყველაფერი გამიგია, — თქვა ვლასოვმა და საფარებელში ჩაჯდა. — მაშასადამე, თქვენ ბრძანდებით პოლიოკოვნიკი კორნილოვი? მაგრამ რა იცით, რომ სწორედ მე ვარ ვლასოვი და მანქანა მომპარეს?

კორნილოვი მაგიდას მიუჯდა, ნიკაპი ხელისგულს დააყრდნო, ოდნავ გაღივებული ყურადღებით შეაცქერდა ვლასოვს, ისე შესცქეროდა, თითქოს, უნდოდა ეთქვა: „აბა, აბა განაგრძეთ გაცემა“.

ბოლოს თითქოს საკმაოდ დატკბაო კონსტანტინე ნიკოლოზის ძის გაცემებით, უთხრა: — არაფერიც არ ვიცი... მოვდივარ ცხედავ ჩემი კარების შეტეხვას ღამობთ, მე კი მოსკოველი დაზარალებულის კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ვლასოვის

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ვლასოვის

მეტს არავის ველი. ჰოდა, გადავწყვიტე... — მან შეწყვიტა ღიმილი, და სახე უცებ შეცვალა, პირქუში გაუხდა.

— ვლასოვი მოყვა, რაც მოხდა.

— აი რა უოფილა... — თავი ვაქნია კორნილოვმა და მოულოდნელად, სულ შინაურულად ჰკითხა: — ძალიან გეწყინათ?

— როგორ გვინათ? — გაბრაზდა ვლასოვი. — იმიტომ მომიწვიეთ, რომ მხოლოდ ეს მკითხოთ? მე კი ვიფიქრე ხომ არ იპოვნეს მეთქი ჩემი ჯაბახანა?

— არ გვიპოვნია. ჩვენი ამხანაგები უკვე წავიდნენ შემთხვევის ადგილზე. იქნებ რაიმე ხელმოსაჭიდი ვიპოვოთ. ხალხი დაკითხეს. თქვენ თვითონ არაფერი არ დაგინახავთ? ვლასოვმა ხელები ვაშალა.

— როგორც მე თქვენი განცხადებიდან მივხვდი, ისიც კი არ იცით, როდის გაიტაცეს მანქანა.

— არა, არ ვიცი. მანქანა დავაყენე თერთმეტ საათზე, ხოლო მოვკითხე დილით, — მიუფო მოღუშულმა კონსტანტინ ნიკოლოზის ძემ.

— ჩვენ ეჭვი ვვაქვს, რომ თქვენი „ვოლგა“ გამოცდილმა გამტაცებლებმა მოიპარეს.

— კეთილი! ალბათ, ასეთია ჩემი ბედი, რომ ჩემს ჯაბახანას შეკეთებულს უნდა იპარავდნენ. სჯობს თქვენი სახელი და მამის სახელი მიბოძოთ.

— იგორ ვასილის ძე.

— აი რა, იგორ ვასილის ძე, რადგანაც ასეთ ხლადორთში გავები, რატომ არ უნდა დავწერო ჩემი უფრნალისთვის ნარკვევი იმის შესახებ, თუ როგორ იჭერენ ლენინგრადის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლები ავტომობილების გამტაცებლებს. როგორ მოგწონთ? როგორც ამ ოპერაციაში მეთისმეტად დაინტერესებულმა პირმა, ხომ შეიძლება ძალიან შევეცადო და რიგაინი რაიმე შეგქმნა. ჩემი სასამართლო ნარკვევები ცალკე წიგნადაც კი გამოვიდა. მან შეხედა კორნილოვს; იგი მხოლოდ უცნაურად იღიმიებოდა.

— კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, არ გირჩევთ, მოსაწყენი საქმეა. მხოლოდ ბუღალტერია. დამიჭერეთ. მე თვითონ მომიხდარამდენჯერმე უფრნალში გამოსვლა, მაგრამ ეს არ არის მომგებიანი თემა. ვფიცავარ ღმერთს. ცარიელი ბუღალტერიაა. ვერაფერს ჩასჭიდებ ხელს. თუ ინებებთ, გავაცნობთ ერთ კაბიტანს... აი ის არის საინტერესო ადამიანი. ჭადრაკის დაუმთავრებელი პარტიის მიხედვით მკვლელი ადმოაჩინა. სუთ ეჭვმიტანილს ეთამაშებოდა და მერე ისე, რომ

ვერცერთი ვერ მიხვდა რომ საქმე ჰქონდა სისხლის სამართლის სამძებროსთან..

— ეს საინტერესოა, — დეთანხმა ვლასოვი. — მაგრამ უფრო საინტერესოა, როცა შენს საკუთარი ოფლით ნაშოვნ მანქანას ეძებენ..

— კორნილოვმა ამოიხვნეშა.

— თანაც ალბათ დიდხანს მოგიხდებათ ლოდინი... ვიღრე ვიპოვით... კორნილოვს ნადვლიანი ხმა ჰქონდა.

— რას დაველოდო? — გაცდა კონსტანტინე ნიკოლოზის ძე. — ახლავე უნდა ჩავეართო საქმეში, ვიღრე ცხელ კვალს ადგებარო...

— არა, — ვაქანია თავი იგორ ვასილის ძემ. — ეს გამოიცხადებოდა, ჩვენი სამუშაო ხომ ოპერატიულია... გენერალსაც რომ სთხოვოთ ნებართვა, არა მგონია დათანხმდეს.

— შევეცდები, — უთხრა ვლასოვმა. — ცდა ბედის მონახევრეა, სავალდებულო არ არის თქვენს საიდუმლოებებზე ვწერო. დამასწარიო დამნაშავის დაკავებას, ვიჭრები დაკითხვაზე.

— უცნაური კაცი ხართ... ხომ აგინსენით — ყველაფერი ეს ბუღალტერიაა. დოკუმენტები, ანგარიშები, გაცხრილვა, დაკითხვა.. რა ოპერაციები, რის ოპერაციები? სუფთა ბუღალტერია!


— არა, მე მაინც მივალ სამმართველოს უფროსთან, — მტიცივდ თქვა ვლასოვმა.

კორნილოვის პროგნოზები არ გამართლდა, უფროსმა ვლასოვს ნება დართო უფრო ახლოს გასცნობოდა ოპერატიული ჯგუფის მუშაობას.

— პოლიოკოვნიკი კორნილოვი უნიჭიერესი მუშაკია და საინტერესო ადამიანი, — უთხრა გენერალმა. — აქ თქვენ სწორედ უუსხად მიზანში მოახვედრეთ. ალბათ, ბევრი რამ გაგიგონიათ მასზე?

— მე ხომ დაზარალებული ვარ, — გაიღიმა კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ. — იგორ ვასილის ძეს ჩვენება მივეცი. და მან დაწვრილებით მოუთხორო გენერალს, როგორ გაიცნო მან პოლიოკოვნიკი.

სამმართველოს უფროსი ავადმყოფურად შეიჭმუნა, თითქოს ნემსი გაუკეთესო და ვლასოვი მიხვდა, რომ ეს ახალი ამბავი გენერალს არ ესაიშოვნა. იგი როგორღაც უცებ მკაცრი გახდა და რამდენიმე წუთი უგონოდ იჯდა, თითქოს ყოყმანობსო. კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს შეეშინდა: ხომ არ შეცვალა გენერალმა თავისი გადაწყვეტილებაო. რა სასიამოვნოა, რომ სხვის საქმეში ცხვირი ჩა-



ჰყოს დედაქალაქის უურნალობა, რომელიც ამავე დროს დაზარალებულიც არის.

— იმედი მაქვს, თქვენს მანქანას მალე იპოვნიან, თქვა მან ბოლოს. — ხოლო პოდპოლკოვნიკ კორნილოვს მითითებას მივცემ, საქმის კურსში ყავდეთ. თვითონ გესმით, მხოლოდ შესაძლებლობის ფარგლებში...

იგი მაგილიდან წამოდგა, ვლასოვი კარამდე მიაცილა. ხელს რომ ართმევდა, უთხრა:

— თუ კორნილოვზე დაწერთ, არ მოტყუვდებით. ჭკვიანი მძებარია და სხვა აუცილებელი თვისებებიც უხვად აქვს. საერთოდ არის თავისი საქმის დიდოსტატი. თხუთმეტი წელია სისხლის სამართლის სამძებროშია. როცა ინსპექტორად მუშაობდა სესტრორეცკის რაიონში, ბანდიტებმა ცოლი მოუკლეს. შური იძიეს. მაშინ მან დიდი ბუნავი დაარბია.

* * *

სასტუმროში ვლასოვი ფეხით წავიდა — სიამოვნებაა, იქვე, ლიტინის ხიდის გავლა... „მივალ თუ არა, რედაქტორს დაფურეკავ. დაე, გააფორმონ მივლინება — შეიძლება საინტერესო მასალა გამოვიდეს. „ავტომობილების გამტაცებლები“. მართალია, ღმერთმა უწყის ეს რა სისხლის სამართლის დამნაშავენი არიან — არც დევნა, არც სროლა პოდპოლკოვნიკი მხოლოდ ბულალტერიას მპირდება, მაგრამ ჩემი „ვოლგა“ ხომ უკვე მეთხუთმეტია! უურნალობა, რომელიც წერს სასამართლო ნარკვევებს და სტატიებს მორალურ თემებზე, დაზარალებულის როლში! არც თუ ისე ხშირად ხდება ასეთი დამთხვევა.

„ტატანასაც სასწრაფოდ უნდა დაფურეკო, „გადაწყვიტა მან. — დაე, ითხოვოს, რომ შევბუღებთ გადამიტანნა“. და მხოლოდ ახლა, ცოლზე რომ ფიქრობდა, კონსტანტინ ნიკოლოზის ძეს გაახსენდა გენერლის მიერ ნათქვამი ფრაზა: „როცა სესტრორეცკის რაიონში მუშაობდა ინსპექტორად, ბანდიტებმა ცოლი მოუკლეს“... ამ ტანაღალ პოდპოლკოვნიკს, კეთილი თვალები, მოღუშული და მუდამ დაძაბული სახე რომ ჰქონდა, ბანდიტებმა ცოლი მოუკლეს. „ცოლი მოუკლეს“... „შური იძიეს“...

როცა ვლასოვმა ხელახლა შეიხედა კორნილოვის კაბინეტში, იგი კვლავ მოღუშული იჯდა. „ალბათ, უკვე მოხვდა გენერლისაგან“, — სინანულით გაიფიქრა კონსტანტინ ნიკოლოზის ძემ და ჰკითხა:

— ცუდ მდგომარეობაში ჩაგაყენეთ, იგორ ვასილის ძე?

— მე თავად ჩავიყენე თავი ცუდ მდგომარეობაში. — ამდენი ხანია სისხლის სამართლის სამძებროს გამტაცებლები ვერ აღმოუჩენია...

— აი, რა, ამხანაგო უურნალობა, დღეს დრო არა მაქვს. ხვალ მობრძანდით. თორმეტი საათისათვის. უფრო დაწვრილებით გაგაცნობთ საქმეს.

მაგრამ მეორე დღეს საუბარი არ შედგა. როცა ვლასოვი სამმართველოში თორმეტი საათისათვის მივიდა, იგორ ვასილის ძე კიბეზე ჩამოდიოდა.

— სასწრაფოდ მივემგზავრები, — გაშალა ხელები პოდპოლკოვნიკმა და სახე ნაღვლიანი გაუხდა. მაგრამ ვლასოვს მოერგვნა, რომ თვალები კმაყოფილებით უბრწყინავდა. — შედით სამას ოცდამეორმეტე ოთახში. იური ევგენის ძე ბელიანჩიკოვთან... შესანიშნავი ოფიცერია... არ ინანებთ. — კორნილოვს ეცვა ღია ნაცრისფერი, განიერი მოჯაჯული კოსტუმი და თეთრი გულგადედილი პერანგი. „ტენისის ჩოგანიდა აკლია. — გაიფიქრა ვლასოვმა. — მოაგარაკესავითაა.“

— ვასიკო, წავედით, — უთხრა კორნილოვმა ოდნავ შორს მდგომ ჭაბუკს და ხელი გაუწოდა ვლასოვს: — ნუ გეწყინებათ, კარგით?

— რამე საინტერესოა? — ჰკითხა ვლასოვმა.

— ჩვენთან ყველაფერი საინტერესოა, — მიუგო კორნილოვმა, მსუბუქად ჩაიბრინა კიბე და სადარბაზოს მძიმე კარის უკან მიიმალა. გუშავი დიდის პატივისცემით მხედრულად მიესალმა.

ვლასოვი რამდენიმე წუთს ყოყმანობდა, მერე ხელი ჩაიქნია და შევიდა სამასოცდამეორმეტე ოთახში.

(გაგრძელება იქნება)

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ დ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების უსახეობა

იურისპრუდენციის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ქალის საქართაშორისო წელთან დაკავშირებით, მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება:

ელენე გიორგის ასულ აბაშიძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს.

ამალია სუმბათის ასულ ბაღდასარიძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

სვეტლანა ვლადიმერის ასულ ბელიავსკაიას — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგის მოადგილეს.

ელისაბედ ილიას ასულ მგელაძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს.

ნინო ვასილის ასულ მირზიაშვილს — საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწეს.

ლეილა ივანეს ასულ ნიკურაძეს — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართველოს უფროსის მოადგილეს.

ნორა ალექსანდრეს ასულ ფიფიას — აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწეს.

მატია ლევანის ასულ ქაჯაიას — აჭარის ასსრ პროკურორის თანაშემწეს.

ანა იორამის ასულ ქუმისიაშვილს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

ეთერ მიხეილის ასულ ჩიქვინიძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

ქსენია ივანეს ასულ ხიდუშელს — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილეს.

ნინო მიხეილის ასულ ჯამასპიშვილს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების უფროს ინსტრუქტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

„სსკპ XXV ყრილობა და საბჭოთა იურიდიული მემკვიდრეობის აღმსარებლობა“

ამ თემას მიეძღვნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „სახელმწიფოს, მართვისა და სამართლის განვითარების კანონზომიერებათა“ პრობლემების მეცნიერული საბჭოსა და მოსკოვის ცხრა იურიდიული საკვლევი ცენტრის სამეცნიერო საბჭოების გაერთიანებული სხდომა, რომელიც მოსკოვში გაიმართა ა. წ. 21-23 აპრილს. მასში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერ იურისტთა წარმომადგენლებიც; ამიტომ არსებითად იგი კავშირის მისუტაბის მეცნიერული კონფერენცია იყო, რომელსაც 800-მდე კაცი ესწრებოდა.

21 აპრილს პლენარულ სხდომაზე მოსმენილი იქნა 7 მოხსენება: სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის ვ. ი. ტერებილოვისა „სსკპ XXV ყრილობა და საბჭოთა იუსტიციის ამოცანები“, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. ნ. კულდიავეცისა „სსკპ XXV ყრილობა და იურიდიული მეცნიერების შემდგომი განვითარება“, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის პროფ. გ. ვ. ივანოვისა და საკავშირო იურიდიული დაუსწრებელი ინსტიტუტის რექტორის პროფ. ვ. ს. ანდრეევისა „სსკპ XXV ყრილობა და სსრ კავშირში იურიდიული განათლების განვითარების პრობლემები“, საბჭოთა კანონმდებლობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის პროფ. ი. ს. სამოშჩენკოსი „კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის თეორიული პრობლემები“, დანაშაულობის მიზეზების შესწავლისა და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემოუშავების საკავშირო ინსტიტუტის დირექტორის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ვ. ვ. კლოჩკოვისა „დანაშაულობასთან ბრძოლის მეცნიერული პრობლემები“, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსის პროფ. ს. ვ. ბოროდინისა „საბჭოთა სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის თეორიული პრობლემები“ და სასამართლო ექსპერტიზათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის იურიდიულ მეცნიერებათა დოქ-

ტორის ა. რ. შლიახოვისა „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა გამოყენება სოციალისტურ მართლმსაჯულების ორგანოების მიერ“. ამავე დღეს კონფერენციის მონაწილეებს უჩვენეს დოკუმენტური კინოფილმი „ერთი დანაშაულის გამოძიება“.

22 აპრილს კონფერენციის მუშაობა მიმდინარეობდა ოთხ სექციაში პრობლემათა ოთხი ძირითადი ჯგუფის მიხედვით. ეს პრობლემები იყო: 1. საბჭოთა სახელმწიფოს, დემოკრატიისა და სამართლის შემდგომი განვითარების პრობლემები (ხელმძღვანელები — ი. ს. სამოშჩენკო, ი. ა. ტიხომიროვი), 2. სახალხო მეურნეობის მოწესრიგების სამართლებრივი პრობლემები (ხელმძღვანელები — ვ. ს. ანდრეევი, ა. ე. ლუნიოვი, ა. მ. იაკოვლევი), 3. სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისა და დანაშაულობასთან ბრძოლის ორგანიზაციის პრობლემები (ხელმძღვანელები — ვ. ვ. კლოჩკოვი, ს. ვ. ბოროდინი, ა. რ. შლიახოვი, ვ. ფ. სტატკუსი), 4. მშვიდობის საბჭოთა პროგრამა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამართლებრივი პრობლემები (ხელმძღვანელები — გ. ი. ტუნკინი, ვ. ა. ტუმანოვი, კ. ფ. გუცენკო).

23 აპრილს პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ოთხივე სექციის ხელმძღვანელთა მოხსენებები სექციების მუშაობისა და მათ მიერ მიღებული რეკომენდაციების შესახებ. რეკომენდაციებში პრობლემათა ოთხივე ჯგუფის მიხედვით დასახულია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულებანი უპირველეს ყოვლისა მეათე ხუთწლიელისათვის. გადაწყდა, რომ კონფერენციის ყველა მასალა — როგორც პლენარულ სხდომებზე მოსმენილი მოხსენებები, ასევე სექციებში მოკამათეთა გამოსვლები — ცალკე წიგნად გამოიცეს.

ვ. ი. ტერებილოვის მოხსენება შეეხება სამ ძირითად საკითხს: კანონმდებლობის სრულყოფას, დანაშაულობასთან ბრძოლას და იუსტიციის ორგანოებისა და საერთოდ სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფას იურისტთა კადრებით. კანონმდებლობის სრულყოფის ამოცანებთან დაკავშირებით მომხსენებელმა ფრიალ დადებითი მნიშვნელობის ფაქტად აღ-

ნიშნა საბჭოთა საკავშირო კანონმდებლობის სისტემატიზაცია, რაც კანონთა მრავალტომიანი კრებულის გამოცემით ხორციელდება (გამოცემა დასრულდება სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის). მან კონფერენციის ყურადღება მიიპყრო იმის აუცილებლობას, რომ ასეთივე სისტემატიზაცია განხორციელდეს რესპუბლიკური კანონმდებლობისა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში; ამ მხრივ მხოლოდ ხუთ რესპუბლიკაში მიმდინარეობს მუშაობა, დანარჩენები კი ჩამორჩნენ. მომხსენებელმა დასვა აგრეთვე უფრო ფართო მოხმარებისათვის გამოიზნული კანონთა კრებულის გამოცემის, სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფისა და ახალი კონსტიტუციის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები. დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხთა შორის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მოხსენების იმ ნაწილმა, სადაც ილუსტრირებული იყო მკაცრი სისხლისსამართლებრივი სასჯელების, კერძოდ, თავისუფლების ხანგრძლივი აღკვეთის ნაკლები ეფექტიანობა, და ამ მხრივ ყირგიზეთის პრაქტიკასთან ბელორუსიის პრაქტიკის შედარება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ყურადღება მიიპყრო აგრეთვე მომხსენებლის დასკვნამ იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირში 9 იურიდიული ინსტიტუტის და 40 იურიდიული ფაკულტეტის მიერ ყოველწლიურად გამოშვებული 13 ათასი იურიტი სანახევროდ თუ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, კერძოდ იმას, რომ სახალხო მეურნეობაში ყოველ 2 ათას მუშა-მოსამსახურეზე ერთი იურისკონსულტი მაინც მოდიოდეს (ასეთი ნორმა მიღწეულია მხოლოდ ესტონეთში).

ვ. ნ. კუდრიავცევის მოხსენებაში ღრმად იყო გაანალიზებული იურიდიული მეცნიერების მიღწევები ჩვენს ქვეყანაში, ფართოდ იყო მოხაზული ამ მხრივ უმთავრესი ამოცანები. მომხსენებელმა ეს ამოცანები სამ ძირითად პრობლემად დააჯგუფა: მეცნიერული კვლევის კონცენტრაცია, მისი ხარისხის ამაღ-

ლება და შედეგების დანერგვა; კონცენტრაციის პრობლემასთან დაკავშირებით მომხსენებელმა გააკრიტიკა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წვრილმანობა (მაგალითად, პოიყვანა ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის ციკლის მეცნიერებათა სფეროში 1976 წელს დაწყებულია 1000-ზე მეტი თემის დამუშავება). მომხსენებელმა დაასაბუთა ძირითადი მიმართულებების პრობლემატიკა, განსაზღვრა მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ხარისხიანობის კრიტერიუმები: პარტიულობა და იდეოლოგიური შეტევითობა, სოციალური პროცესების ღრმა ანალიზი, მეცნიერული დასკვნების სიხალე, მათი პროგნოსტიკური ფასეულობა და პრაქტიკისათვის საჭირო რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

მომხსენებელმა ღიდი ყურადღება დაუთმო ფუნდამენტურ გამოკვლევათა საჭიროებას და განმარტა, რომ გამოკვლევის ფუნდამენტურობა არ ნიშნავს არც ნაშრომის ღიდი მოცულობას, არც ავტორთა სიმრავლეს ან წინა გამოკვლევათა განზოგადოება-შეჯამებას, არამედ იმაში მდგომარეობს, რომ გამოკვლევა ახალი გზის გაკვალვა უნდა იყოს ამა თუ იმ პრობლემის დამუშავებაში. ამასთან დაკავშირებით მომხსენებელმა ილაპარაკა აგრეთვე მეცნიერების ინტეგრაციისა და დიფერენციაციის როლზე, ურთიერთშემაჯგუფებელ პროცესზე და დასაბა იურიდიულ მეცნიერებაში მომიჯნავე მეცნიერებათა წარმომადგენლებთან და სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობით კომპლექსური გამოკვლევების შესრულების ამოცანა.

კონფერენციამ ყურადღებით მოისმინა ზემოაღნიშნული დანარჩენი მოხსენებებიც და მოიწონა სექციებში შემუშავებული რეკომენდაციები იურიდიული მეცნიერების შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ.


საქართველოდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა და საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღო პროფ. გ. ყვანიამ.

საქართველოში უნივერსიტეტების სისტემის რეორგანიზაციის პრობლემა

თბილისის ლენინის რაიონის საზოგადოება ცოდნასთან შექმნილია სამართლისმცოდნეობის ორწლიანი უნივერსიტეტი, რომელშიც გაერთიანებულია 150-მდე მსმენელი. მათ შორის არიან მეცნიერებები, ინჟინრ-

ები, პედაგოგები, საბჭოთა დაწესებულებათა მუშაკები, უმთავრესად კი სახალხო რაზმელები, რომლებიც რაიონში იცავენ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს.

სახალხო უნივერსიტეტში ლექციებს კით-



ხულობენ ცნობილი მეცნიერი იურისტები, ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები. ლექციები წაიკითხეს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორებმა, პროფესორებმა ნ. წერეთელმა, ა. ფალიაშვილმა, დოცენტმა ა. ციციაშვილმა, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გ. ციციშვილმა.

განსაკუთრებული ინტერესით მოისმინეს უნივერსიტეტის მსმენელებმა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ვ. შადურის ლექცია „კანონი და საზოგადოება“, რომელშიც კონკრეტული ფაქტებით ნაჩვენები იყო თუ როგორ მონაწილეობს საზოგადოებრიობა დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საინტერესოდ ჩატარდა სახალხო უნივერსიტეტის „ღია დღე“. სახალხო უნივერსიტეტელები მრგვალ მაგიდასთან შეხვედენ ლენინის რაიონის პროკურორს მ. გიორგობიანს, რაონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს ო. ლლონტს და რაიმილიციის უროსის მოადგილეს პ. სუხიაშვილს. მათ მსმენელებს გააცნეს სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ერთობლივი მუშაობა.

დიდი ინტერესით შეხვედენ სახალხო უნივერსიტეტელები საპატიო სტუმრებს საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატს, ჟურნალ „განთიადის“ მთავარ რედაქტორს, მწერალ გურამ ფანჯიკიძეს და დრამატურგს გიორგი ხუხაშვილს.

მომხსენებელმა, კრიტიკოსმა, ჟურნალ „თეატრალური მოამბის“ პასუხისმგებელმა მდივანმა გურამ ბათიაშვილმა საინტერესოდ და შთამბეჭდავად ილაპარაკა გურამ ფანჯიკიძისა და გიორგი ხუხაშვილის შემოქმედებაზე, განსაკუთრებით ვრცლად შეეხო მათს იმ ნა-

წარმოებებს, რომლებშიც ასახულია ოქსტიციის მუშაკთა ცხოვრება და საქმიანობა, დაახასიათა გიორგი ხუხაშვილის ცნობილი პიესა „მოსამართლე“. აღნიშნული პიესა დიდი წარმატებით იღვმება ჩვენი ქვეყნის მრავალი თეატრის სცენაზე. მასში დრამატურგმა შეძლო მართლად დაეხატა მოსამართლე როგორც კანონის ცხოვრებაში მტკიცედ გამტარებელი და როგორც ადამიანი, რომლისთვისაც ყველაფერი ადამიანური უცხო არ არის.

მომხსენებელმა ვრცლად მიმოიხილა მწერალ გურამ ფანჯიკიძის შემოქმედების თავისებურება, განსაკუთრებით გამოყო მისი გახმაურებული რომანი „თვალი პატიოსანი“, სადაც ავტორმა სწორად და დიდი სიყვარულით დახატა სიმართლისა და პატიოსნებისათვის მებრძოლ ადამიანთა სახეები.

სტუმრებს მიესალმნენ სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტის მსმენელები თინა ნაცვლიშვილი და ევგენია ვარამაშვილი.

მწერლებმა გიორგი ხუხაშვილმა და გურამ ფანჯიკიძემ მადლობა გადაუხადეს სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებს გულთბილი შეხვედრისათვის და გააცნეს თავიანთი შემოქმედებითი გეგმები.

სტუმრებს მიესალმა და სამახსოვრო სუვენირები გადასცა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ გ. ციციშვილმა.

წ. მესხინაძის

სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

შეხვედრა კავშირულ ქარისცემთან

1976 წლის 21 მაისს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებას ესტუმრა 32 ამერიკელი იურისტი (მიჩიგანის შტატიდან), რომლებიც მოგზაურობდნენ საბჭოთა

კავშირში. საზოგადოებაში სტუმრებს შეხვედნენ იურიდიული სექციის წევრები. სექციის პრეზიდენტის პროფ. გ. ჟვანიას მისალმების შემდეგ გაიმართა საუბარი. სტუმრების

მიერ დასმული შეკითხვები შეეხებოდა ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო სისტემას, სასამართლო პროცესს და ადვოკატის მონაწილეობას მისში, სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევნებს, სისხლისსამართლებრივ სასჯელებს. ამერიკელ კოლეგებს აინტერესებდათ აგრეთვე საბჭოთა მოქალაქის პირადი საკუთრებისა და მისი მემკვიდრეობის ინსტიტუტი, სახელმწიფო დაზღვევის სისტემა, საგამომგონებლო და საავტორო სამართლის საკითხები, ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი გარანტიები, დავის გადაწყვეტა არბიტრაჟში და სხვ. ყველა ამ საკითხზე სტუმრებს სათანადო ახსნა-განმარტება მისცეს პროფ. გ. ჟვანიამ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა თ. ლილუაშვილმა, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ გ. როინიშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, დოცენტმა მ. ლეკვიშვილმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატებმა ი. ფუტყარაძემ, ნ. და მ. უგრეხელიძეებმა, ო. გამყრელიძემ, აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინს-

ტიტუტის უმცროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ტ. ზამბახიძემ. თავის მხრივ სტუმრებმა უპასუხეს ქართველი კოლეგების შეკითხვებს. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ერთ-ერთი ამერიკელი მოსამართლის განმარტებამ იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო სარჩელის განხილვისას ამერიკელი მოსამართლე კმაყოფილდება მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მას არა აქვს უფლება სხვა მტკიცებულებანი მოიბოგოს ჭეშმარიტების დასადგენად და ამიტომაც არც თუ იშვიათად თვითონვე გრძნობს, რომ მისი გადაწყვეტილება არაა სამართლიანი.

საუბარმა გულთბილ ვითარებაში და მაღალ პროფესიულ დონეზე ჩაიარა. ერთსულოვანი იყო შეხვედრის მონაწილეთა აზრი იმის შესახებ, რომ ამერიკელი და საბჭოთა იურისტების ასეთი კონტაქტები ფრიად სასარგებლოა როგორც წმინდა პროფესიული თვალსაზრისით, ისე მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებისათვის ორივე ქვეყნის ხალხებს შორის.

შეხვედრის დასასრულს სტუმრებმა ნახეს დოკუმენტური კინოფილმი საქართველოს შესახებ.

პოპულარული მეცნიერი თბილისში

1976 წლის 15 აპრილს, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში, სამართლის სექციის ინიციატივით მოეწყო შეხვედრა ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორთან, სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტთან ი. ანდრეევთან. შეხვედრას დაესწრენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების თანამშრომლები.

პროფ. ი. ანდრეევმა ისაუბრა დეკრიმინალიზაციისა და დეპენალიზაციის ზოგიერთ პრობლემაზე. აღინიშნა, რომ დამნაშავეს გამოსწორებისა და მისი სოციალიზაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასჯელის მინიმალური და მაქსიმალური საზღვრების დადგენას. გარდა ამისა, სტატისტიკური მონაცემები და სოციოლოგიური გამოკვლევები ადასტურებს სასჯელის უფრო მსუბუქი სახის და პირობითი მსჯავრის გამოყენების ეფექტურობას. ბოლო წლებში ზოგიერთი ქვეყნის (პოლანდია, შვეიცია, საფრანგეთი, რუმინეთი, პოლონეთი) სასამართლო პრაქტიკაში შეიმჩნევა დასჯად ქმედობათა ფარგ-

ლების შეზღუდვა და სასჯელის ზომის თანდათანობითი შემცირება. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის გამგემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფ. თ. წერეთელმა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების სამართლის სექციის პრეზიდენტმა, პროფ. გ. ჟვანიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა თ. შავგულიძემ, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამართლის განყოფილე-

ბის გამგემ ვ. მაყაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების თანამშრომელმა ნ. ტყეშელიაძემ, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარმა რედაქტორმა თ. კაციტაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. უგრეხელიძემ.

დასასრულს, დამსწრეთ მადლობა გადაუხადეს პროფ. ი. ანდრეევს საინტერესო საუბრისათვის.

რ. შველიძე

ნეკროლოგი

ს. ა. ჯაფარიძე



სანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრი, კანონპროექტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის სამმართველოს უფროსი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი სიმონ ალექსანდრეს ძე ჯაფარიძე.

სიმონ ალექსანდრეს ძე ჯაფარიძე დაიბადა 1912 წელს, ქიათურის რაიონის სოფელ სვერში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1929 წელს სწავლა განაგრძო ქიათუ-

რის მუშავაკში და პარალელურად მუშაობდა მუშად ქიათურის მარგანტრესტის სისტემაში.

1933 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1937 წელს. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს სიმონ ჯაფარიძემ თავი გამოიჩინა, როგორც ბეჭითმა, ენერგიულმა და ნიჭიერმა სტუდენტმა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში კონსულტანტად.


1940 წლიდან 1941 წლის სექტემბრამდე მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურატურაში განყოფილების უფროსად.

1941 წლის სექტემბერში გაწვეული იქნა საბჭოთა არმიის რიგებში, იყო სამხედრო გამომძიებელი.

1942 წლის ოქტომბერში დემობილიზებული იქნა არმიიდან და მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ პროკურატურაში განყოფილების გამგის თანამდებობაზე.

1952 წლის ივნისში არჩეულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ, 1954 წლიდან იუსტიციის სამინისტროს განყოფილების გამგეა და კოლეგიის წევრი, 1959 წლიდან იურიდიული კომისიის წევრი და განყოფილების გამგე, ხოლო 1971 წლიდან იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრი და სამმართველოს უფროსი.

ს. ა. ჯაფარიძე ალკ წევრი იყო 1927 წლიდან, ხოლო სკკპ წევრი — 1940 წლიდან.



1958 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

მთელი თავის ნიჭს, გამოცდილებას და ცოდნას სიმონ ჭაფარიძე ახმარდა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას და ნაყოფიერი მუშაობით თავისი წვლილი შეიტანა რესპუბლიკის სოციალისტური მართვის განმტკიცების, საბჭოთა კანონმდებლობის მომზადებისა და სრულყოფის საქმეში.

ს. ჭაფარიძემ ხანგრძლივი, ნაყოფიერი და დაუღალავი შრომის შედეგად დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვა რესპუბლიკის პარტიულ-საბჭოთა და იურიდიულ საზოგადოებაში.

სიმონ ალექსანდრეს ძე ჭაფარიძის კეთილი, თავმდაბალი და გულმართალი ადამიანის სახე ღიღსანს დარჩება მისი კოლეგების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

გასწორება

ჟურნალის მეორე ნომრის ქართულ შინაარსში დაშვებულია შეცდომები: ივ. სიღამონიძის ნაცვლად უნდა ეწეროს ვ. სიღამონიძე; ოფიციალური მასალის შემდეგ 83-89 გვერდებზე ს. ვისოცკის მოთხრობა „ცოცხლებს შორის გაუჩინარებულნი“, შემდეგ კი ინფორმაცია. 83-ე გვერდზე სქოლიოში მითითებული არ არის გვერდები 84-86.

რუსულ შინაარსში ქვემოდან მეხუთე სტრიქონში გაპარულია კორექტურა. დაბეჭდილია Пропавшие среди живых ნაცვლად Пропавшие среди живых.

მკითხველთა საპუბრადლეზოდ: საქართველოს სსრ ადვოკატთა V კონფერენციის ანგარიში, რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ამ ნომერში ვერ ქვეყნდება. იგი დაიბეჭდება მოგვიანებით.



საქართველოს
საქართველოს